

სს ლიბერთი ბანკი

პილარ 3-ის ანგარიში 2018

სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია.....	6
3	საკუთრებისა და ჯგუფის სტრუქტურა	13
4	კორპორაციული მართვა.....	15
5	ანაზღაურება	38
6	რისკის მართვა	42
7	კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა	55
8	საკრედიტო რისკი	70
9	საბაზრო რისკი.....	85
10	საოპერაციო რისკი.....	90
11	ლიკვიდობის რისკი	97
	დანართი	102

1 შესავალი

1.1 ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის ფარგლებში ბაზელ 3 კაპიტალის ჩარჩოს შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სს ლიბერთი ბანკის („ბანკი“) პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის წარმოდგენა, რომელიც მოითხოვს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) # 92/04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებზე“ დაყრდნობით. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პილარ 3-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომელიც შეიქმნა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტისა და ევროკავშირის # 575/2013 რეგულაციის საფუძველზე „პრუდენციული მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო კომპანიებისთვის“ (Capital Requirements Regulation - “CRR”).

1.2 დამოწმება

პილარ 3-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწმდა და დამტკიცდა სს ლიბერთი ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბანკის შიდა მართვის პროცედურების შესაბამისად. პილარ 3-ის ანგარიში სრულად შეესაბამება სებ-ის რეგულაციის No 92/04 „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივნისში და ასევე სებ-ის მიერ განსაზღვრულ სხვა რეგულაციებს. სებ-ის რეგულაციის მიხედვით, პილარ 3-ის ანგარიშში გამჟღავნებული ინფორმაცია არ საჭიროებს აუდიტორულ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის აუდიტირებული.

1.3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღრიცხულია დამოუკიდებლად სებ-ის მიერ დადგენილი ადგილობრივი სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. CRR-ის 432-ე მუხლი არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, უფლებას აძლევს ინსტიტუტებს არ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც ითვლება არამატერიალურად. სებ-ის რეგულაციის 3.3. მუხლი „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების“ შესახებ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, კერძოდ იმ ინფორმაციის არ გამჟღავნებას, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკზე. სხვაობები აღრიცხვისა და კონსოლიდაციის მარეგულირებელ სფეროებს შორის, იხილეთ დანართის მე-12 ცხრილში. კონსოლიდაციის რეგულირების მეთოდები იხილეთ დანართის მე-13 ცხრილში.

1.4 სიხშირე და მედია საშუალებები

სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი გააგრძელებს პილარ 3-ის ანგარიშის წარდგენას ყოველწლიურად, ხოლო კონკრეტული რაოდენობრივი ცხრილების წარდგენას ყოველკვარტალურად. წინამდებარე დოკუმენტის ასლი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ვებ-გვერდზე (<https://libertybank.ge/ka/chven-shesakheb/investorebistvis/pinansuri-inpormatsia/regulatory-financial-reporting-to-the-national-bank-of-georgia>) და სებ-ის ვებ-გვერდზე (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=673>).

1.5 პილარ 3-ის ინფორმაციის გამჟღავნება და ადგილმდებარეობა

ქვემოთ ცხრილში აღწერილია თუ როგორ ასრულებს ბანკი CRR-ს, ასევე სეზ-ის რეგულაციის თითოეულ მუხლს.

პილარ 3-ის ანგარიშში გასამჟღავნებელი მთავარი ინფორმაცია, რომელიც ასახულია CRR და სეზ-ის რეგულაციაში

CRR ნომ.	პილარ 3-ის გამჟღავნების საგანი	მუხლი სეზ-ის რეგულაციაში	პოზიცია პილარ 3-ის ანგარიშში
431	გამჟღავნების მოთხოვნების სფერო	მუხლი 3.8	სექცია 1.1, 1.2
432	არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაცია	მუხლი 3.3	სექცია 1.3
433	გამჟღავნების სიხშირე	მუხლი 3.1; 3.5	სექცია 1.4
434	გამჟღავნების საშუალებები	მუხლი 3.4	სექცია 1.4
435	რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა	მუხლი 6.2	სექცია 6
436	გამოყენების სფერო	მუხლი 6.1; დანართი 2: ცხრილი 21	სექცია 1.3
437	საკუთარი სახსრები	დანართი 1: ცხრილი 9; 10	სექცია 7.2, 7.5.1 და 7.5.3
438	კაპიტალის მოთხოვნები	დანართი 1: ცხრილი 5; 9.1; 11; 13	სექცია 7.3.1, 7.5.2 და 7.5.3
439	კონტრაგენტის საკრედიტო რისკის პოზიცია	დანართი 1: ცხრილი 15	დანართი: ცხრილი 15
440	კაპიტალის ბუფერები	დანართი 1: ცხრილი 9.1	სექცია 7.1 and 7.3
441	გლობალური სისტემური მნიშვნელობის ინდიკატორები	N/A	N/A
442	საკრედიტო რისკის შესწორებები	მუხლი 6.3; დანართი 1: ცხრილი 16-19	სექცია 8.1, 8.2.4, 8.3 და 8.5
443	დაუტვირთავი აქტივები	N/A	N/A
444	ECAIs-ს გამოყენება	მუხლი 6.3	სექცია 8.2.5
445	საბაზრო რისკის პოზიცია	მუხლი 6.3 (გ)	სექცია 9
446	საოპერაციო რისკი	მუხლი 6.3 (გ) დანართი 2: ცხრილი 22; 23	სექცია 10
447	კაპიტალის რისკები, რომელიც არ გაითვალისწინება სავაჭრო პორტფელში	N/A	N/A
448	საპროცენტო განაკვეთის რისკი	N/A	სექცია 9.2
449	სეკურიტიზაციის რისკის პოზიციები	N/A	N/A
450	ანაზღაურების პოლიტიკა	მუხლი 7; დანართი 2: ცხრილი 24-27	სექცია 5
451	ლევერიჯი	N/A	სექცია 7.6
452	IRB მიდგომის გამოყენება საკრედიტო რისკებზე	N/A	სექცია 7.5
453	საკრედიტო რისკების მიტიგაციის გამოყენება	მუხლი 6.3 დანართი 1: ცხრილი 12	სექცია 8.6
454	AMA-ის გამოყენება საოპერაციო რისკზე	N/A	N/A
455	შიდა საბაზრო რისკის გამოყენება	N/A	N/A

შენიშვნა: N/A (not applicable) - არ შეესაბამება

2 ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია

2.1 ძირითადი მონაცემები

სს ლიბერთი ბანკი („ბანკი“), რომლის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, სიდიდით საქართველოში მესამე უმსხვილესი ბანკია, მთლიანი აქტივებით (სებ-ის შესაბამისად) - 1,848 მილიონი ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკი საქმიანობს მხოლოდ საქართველოში და აქვს ყველაზე დიდი საცალო ქსელი, რომელიც აერთიანებს 450-ზე მეტ ფილიალსა და სერვის ცენტრს.

სს ლიბერთი ბანკის რეიტინგები

Fitch Ratings		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
უცხოური ვალუტის გამცემის დეფოლტი	გრძელვადიანი	B+	სტაბილური	16-აპრილი-19
	მოკლევადიანი	B	-	
მხარდაჭერის რეიტინგი		4	-	
მხარდაჭერის რეიტინგის დონე		B	-	


Standard & Poor's		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
კონტრაგენტი	გრძელვადიანი	B	პოზიტიური	17-მაისი-18
	მოკლევადიანი	B		

Moody's		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
ადგილობრივი ვალუტა	გრძელვადიანი	B1	პოზიტიური	24-მაისი-18
უცხოური ვალუტა		B1		


2018 წლის განმავლობაში ბანკმა გააგრძელა თავისი კაპიტალის დონის გაძლიერება. ძირითადად პირველადმა კაპიტალმა (Common Equity Tier 1 - “CET1”), პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ, შეადგინა 211 მილიონი ლარი, რაც 30%-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემებს.

რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები (Risk Weighted Exposure - “RWE”) გაიზარდა 1,532 მილიონ ლარამდე, რაც განაპირობა მთლიანი აქტივების ზრდამ, ოქროს მიტიგაციის კლებამ და საოპერაციო რისკების 37 მილიონი ლარით ზრდამ.


საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი



მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი ლარებში




RWE, მილიონ ლარში




RWE რისკის ტიპის მიხედვით მილიონ ლარში

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- საოპერაციო რისკი




2018 წელს ბანკმა დაიწყო ლიკვიდური აქტივების უფრო ეფექტურად გამოყენება და ლიკვიდური სახსრებით კორპორატიული სესხების დაფინანსება, შედეგად, ლიკვიდობის პოზიციამ წლის განმავლობაში საგრძნობლად დაიკლო. 2018 წლის ბოლოსთვის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (სებ-ის შესაბამისად) და ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ-ის შესაბამისად) იყო 185% და 51%.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი



ლიკვიდობის კოეფიციენტი



ბანკის წმინდა მოგებამ 2018 წელს შეადგინა 52.0 მილიონი ლარი, 0.72%-იანი შემცირებით წინა წელთან შედარებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივები შეადგენდა 1,847.5 მილიონ ლარს, რაც 2.1%-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემს, და მთლიანი სააქციო კაპიტალი შეადგენდა 277.5 მილიონ ლარს, რაც 22.7%-ით აღემატებოდა 2017 წლის მონაცემს.

2.2 ბანკის ძირითადი ინდიკატორები და ფინანსური ანგარიშგება

ცხრილი 2.2.1 ძირითადი ინდიკატორები

საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
ძირითადი პირველადი კაპიტალი	210,609,648	162,443,898	136,024,892
პირველადი კაპიტალი	215,175,032	168,582,962	142,163,956
საზედამხედველო კაპიტალი	271,168,740	232,494,384	214,438,710
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1,531,726,198	1,355,390,670	1,149,962,271

კაპიტალის კოეფიციენტები	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.75%	11.99%	11.83%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.05%	12.44%	12.36%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	17.70%	17.15%	18.65%

მოგება	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები/საშუალო წლიურ აქტივებთან	15.91%	15.44%	14.93%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები/საშუალო წლიურ აქტივებთან	6.29%	6.61%	7.47%
საოპერაციო შედეგი/საშუალო წლიურ აქტივებთან	5.21%	5.20%	3.94%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA)	2.82%	3.09%	2.23%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE)	20.63%	25.76%	21.22%

აქტივების ხარისხი	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	8.61%	10.12%	10.15%
სშდრ / მთლიან სესხებთან	9.56%	11.11%	10.93%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	21.92%	1.54%	3.67%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	27.05%	20.00%	26.05%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	9.10%	29.78%	3.19%

ლიკვიდობა	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	35.78%	40.06%	46.37%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	29.57%	25.95%	32.82%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	45.63%	36.11%	36.80%

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი *	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	681,357,537	733,359,924	769,455,943
ფულის წმინდა გადინება (სულ)	352,678,528	255,294,208	263,039,757
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	193.20%	287.26%	292.52%

* სეზ-ის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული კოეფიციენტები, რომელიც ბაზელის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონცენტრირებული ლოკალურ რისკებზე. იხილეთ ცხრილი 11 დანართში. აღნიშნული წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოადგენს საილუსტრაციო მიზნებისათვის. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის LCR დათვლილია კვარტლის საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილი 2.2.2 საბალანსო უწყისი*

	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
აქტივები			
ნაღდი ფული	212,685,636	159,390,048	145,407,565
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	162,539,717	121,631,457	257,410,188
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	102,386,837	230,837,972	146,127,456
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	-	-	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	192,727,243	218,146,845	243,041,197
მთლიანი სესხები	1,041,614,343	954,773,517	735,679,740
მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(99,568,321)	(106,061,539)	(80,378,945)
წმინდა სესხები	942,046,022	848,711,978	655,300,795
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	15,458,030	13,580,610	11,639,113
დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	63,136	97,643	492,105
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	260,644	257,257	293,273
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური	163,515,721	160,905,358	149,388,980
სხვა აქტივები	55,835,328	56,112,736	39,674,174
მთლიანი აქტივები	1,847,518,314	1,809,671,904	1,648,774,846
ვალდებულებები			
ბანკების დეპოზიტები	7,856,370	4,589,398	3,080,802
მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	598,098,931	473,130,499	468,784,023
მოთხოვნამდე დეპოზიტები	244,896,235	180,430,122	138,039,775
ვადიანი დეპოზიტები	635,845,922	671,644,737	668,724,684
საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	-	2,646,118	2,018,715
ნასესხები სახსრები	-	-	17,000,000
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	5,672,962	6,359,116	8,838,166
სხვა ვალდებულებები	29,629,166	142,022,030	63,555,067
სუბორდინირებული ვალდებულებები	48,008,568	102,616,253	92,482,782
მთლიანი ვალდებულებები	1,570,008,154	1,583,438,273	1,462,524,014
სააქციო კაპიტალი			
ჩვეულებრივი აქციები	54,628,743	54,404,798	54,233,137
პრივილეგირებული აქციები	61,391	61,391	61,391
მინუს: გამოსყიდული აქციები	(10,154,020)	(10,454,283)	(10,454,283)
საემისიო კაპიტალი	39,651,986	39,952,249	39,952,249
საერთო რეზერვები	1,694,028	1,694,028	1,694,028
გაუნაწილებელი მოგება	163,127,939	111,565,946	80,527,085
აქტივების გადაფასების რეზერვები	28,500,093	29,009,502	20,237,225
მთლიანი სააქციო კაპიტალი	277,510,160	226,233,631	186,250,832
მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი	1,847,518,314	1,809,671,904	1,648,774,846

*ინფორმაცია გარესბალანსო ელემენტების შესახებ იხილეთ დანართის 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 2.2.3 მოგება-ზარალის უწყისი

ლარში	31/12/2018	31/12/2017	31/12/2016
საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	15,242,283	5,501,932	4,379,598
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	244,671,111	215,794,913	196,769,717
ბანკთაშორის სესხებიდან	439,024	149,605	991,032
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან	1,158,770	57,092	193,976
ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან	-	-	-
სოფლის მეურნეობის და მეტყვევობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	15,217	16,376	17,561
მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	1,017	-	-
სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან	-	-	-
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	-	-	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	237,673,327	215,016,665	194,964,976
დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან	5,383,756	555,175	602,172
შემოსავლები ჯარიმებიდან/საუზრევებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით	13,097,408	21,448,494	17,398,540
საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	19,866,470	18,877,400	17,677,190
სხვა საპროცენტო შემოსავლები	101,697	25,638	42,157
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები	292,978,969	261,648,377	236,267,202
მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	39,813,822	32,801,595	40,883,041
ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	68,216,258	65,370,215	65,294,421
ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	11,226	93,149	127,877
საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები	7,784,629	13,570,535	10,809,334
ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	-	232,920	1,027,027
სხვა საპროცენტო ხარჯები	305	315	466
მთლიანი საპროცენტო ხარჯები	115,826,240	112,068,729	118,142,166
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	177,152,729	149,579,648	118,125,036
წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	37,046,926	66,395,673	60,303,836
საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	47,130,548	76,108,055	69,249,921
საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	10,083,622	9,712,382	8,946,085
მიღებული დივიდენდები	-	-	-
მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან	-	-	-
მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	(608,118)	(84,890)	20,091
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	5,667,815	(33,882)	6,294,422
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(695,175)	1,536,374	(7,900,011)
მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან	183,487	(478,280)	1,499,797
სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები	1,280	2,235	4,480
სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	4,190,379	2,968,613	2,217,603
მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	45,786,594	70,305,843	62,440,218
სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები	2,753,934	166,809	53,009
ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	6,060,863	9,384,462	10,447,999
ბანკის პერსონალის ხარჯები	66,782,087	70,165,697	65,615,298
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	1,613,130	1,346,985	1,345,079
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	21,722,702	20,893,516	19,420,917
სხვა არასაპროცენტო ხარჯები	29,140,466	28,825,664	27,675,846
მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები	128,073,182	130,783,133	124,558,148
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	(82,286,588)	(60,477,290)	(62,117,930)
წმინდა მოგება დარეზერვებამდე	94,866,141	89,102,358	56,007,106
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	37,712,183	26,623,163	15,642,232
ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	1	-	1,569,877
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(282,637)	715,184	501,867
მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	37,429,547	27,338,347	17,713,976
მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე	57,436,594	61,764,011	38,293,130
მოგების გადასახადი	5,435,166	9,385,303	3,000,000
მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ	52,001,428	52,378,708	35,293,130
გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	-	-	-
წმინდა მოგება	52,001,428	52,378,708	35,293,130

2.3 ბიზნეს სტრატეგია

2017 წლის ბოლოს ბანკში მოვიდა მმართველობის ახალი გუნდი, რომელმაც შემოიტანა ინოვაციები მმართველობასა და ბიზნეს მოდელებში.

შეიცვალა ბანკის ბიზნეს მოდელი. რეგიონულ დონეზე დაინერგა ერთიანი იერარქიული სტრუქტურა და გაუმჯობესდა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ადგილზე მიღების ტემპი. წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში რისკის პოზიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დელეგირება ხდება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ბანკმა დაიწყო პირველი ხაზის გაყიდვებზე ორიენტირებისა და ოპერაციების დამტკიცების ბექ ოფისში გადანაცვლების პროცესი. პირველი ხაზი აგრეთვე გაუმჯობესდა ადამიანური რესურსების პროგრამასთან ინტეგრირებული სამოტივაციო სისტემით, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს თავიანთი საქმიანობა ყოველდღიურად შეაფასონ. ერთიანი შეფასების განახლებული მოდელი განაპირობებს საბანკო ოპერაციების თანმიმდევრულობას.

დირექტორთა საბჭოს მთავარი მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს აქციონერების ღირებულება, საქართველოში ბანკის ერთ-ერთ წამყვან კომერციულ ბანკად გარდაქმნის გზით - მასობრივ საცალო ბაზარსა და კორპორატიულ სეგმენტებზე ფოკუსირებით. ბანკს გააჩნია მრავალფუნქციური სადისტრიბუციო ქსელი, რომელიც მოიცავს სრული მომსახურების ფილიალებს, სერვისცენტრებს, მცირე ზომის გაყიდვების ობიექტებს და ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც მესამე მხარის ბიზნესშია განთავსებული.

2019 წლის გეგმები

- 2019 წლის განმავლობაში ბანკი გეგმავს, რომ შეინარჩუნოს სტაბილურობა ბაზარზე, როგორც სიდიდით მესამე ბანკმა და მიზნად ისახავს გაფართოვდეს, გაზარდოს პორტფელი და შეამციროს ფონდირების ხარჯი. აღსანიშნავია, რომ ბანკს აქვს ყველაზე მაღალი საბაზრო წილი ადგილობრივი ვალუტის ინდივიდუალურ დეპოზიტებზე (48.5%, სიდიდით მეორე 17.8% წილთან შედარებით) და სიდიდით მეორე საბაზრო წილის მიხედვით ადგილობრივი ვალუტის ინდივიდუალურ ვადიან დეპოზიტებზე (26.1%, სიდიდით მესამე 23.7% წილთან შედარებით).

უნივერსალური საბანკო მომსახურება

- ბანკის მენეჯმენტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს უნივერსალური საბანკო სისტემის შეთავაზება კლიენტებისთვის, რომელიც მოიცავს კორპორატიული პორტფელის გაზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვას და მასობრივ საცალო ბაზარზე არსებული პოზიციის შენარჩუნებას (იხილეთ ცხრილი 2.3.1)
 - შემცირებული ფონდირების ხარჯი, რაც ბანკს საშუალებას მისცემს იქონიოს კონკურენტუნარიანი კორპორატიული და მცირე და საშუალო საბანკო მომსახურება.
 - ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება.

ციფრული საბანკო მომსახურება

- ბანკმა განაახლა ინტერნეტ საბანკო მომსახურება კლიენტებისთვის, რაც გაზრდის მომხმარებელთა ჩართულობას, საოპერაციო ეფექტურობასა და შესაბამისობას.
 - კორპორატიული კლიენტებისთვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება უფრო კომფორტულ და სასიამოვნო გარემოს შექმნის, რაც გაზრდის მათ რიცხვს.

კლიენტების მომსახურება

- ბანკმა მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა კლიენტების მომსახურების გაუმჯობესებაში თანამშრომლების გაძლიერებით, კლიენტებისთვის თვითმომსახურების შესაძლებლობის მიცემით, სენსორული ტექნოლოგიის განვითარებით, კლიენტების სეგმენტაციით და პერსონალიზირებული გამოცდილების შექმნით.
 - ახალი ფილიალები კონცენტრაციის გადასანაწილებლად და რიგებისა და მოცდის დროის შესამცირებლად:
 - **ლიბერთი** – უნივერსალური საბანკო მომსახურება.
 - **ლიბერთი 365** – უნივერსალური საბანკო და სოციალური მომსახურება.
 - **365** – მცირე ზომის ფილიალები შეზღუდული ოპერაციებითა და მომსახურებით.
 - ახალი და ინოვაციური ბანკომატები, რომლებიც კლიენტს საშუალებას მისცემს მართოს საკუთარი ფინანსები, ჩარიცხოს და გაანაღდოს ნაღდი ფული.

სოციალური პასუხისმგებლობა

- ბანკმა აქტიურად დაიწყო გარემოსთვის სასარგებლო პროექტების განხორციელება:
 - „მწვანე ყუთები“ - სადაც გამოყენებული ქაღალდები გროვდება გადასამუშავებლად.
 - უფასო განათლება სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის
 - სოლიდარობის ფონდი 22 წლამდე კიბოს პაციენტებისთვის
 - უფასო კომპიუტერული განათლება 60+ ასაკის მოსახლეობისთვის
 - სოციალური მომსახურების სააგენტო ბავშვებისა და მოხუცებისთვის - კომუნალური გადასახადები მათი თავშესაფრისთვის

ცხრილი 2.3.1 ბანკის მთავარი სტრატეგიული მაჩვენებლები (ფასს-ის შესაბამისად)

მომგებიანობა	31-დეკემბერი-18	31-დეკემბერი-17
უკუგება აქტივებზე, (გაწლიურებული), %	3.36%	3.20%
უკუგება კაპიტალზე, (გაწლიურებული), %	26.32%	26.34%
საპროცენტო მოგება/საშუალო საპროცენტო შემოსავლიანი აქტივები (გაწლიურებული), %	21.78%	24.50%
ფონდირების ხარჯი (გაწლიურებული),%	9.50%	9.91%

აქტივების ხარისხი	31-დეკემბერი-18	31-დეკემბერი-17
უმოქმედო სესხები/მთლიანი სესხები, %	8.32%	11.20%
რისკის ხარჯი	3.72%	4.82%

ლარში	31-დეკემბერი-18	31-დეკემბერი-17
მთლიანი სესხები	1,061,646,716	866,551,493
კორპორატიული სესხები	191,479,244	3,828,994

3 საკუთრებისა და ჯგუფის სტრუქტურა

3.1 საკუთრების სტრუქტურა

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ მითითებული აქციონერები ფლობდნენ განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 1%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 1%-ზე ნაკლებს.

საკუთრების სტრუქტურა

აქციონერი	31-დეკემბერი-18		31-დეკემბერი-17	
	საკუთრების წილი, %	ხმის მიცემის უფლებები, %	საკუთრების წილი, %	ხმის მიცემის უფლებები, %
Georgian Financial Group B.V.	61.18%	75.00%	60.46%	74.64%
სს „პერიტიჯ სიქიურიტიზ“ (ნომინალური მფლობელი)	14.69%	18.01%	7.35%	9.08%
ლიბერთი ბანკი (სახაზინო აქციები)	18.43%	0.00%	19.00%	0.00%
BNY Limited (ნომინალური მფლობელი)	0.00%	0.00%	6.96%	8.59%
სს „გალტ & თაგარტი“	3.47%	4.25%	3.44%	4.25%
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ნომინალური მფლობელი)	0.98%	1.20%	1.43%	1.76%
სხვა აქციონერები (ინდივიდუალურად ფლობენ 1%-ზე ნაკლებს)	1.26%	1.54%	1.37%	1.69%
სულ	100.00%	100.00%	100.00%	100.00%

ბანკი არის ღია სააქციო საზოგადოება და მისი ჩვეულებრივი აქციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე. თავისუფალ მიმოქცევაში არსებული აქციების წილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 24.1%-ს (31 დეკემბერი 2017 წელი: 24.0%).

2017 წლის 13 ოქტომბერს Georgian Financial Group B.V. („GFG“), ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულმა და ორგანიზებულმა კომპანიამ, შეისყიდა ბანკის აქციების 74.64%-იანი წილი.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის ბენეფიციარი მფლობელები, რომლებიც ფლობდნენ აქციების 5%-ზე მეტს, იყვნენ:

ბენეფიციარი მფლობელები	
ირაკლი ოთარ რუხაძე	25.01%
ბენჟამინ ალბერტ მარსონი	25.00%
იგორ ალექსევი	25.00%

3.2 ჯგუფის სტრუქტურა

ბანკი არის ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული საწარმოების მშობელი კომპანია, რომლებიც კონსოლიდირებულია აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (ფასს-ის შესაბამისად). საზედამხებდევლო და სხვა მნიშვნელოვანი მიზნებისთვის, აღნიშნული კომპანიები არ არის კონსოლიდირებული და ბანკს მოეთხოვება შეასრულოს ყველა საზედამხებდევლო მოთხოვნა დამოუკიდებლად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა წმინდა ინვესტიციებმა აღნიშნულ კომპანიებში შეადგინა 0.3 მილიონი ლარი სეზ-ის შესაბამისად, 0.1 მილიონი ლარი ფასს-ის შესაბამისად (31 დეკემბერი 2017 წ: 0.3 მილიონი ლარი), რაც არამატერიალურია.

ბანკის საკუთრების წილი

სახელი	რეგისტრაციის ქვეყანა	31-დეკ-18	31-დეკ-17	რეგისტრაციის თარიღი	საკმეიანობები
შპს Bus Stop ⁽¹⁾	საქართველო	100.00%	100.00%	27-აგვისტო-09	Outdoor advertising
LBF Luxembourg S.A. ⁽²⁾	ლუქსემბურგი	0.00%	100.00%	20-ივლისი-15	Financial intermediary services
სს სმარტექსი	საქართველო	21.47%	21.47%	5-იანვარი-09	Early-stage VC investments

(1) ამჟამად უმოქმედო.

(2) LBF Luxembourg S.A-მა არსებობა შეწყვიტა 2018 წლის დეკემბერში ფასს-ის შესაბამისად, ხოლო 2019 წლის იანვარში სეზ-ის შესაბამისად.

4 კორპორაციული მართვა


4.1 კორპორაციული მართვის სტრუქტურა

კორპორაციული მართვის ჩარჩო მიმოიხილავს ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურას, პრინციპებს, პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მოლოდინები.

აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემა ექვემდებარება მიმდინარე მიმოხილვას, შეფასებასა და გაუმჯობესებას. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად წერგავს მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც განკუთვნილია იმისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ინტერესები შეუსაბამოს აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ყველა დონეზე ეთიკური ქცევისა და რისკის მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

"ლიბერთი ბანკის" საერთო აქციები წარმოდგენილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების მიერ გამოყენებული დადგენილი პოლიტიკა და პროცედურები აღწერილია პილარ 3-ის ანგარიშის სხვა სექციებში. სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების, მენეჯმენტის, აქციონერების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის ფუნდამენტური ურთიერთობები ეფუძნება ბანკის მმართველობის სტრუქტურას, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. მისი საშუალებით დგინდება ბანკის მმართველობის ეთიკური ღირებულებები, სტრატეგიული და კორპორაციული მიზნები და განისაზღვრება ამ მიზნების მიღწევისა და მონიტორინგის ჩატარების გეგმები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



4.2 აქციონერთა წლიური საერთო კრება

აქციონერთა წლიური საერთო კრება (Annual General Meeting - “AGM”) არის ბანკის დაინტერესებული აქციონერების სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები ხმას აძლევენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა სამეთვალყურეო საბჭოში დანიშვნა, ხელმძღვანელობის ანაზღაურება, დივიდენდის გადახდა და აუდიტორების შერჩევა.

4.2.1 წლიური საერთო კრების მოწვევა

წლიური საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ. ბანკის წესდების შესაბამისად, წლიურ საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭო იწვევს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვების გარე აუდიტის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ის საკითხები, რომლებიც არ იქნა განხილული წლიური საერთო კრების მიერ და შედის წლიური საერთო კრების პასუხისმგებლობის ფარგლებში, განიხილება და გადაწყდება რიგგარეშე საერთო კრებებზე (Extraordinary General Meetings - “EGM”). საგანგებო საერთო კრებების რაოდენობა წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან წლამდე. EGM შეიძლება მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭომ, დირექტორთა საბჭომ ან წერილობითი მოთხოვნით აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების

მინიმუმ 5%-ს. აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ ხმა მისცენ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნას ფოსტით.

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

AGM-ის ან/და EGM-ის ჩატარების თარიღისთვის რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში (საჭიროების შემთხვევაში). აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ ხმა მისცენ მინდობილობის საფუძველზე.

ბანკის ხმის უფლების 75%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს შეუძლია მიიღოს დადგენილება საერთო კრების მოწვევის გარეშე. ასეთი გადაწყვეტილება ექვივალენტურია აქციონერთა საერთო კრების ოქმისა და ითვლება აქციონერთა საერთო კრების რეზოლუციად. მსგავს შემთხვევებში, დარჩენილი აქციონერები იღებენ ცნობას რეზოლუციის შესახებ. თუ ბანკის აქციების 75%-ს ფლობს ერთზე მეტი მესაკუთრე, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა სავალდებულოა.

4.2.2 წლიური საერთო კრების ფუნქციები

საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების მიხედვით, წლიურ საერთო კრებაზე აქციონერებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება შემდეგ საკითხებზე:

კორპორაციული მართვა

- წესდების მიღება, დამტკიცება და ცვლილება.
- ბანკის კონსოლიდაცია, გაერთიანება, დაშლა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და/ან ტრანსფორმაცია.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება.
- ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება.

დამტკიცების უფლებამოსილებები

- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა.
- წლიური ანგარიშის და ანგარიშგებების დამტკიცება.
- დამოუკიდებელი აუდიტორების შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება.
- სამეთვალყურეო საბჭოს და/ან დირექტორთა საბჭოს წინადადების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ ან მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები არ წარმოადგენენ საერთო წინადადებას.

კონტროლის უფლებები

- გადაწყვეტილებების მიღება ბანკის ქონების შემენასთან, გაყიდვასთან, გადაცემასთან, გაცვლასთან (ან დაკავშირებულ გარიგებებთან) ან სხვა დატვირთვასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 10%-ს.

4.2.3 2018 წელს ჩატარებული აქციონერთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებები

იმის გათვალისწინებით, რომ Georgian Financial Group B.V.-ს აქვს ბანკის აქციების 75%-ზე მეტი, 2018 წელს GFG-მ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო:

31 მაისი, 2018

- EY კომპანიის ბანკის დამოუკიდებელ აუდიტორად დანიშნა 2018-2019 წლებისთვის.
- 2017 წლის ბანკის აუდიტებული კონსოლიდირებული ფასის ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება.
- 2017 წლის პრივილეგირებულ კონვერტირებად აქციებზე 17% დივიდენდების გაცემის დადასტურება.

18 ივნისი, 2018

- გიორგი კალანდარიშვილის სამეთვალყურეო საბჭოდან გადადგომის წერილის დადასტურება.
- ირაკლი მანაგაძის არჩევა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

8 ნოემბერი, 2018

- მამუკა წერეთელის არჩევა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

11 დეკემბერი, 2018

- საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებულ, ორგანიზებულ და ხელშეწყობილ პროექტში მონაწილეობის მიღების დადასტურება.

4.2.4 კომუნიკაცია და მედია განცხადებები

როგორც წლიური საერთო კრების, ასევე რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება ბეჭდურ მედიაში კრების ჩატარების თარიღამდე მინიმუმ 20 დღით ადრე. გარდა ამისა, უმცირესობის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დამატებითი ზომების სახით, აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ბანკის აქციების მინიმუმ 1%-ს, პირადად ეცნობებათ კრების და დღის წესრიგის შესახებ რეგისტრირებული ან ელექტრონული ფოსტით.

4.3 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობებია:

- ბანკში კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების ხელშეწყობა.
- აქციონერთა სასარგებლოდ ბანკის განვითარების ხელშეწყობა და მდგრადი ღირებულებების შექმნა და უზრუნველყოფა.
- მმართველობითი ორგანოების მიერ ბანკის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შენარჩუნება.

4.3.1 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედის აქციონერთა საერთო კრების მიერ არჩეული მინიმუმ სამი და მაქსიმუმ შვიდი წევრი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დირექტორთა საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობით, რომ დირექტორთა საბჭოს წევრები არ შეადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობას. თუმცა, სეზონის ახალი რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ივნისიდან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში და არ უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს კრებებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ხელს აწერს შესაბამის კრების ოქმებს, კრების მდივანთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს კრება შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

31-დეკემბერი-18	სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
თავმჯდომარე	ირაკლი ოთარ რუხაძე
საბჭოს წევრი	დავით შონია
საბჭოს წევრი	ირაკლი მანაგაძე
საბჭოს წევრი	მამუკა წერეთელი

4.3.2 სამეთვალყურეო საბჭოს განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ფართო სპექტრის ცოდნა და გამოცდილება აქვთ ფინანსური ანალიზის, კაპიტალის ბაზრების, ფინანსური ანგარიშგების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სტრატეგიული დაგეგმარების, რისკის მართვის, კომპენსაციის, რეგულაციების, კორპორაციულ მართვასა და მენეჯმენტში და, ამასთან, შეხედულებათა მრავალფეროვნების ხელშეწყობისათვის საჭირო უნარებს ფლობენ. ისინი გამოირჩევიან ადგილობრივი, რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური და საბაზრო ძალებისა და სამართლებრივი თუ მარეგულირებელი გარემოს სიღრმისეული გააზრებით. მათი გამოცდილებისა და უნარების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკების შემცირებაში ბანკის დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ.

ირაკლი ოთარ რუხაძე



უნარები და გამოცდილება:

ირაკლი ოთარ რუხაძე სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული. 2011 წლიდან იგი გახლდათ შპს Hunnewell Partners (UK) LLP-ის პარტნიორი ლონდონში. ირაკლი წარმოადგენდა Salford Capital Partners-ის LP Salford Georgia-ს აღმასრულებელ დირექტორსა და პარტნიორს თბილისში. აღმასრულებელი დირექტორის რანგში ირაკლი რუხაძე ხელმძღვანელობდა Salford-ის ქართულ ოპერაციებს და, ამავე დროს, პასუხისმგებელი იყო სპეციფიურ მიმართულებებზე (ტელეკომუნიკაცია, უძრავი ქონება) ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მან

წარმატებით განახორციელა ბევრი ცნობილი ბიზნეს გარიგება საქართველოში. მისი ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს ეკონომიკამ დაახლოებით \$ 150 მილიონის ინვესტიცია მოიზიდა. 2001-2003 წლებში ირაკლი გახლდათ შპს Argo Ventures-ის დამფუძნებელი და პარტნიორი ბოსტონში, მასაჩუსეტში. კომპანია ორიენტირებულია კერძო კომპანიებისათვის კონსულტაციების გაწევაზე – არაუზრუნველყოფილი კაპიტალის საკითხებზე კონსულტაციების ჩათვლით. კლიენტებს შორის იყო Global Realty Outsourcing - აშშ-ს უძრავი ქონების ანალიზის სფეროში წარმატებული კომპანია, რომლის ინვესტორთა სიაში ამჟამად ირიცხებიან Citigroup და First Union Securities. გარდა აღნიშნულისა, ირაკლი წარმოადგენდა შპს Caucasus Advisors LLC-ის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს ბოსტონში, მასაჩუსეტში, და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა მრავალმილიონიანი საინვესტიციო ფონდის მართვა კავკასიის რეგიონში არსებულ კომპანიებში ინვესტირების მიზნით. ირაკლი ასევე იკავებდა ჩართულობის მენეჯერის პოზიციას McKinsey & Company Inc.-ში ბოსტონში, მასაჩუსეტში და დიუსელდორფში, გერმანიაში, სადაც იგი უძღვებოდა კონსულტაციებს და ჩართული იყო პრობლემების მოგვარების კუთხით კლიენტის კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

განათლება:

ირაკლი ოთარ რუხაძემ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა Tuck School of Business at Dartmouth College; იგი ასევე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მათემატიკისა და ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით.

დავით შონია



უნარები და გამოცდილება:

დავით შონია სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული. 2012 წლიდან დავითი Hunnewell Partners Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებს. მისი ძირითადი მოვალეობები მოიცავს სტაბილური ფულადი ნაკადების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას, ფინანსური რეპორტების მონიტორინგსა და კონტროლს. დავითი 2007-2011 წლებში Salford Georgia-ს ფინანსური დირექტორი გახლდათ; მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა Salford Georgia-ს კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებში ეფექტური და მოქნილი

ფინანსური სტრუქტურების მომზადება და შენარჩუნება, ასევე ფინანსური რეპორტების მონიტორინგი და კონტროლი. 2005-2007 წლებში დავითი ტელეკომპანია "იმედის" (სამაუწყებლო კომპანია) ფინანსური დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

განათლება:

დავითმა დაამთავრა ევროპული მართვის სკოლა (ქართულ-ფრანგული ერთობლივი ინსტიტუტი) თბილისში, საქართველოში და ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

ირაკლი მანაგაძე

უნარები და გამოცდილება:

ირაკლი მანაგაძე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად აირჩიეს 2018 წლის 22 ივნისს (2019 წლის იანვრიდან ირაკლი მანაგაძე აღარ არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი). 2018 წლის 14 სექტემბერს იგი აგრეთვე აირჩიეს ბანკის აუდიტის კომიტეტის წევრად და თავმჯდომარედ. ირაკლი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და თავმჯდომარე 1998-2005 წლებში. ეს წლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, ვინაიდან ქვეყანა, რომელსაც ახალი გამოცხადებული ჰქონდა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა და იმყოფებოდა სამოქალაქო ომის აქტივობების შემდგომ პერიოდში, პროაქტიულად იწყებდა ახალი და სანდო განვითარებადი ფინანსური ბაზრის შექმნას და ირაკლის, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, წვლილი იყო გამორჩეული. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული ბანკი ჩამოყალიბდა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურ გამტარებლად და ზოგადი შიდა ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის განმაპირობებლად. 2005 წელს, სეზ-ის პრეზიდენტად წლების განმავლობაში მუშაობისა და სეზ-ის სანდოობის, შექმნილი მყარი ურთიერთობებისა და საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან, მულტინაციონალურ ბანკებთან და საინვესტიციო ფონდებთან კოოპერაციის შემდეგ, ირაკლი წავიდა სეზ-იდან და განაგრძო თავისი პროფესიული კარიერა მსოფლიოში სახელგანთქმულ საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებში. 2015 წლამდე იგი მუშაობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში ფინანსური დაწესებულებების ჯგუფში პოლიტიკის უფროს მრჩეველად. ამჟამად იგი მუშაობს უფროს მრჩეველად შპს. J. Stern & Co -ში და კონსულტანტად მსოფლიო ბანკში. ირაკლის მინიჭებული აქვს რამდენიმე ჯილდო, მათ შორის ერთ-ერთი საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანის გამო.

განათლება:

ირაკლი მანაგაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფლობს სპეციალისტის ხარისხს ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში და დოქტორის ხარისხს ეკონომიკაში სოციო-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების ვ. მელქაძის მეცნიერებისა და კვლევის ინსტიტუტიდან.

მამუკა წერეთელი



უნარები და გამოცდილება:

დოქტორი მამუკა წერეთელი აირჩიეს ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2018 წლის დეკემბერში. დოქტორი წერეთელი არის America-Georgia Business საბჭოს პრეზიდენტი, Georgian House of Greater Washington, LLC-ის დამფუძნებელი და დირექტორი და American Foreign Policy Council-ში Central Asia-Caucasus Institute-ის უფროსი მკვლევარი. ის ასევე American University's School of International Service-ის ფაკულტეტის წევრია (Washington, DC & John Hopkins SAIS).

2013 წლის 11 მაისამდე მამუკას ამერიკის უნივერსიტეტის School of International Service (SIS)-ის Center for Black Sea-Caspian Studies-ის დირექტორის თანამდებობა ეკავა. მანამდე ის ასისტენტ პროფესორად მუშაობდა (2007-2011) და ამერიკული უნივერსიტეტის დამხმარე ფაკულტეტის წევრი იყო (2002-2007). 2006-2007 წლებში მამუკა George Washington University-ში Elliott School of International Affairs-ის დეკანატის წევრი იყო, სადაც ასწავლიდა ენერგო და სამოქალაქო უსაფრთხოებას.

12 წლის განმავლობაში მამუკა America-Georgia Business Council (AGBC)-ის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. ამჟამად ის ორგანიზაციის პრეზიდენტი. საბჭო არის საქართველოში აშშ-ის ბიზნეს ინტერესების ხელშეწყობის და აშშ-საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ინსტრუმენტი. მამუკას სახელს უკავშირდება AGBC-ს მიერ ორგანიზებული 20-ზე მეტი ყოველწლიური კონფერენციები, რომელიც ქართულ-ამერიკულ ეკონომიკურ პარტნიორობას მიძღვნილი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე პოპულარული ფორუმების სერია გახდა. ყოველწლიური კონფერენციების გარდა, მამუკა უძღვებოდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვის მრავალ სესიას. ამ სესიებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IMF, World Bank, IFC, EBRD) წარმომადგენლები, ა.შ.შ.-ს ექსპორტიორი სააგენტოები (Ex-Im Bank, OPIC, TDA), დონორი სააგენტოები (USAID, MCC), აშშ-ის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რეგიონის კერძო კომპანიები და ექსპერტები. 2007-2008 წლებში მამუკა წერეთელი ხელმძღვანელობდა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს საქართველოსთვის ტურიზმის სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის პროექტს, რომელიც დაფინანსებული იყო US Trade and Development Agency-ის მიერ.

განათლება:

დოქტორმა წერეთელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქვს ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრის წოდება. მას აგრეთვე აქვს University of Maryland College მეცნიერებების მაგისტრის წოდება და რუსეთის ეკონომიკისა და პროგნოზის ინსტიტუტის მეცნიერების აკადემიის დოქტორის წოდება.

4.3.3 სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნება და დამოუკიდებლობა

სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ უნარების, ბიოგრაფიის, ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ბიზნესის ეფექტურად წარმართვისთვის. სამეთვალყურეო საბჭო მისი ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტით მუშაობს რათა უზრუნველყოს უნარების, გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და საბანკო ცოდნის სათანადო დაბალანსება აღებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

2018 წლის 1 ივნისს მიღებული ახალი რეგულაციის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო აპირებს საბჭოში იყოლიოს ადეკვატური რაოდენობის დამოუკიდებელი წევრები. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს, რომელსაც უკავია და/ან მანამდე ეკავა მაღალი თანამდებობა სხვადასხვა ასოცირებულ სფეროში, თავისი გამოცდილებით და ხედვით ღირებული კონცეფციები შეაქვს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში და მნიშვნელოვანი წვლილი - გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არცერთ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა დანიშნამდე ფასდება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

4.3.4 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეთვალყურეო საბჭო შეასრულებს აღებულ პასუხისმგებლობებს, კონკრეტული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. ქვემოთ განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის საკითხები:

სტრატეგია და მართვა	- პასუხისმგებლობა ბანკის საერთო მართვაზე; - ბანკის კომერციული და საინვესტიციო სტრატეგიების, წლიური საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების დამტკიცება და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; - ბანკის საქმიანობის კონტროლი;
ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი	- ბანკის ოპერირების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფა; - აქციებთან დაკავშირებული ხმის მიცემის უფლებების გამოყენება ბანკის ნებისმიერ ძირითად შვილობილ კომპანიაში და მათი ბიუჯეტის მიღება; - ფინანსური დოკუმენტაციის, აღრიცხვების და აქტივების შემოწმების ინსპექცია; - ანგარიშ-ფაქტურის დისკონტრირების ან მსგავსი შეთანხმებების გაფორმება, რომლის წლიური ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს;
რისკების მართვის ჩარჩო და რისკის დასაშვები დონე	- ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის დადგენა და კონტროლი; - რისკის მართვის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და დამტკიცება; - კონკრეტული ზომების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი გადააჭარბებს მისაღები რისკის დონეს;
შიდა კონტროლის მექანიზმები	- სამეთვალყურეო საბჭოს რეგულაციების ან მსგავსი წესების მიღება, შეწყვეტა ან შეცვლა სამეთვალყურეო საბჭოს შიდა ორგანიზაციასთან დაკავშირებით; - სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის შექმნა;
კონტრაქტები	- კაპიტალური დანახარჯების პროექტების დამტკიცება, მნიშვნელოვანი ტრანზაქციული სესხები, რომლებიც აღემატება 2.5 მილიონ აშშ დოლარს და დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები; - ნებისმიერი აქტივის ან ბანკის ბიზნესის ნებისმიერი მთლიანი ან მნიშვნელოვანი არსებითი ნაწილის გასხვისება; - იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ან შეწყვეტა, რომლის მომავალი გადახდის უფლებები ან ვალდებულებები აღემატება 1 მილიონ აშშ დოლარს წლიურად; - ბანკის მორატორიუმის გამოყენება დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით;
კომუნიკაცია	- გადაწყვეტილებების და შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცება, რომელიც უნდა წარედგინოს აქციონერებს საერთო კრებაზე; კაპიტალის ან კაპიტალთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ნებისმიერი საჯარო შეთავაზების დამტკიცება, გარდა სახაზინო აქციების და განადგურებული აქციების გაყიდვისა; - ბანკის აქციების შემცირება (მათ შორის სავალდებულო შემცირება);
დანიშნულები და ანაზღაურება	- ცვლილებები დირექტორთა საბჭოს სტრუქტურაში, ზომასა და შემადგენლობაში; - დირექტორთა საბჭოს წევრების, სავაჭრო წარმომადგენლების, აუდიტის კომიტეტის წევრების და ბანკის მატერიალური შვილობილი კომპანიების მთავარი აღმასრულებლების დანიშნულები და გათავისუფლებები; - დირექტორთა საბჭოს ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრა; - ბანკის აქციების დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, მიღება და გათავისუფლება;
კორპორაციული მართვა	- დირექტორთა საბჭოს საქმიანობების ზედამხედველობა; - დირექტორთა საბჭოსთვის ინსტრუქციების მიცემა ბანკის სხვადასხვა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ; - ბანკის ზოგადი კორპორაციული მართვის სისტემის ანალიზი, წლიური ანგარიშგების და დირექტორთა საბჭოს წინადადებების განხილვა მოგების განაწილების შესახებ; - აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა; - ახალი შვილობილი კომპანიის დაფუძნება ან წილის შეძენა ნებისმიერი კორპორაციის კაპიტალის აქციებში;
სხვა	- ნებისმიერი დავის წამოწყება, წარმოება ან გადაწყვეტა, როდესაც დავის თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს, და დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეებთან ან სასამართლო წარმოებებთან დაკავშირებულ პირებთან, რომლებსაც ბანკის მმართველი პოზიციები უკავიათ; - ნებისმიერ პირთან ან ბიზნეს ერთეულთან პარტნიორობის ან ერთობლივი ბიზნეს შეთანხმებების გაფორმება; - ნებისმიერი პოლიტიკური წვლილის ან პოლიტიკური დონაციის განხორციელება; - ბანკის ნებისმიერი საჯარო კაპიტალის გაყიდვა/რეკაპიტალიზაცია და ნებისმიერ აქციებზე გადატანის ან დატვირთვის დამტკიცება;

სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანია ბანკისთვის სტრატეგიული, ფინანსური ან რეპუტაციული თვალსაზრისით.

4.3.5 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა და კრებები

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები („კრება“) ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით ნებისმიერ სხვა ადგილას. ყველა სხვა წევრთან შეთანხმებით, თავმჯდომარეს (თავად ან ნებისმიერი წევრის მოთხოვნით) შეუძლია მოიწვიოს კრება ზეპირი ფორმით ან სხვაგვარად დროის მოკლე პერიოდში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილ იქნან სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების მიერ. თითოეულ წევრს უფლება აქვს წარმოადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ ერთი სხვა წევრი. საკითხები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას დაგეგმილი კრების ფარგლებს გარეთ, განიხილება სპეციალურ დამატებით კრებებზე და სატელეფონო კონფერენციით. მთლიანობაში, 2018 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო ოფიციალურად შეიკრიბა ორმოცჯერ და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა პირადად ან სატელეფონო კონფერენციაზე. კრებების დროს სამეთვალყურეო საბჭო იღებს განახლებულ მონაცემებს შიდა საოპერაციო ფუნქციებიდან კონტროლის და რისკის მართვის, შესაბამისობის, შიდა აუდიტის, ადამიანური რესურსების და ძირითადი კონტრაქტების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა კორპორაციული საკითხებისთვის. გარდა ამისა, არსებობს დღის წესრიგის საკითხების წლიური განრიგი იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ყველა საკითხს დაეთმოს სათანადო ყურადღება და განხილულ იქნას შესაბამის ნაწილში ფინანსურ და ნორმატიულ ციკლში. ეს მოიცავს ბიუჯეტს, სავალდებულო ანგარიშგებებს, მართვის ანგარიშებს და აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევას. კრებების გარეთ, თავმჯდომარეს და აღმასრულებელ ოფიცერს ხშირი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებთან წლის განმავლობაში. ქვემოთ ცხრილში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე დასწრების დეტალები 2018 წლის განმავლობაში:

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები

წევრები	დაგეგმილ კრებებზე დასწრების უფლება	დაგეგმილ კრებებს დაესწრო	დასწრება, %
ირაკლი ოთარ რუხაძე	40	40	100%
გიორგი კალანდარიშვილი	16	16	100%
დავით შონია	40	40	100%
ირაკლი მანაგაძე	24	24	100%
მამუკა წერეთელი	1	1	100%

4.3.6 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ისწრაფვის თავისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და აღიარებს, რომ მისი შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად. სამეთვალყურეო საბჭო ითვლება ძლიერ ორგანოდ, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციის და გამოცდილების სათანადო ბალანსს და სთავაზობს მოსაზრებების და პერსპექტივების მრავალფეროვნებას. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების თანახმად, ლიბერთი ბანკი აპირებს დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების შესაბამისი პოლიტიკა და კონტრაქტი დადოს კონსულტანტებთან სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის გარე შეფასების მიზნით.

4.4 დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკი აცნობიერებს დირექტორთა საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციების, გამოცდილების და მრავალფეროვნების სწორ ბალანსს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტურად შეასრულონ მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

4.4.1 დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ და საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ განსაზღვრავს მთავარ პრინციპს, რომ კომპანიის საქმიანობის განხორციელებისთვის მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები კომპანიის მეთვალყურეობასა და აღმასრულებელ პასუხისმგებლობებს შორის. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი (Chief Executive Officer - “CEO”) და დირექტორები. გენერალური დირექტორი და თითოეული დირექტორი დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ბანკს. ყველა დირექტორი ანგარიშს პირდაპირ გენერალურ დირექტორს აბარებს. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია წარმოადგინოს, შეიმუშაოს და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სტრატეგიას და საერთო კომერციულ მიზნებს, რომლებსაც ის განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსთან მჭიდრო კომუნიკაციით. გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრები პასუხისმგებელი არიან სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

31-დეკემბერი-18	დირექტორთა საბჭოს წევრები
გენერალური დირექტორი	გიორგი კალანდარიშვილი
კორპორატიული საბანკო საქმიანობის დირექტორი	დავით ვერულაშვილი
რისკების დირექტორი	მამუკა კვარაცხელია
საოპერაციო დირექტორი	ლევან თხელიძე
ფინანსური დირექტორი	ლევან ლეკიშვილი

4.4.2 დირექტორთა საბჭოს განათლება და გამოცდილება

დირექტორთა საბჭოს წევრები ფლობენ სხვადასხვა სფეროს ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, საგადასახადო და სამართლებრივი საკითხების, მენეჯმენტის და ხელმძღვანელობის, კორპორაციული მართვისა და მარკეტინგის კუთხით. ისინი გამოირჩევიან ადგილობრივი და რეგიონალური ეკონომიკური და საბაზრო პირობების გონივრული გააზრების უნარებით, სიღრმისეულად ესმით სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო. მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკში გრძელვადიანი აქციონერის ღირებულების შექმნის კუთხით.

გიორგი კალანდარიშვილი



გიორგი 2017 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დაინიშნა სს "ლიბერთი ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ბანკში მუშაობის დაწყებამდე, გიორგი გახლდათ Hunnewell Partners Georgia-ს პროექტების დირექტორი (2015 წლიდან). 2010-2015 წლებში გიორგი შპს Standard Group Ltd-ის პარტნიორი იყო; შპს "Standard Group" -ში გაწევრიანებამდე – 2008-2009 წლებში – იგი შპს "Forward Capital Ltd"-ის პროექტის მენეჯერი გახლდათ; 2005-2007 წლებში გიორგი სს "სტანდარტ ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებდა. 2001 წელს გიორგიმ მუშაობა დაიწყო სს „აგრობიზნესბანკში“ საკრედიტო განყოფილების უფროსად, ხოლო 2003 წელს დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. სს „აგრობიზნესბანკში“ მუშაობის დაწყებამდე გიორგი გახლდათ აუდიტორული კომპანია NACON-ის პარტნიორი. 1998-1999 წლებში იგი წარმოადგენდა სს "თბილკრედიტბანკის" საინვესტიციო სამმართველოს უფროსს. 1997 წელს გიორგი თიბისი ბანკის საინვესტიციო განყოფილების მენეჯერი იყო. გიორგიმ დაამთავრა იესემ თბილისის უმაღლესი სკოლა (ESM-Tbilisi) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით.

ლევან ლეკიშვილი



ლევან ლეკიშვილი ლიბერთი ბანკს 2018 წლის ივნისში შეუერთდა გენერალური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დირექტორის პოზიციაზე. ლიბერთი ბანკამდე, ლევანს 2013- 2018 წლებში ბელორუსში, კომპანია 'Shine-Est'-ის მმართველი პარტნიორის პოზიცია ეკავა. მანამდე კი, 2009-2015 წლებში კომპანია Standard Group-ის გენერალური დირექტორი იყო, ვილნიუსში. 2008-2009 წლებში ლევან ლეკიშვილს კომპანია 'Forward Capital'-ის ფინანსური დირექტორის პოზიცია ეკავა, ბელორუსში. 2005 -2008 წლებში ლევანი 'სტანდარტ ბანკი'-ს ფინანსური დირექტორი იყო. 2003 წელს ლევანი შეუერთდა დინამოს საფეხბურთო კლუბს, როგორც გენერალური ფინანსური ოფიცერი და ეს პოზიცია ეკავა 2005 წლამდე. 2003 – 2005 წლებში ლევანს საფეხბურთო კლუბ 'დინამო'-ს ფინანსური დირექტორის პოზიცია ეკავა, მანამდე კი სხვადასხვა პოზიციები ეკავა 'საქურორტბანკსა' და 'EA Bank'-ში. ლევანი ფლობს მაგისტრის ხარისხს ESM თბილისი-დან (European School of Management Tbilisi) და ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

მამუკა კვარაცხელია



მამუკა კვარაცხელია ლიბერთი ბანკს შეუერთდა 2017 წლის დეკემბერში, ხოლო 2018 წლის აპრილში დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილის, რისკების დირექტორის პოზიციაზე. 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მამუკა კვარაცხელიას ეკავა სხვადასხვა თანამდებობები „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში“ - საგრანტო მენეჯერი, პროექტების განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, დირექტორის მოადგილე (პროექტების კურატორი), დირექტორი; ამ სააგენტომდე, 2010-2013 წლებში მამუკა კვარაცხელია მუშაობდა Standard Group Ltd -ს პროექტების მენეჯერად და 2004-2008 წლებში ეკავა საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის პოზიცია. სტანდარტულ ბანკამდე, მამუკა მუშაობდა სს „თბილუნევერსალბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე მიკროდაკრედიტების განყოფილების უფროსის ჩათვლით. მამუკას აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ლევან თხელიძე



ლევან თხელიძე ლიბერთი ბანკს შეუერთდა 2017 წელს და 2018 წელს დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილის, საოპერაციო დირექტორის პოზიციაზე. ლიბერთი ბანკში მუშაობის დაწყებამდე ლევანი მუშაობდა ს.ს ალფა ექსპრესის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე 2014-2017 წლებში. ალფა ექსპრესამდე 2010-2014 წლებში იყო Belfashion-ის თანადამფუძნებელი და თანამმართველი მინსკში, ბელარუსი. მუშაობდა ასევე მრჩეველის პოზიციაზე საგარეო ეკონომიკურ საკითხებში Ch.I.U.P “Forward Capital”-ში 2009-2010 წლებში. 2005-2008 წლებში სს. სტანდარტულ ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობის დაწყებამდე ლევანს სხვადასხვა პოზიციები ეკავა სს. თიბისი ბანკში, მათ შორის საერთაშორისო ოპერაციების უფროსის მოადგილე, ხაზინის უფროსის მოადგილე და ცენტრალური ფილიალის დირექტორის მოადგილე. ლევანს აქვს ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში თბილისის ეკონომიკური ინსტიტუტიდან და დაასრულა მაგისტრატურის პროგრამა ESM თბილისი-დან (European School of Management Tbilisi).

დავით ვერულაშვილი



დავით ვერულაშვილი სს. ლიბერთი ბანკში კორპორატიული საბანკო საქმიანობის დირექტორად დაინიშნა 2014 წელს, მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში იმსახურა კორპორატიული და მერჩანტული საბანკო საქმიანობების დეპარტამენტის უფროსად. მისი მთავარი პასუხისმგებლობები მოიცავს კორპორატიული ბიზნესის განვითარებასა და განვრცობას, კორპორატიული კლიენტებისთვის სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქტების შეთავაზებას და ეროვნული სექტორის სხვადასხვა დაწესებულებებთან პარტნიორობის დაფუძნებას. ბანკში მუშაობის დაწყებამდე, დავითი იყო სს. პროკრედიტ ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის უფროსი. მას აგრეთვე ეკავა სს. საქართველოს ბანკის

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო განყოფილების დირექტორის მოადგილის პოზიცია. დავითს გააჩნია სხვადასხვა საკრედიტო და კორპორატიულ ფინანსურ პოზიციებზე მუშაობის ფართო გამოცდილება 2000 წლიდან მოყოლებული. დავითმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქვს ბაკალავრის და მაგისტრის წოდება ინფორმაციისა და ორგანიზაციის მართვაში.

4.4.3 დირექტორთა საბჭოს ფუნქციები

ბანკის ყოველდღიური საქმიანობების განხორციელების გარდა, დირექტორთა საბჭოს მთავარი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ:

- სამეთვალყურეო საბჭოსთვის წლიური ბიზნეს გეგმის, მათ შორის ბიუჯეტის, მოგების და ზარალის პროგნოზის და ბანკის საინვესტიციო გეგმის წარდგენა;
- სესხების გაცემის, ანგარიშსწორებების, დაფინანსების, სალარო მომსახურებების, უზრუნველყოფის, ბანკის ფულადი სახსრების და ფასეულობების აღრიცხვის და ანგარიშგების, შიდა კონტროლის და აღრიცხვის ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის სათანადო მომსახურებას კლიენტებისთვის;
- ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ასეთი ფილიალების და სერვის ცენტრების მენეჯერები შეასრულებენ თავიანთ დავალებებს და ფუნქციებს;
- შიდა აუდიტიდან ან გარე შემოწმებებიდან მიღებული ინფორმაციის გადახედვა, ასევე ფილიალის მენეჯერების და სერვის ცენტრების მენეჯერების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- პოლიტიკის, ოფისის წესების და ნებისმიერი სხვა რეგულაციის შემუშავება და მათი სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;
- გადაწყვეტილების მიღება პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, ტრენინგის და ანაზღაურების შესახებ (იმ პირობით, რომ დირექტორთა საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები კონკრეტულ ტოპ მენეჯერებთან დაკავშირებით);

- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკის მართვის პრინციპების მონიტორინგი და ბანკის რისკის პროფილის რისკის დასაშვები დონის (Risk Appetite Statement – „RAS“) განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

დირექტორთა საბჭო ასევე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოსთვის და/ან აქციონერთა საერთო კრებისთვის.

4.4.4 დირექტორთა საბჭოს საქმიანობა და კრებები

დირექტორთა საბჭოს საქმიანობებს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალურად წარმოადგინოს ბანკი ნებისმიერი პირის წინაშე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის განსაზღვრული კომპეტენციის მქონე საკითხების საფუძველზე. ნებისმიერი გარიგება ან ბანკის ნებისმიერი შიდა რეგულაცია, ბრძანება ან ინსტრუქცია შეიძლება დამოწმდეს გენერალური დირექტორის ხელმოწერით ან დირექტორთა საბჭოს ყველა დანარჩენი წევრების ხელმოწერებით. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, გენერალურ დირექტორს შეუძლია მინდობილობა მიანიჭოს სხვა დირექტორებს დამოუკიდებლად წარმოადგინონ ბანკი სხვადასხვა გარიგებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს დირექტორთა საბჭოს კრებებზე ბანკის შენობებში. მთლიანობაში დირექტორთა საბჭო შეიკრიბა 75-ჯერ 2018 წლის განმავლობაში და გადაწყვიტა სხვადასხვა საკითხები ახალი პროდუქტების შემუშავების, პერსონალის რეორგანიზაციის, კონკრეტული მომსახურების საფასურის და ბანკის სხვა საქმიანობების შესახებ.

4.4.5 დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად აფასებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობებს ბანკის საერთო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ დირექტორთა საბჭოს გააჩნია გამოცდილების და ცოდნის სათანადო ბალანსი და კომბინაცია და ეფექტურად გააგრძელებს საქმიანობას.

4.5 სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, სისტემურ კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები:

1. აუდიტის კომიტეტი
2. რისკების კომიტეტი
3. ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი
4. ანაზღაურების კომიტეტი

ბანკმა განახორციელა აუდიტის კომიტეტის რეორგანიზაცია, დააფუძნა ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და აპირებს შექმნას რისკის კომიტეტი და ანაზღაურების კომიტეტი 2019 წელს.

4.5.1 აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების მონიტორინგზე და ბანკის წინაშე არსებულ რისკებთან მიმართებაში რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის გადამოწმებაზე. კომიტეტი პასუხს აგებს რისკის ფუნდამენტურ საკითხებზე და მართავს და ზედამხედველობას უწევს რისკთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

აუდიტის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვასა და შიდა ფინანსურ კონტროლთან მიმართებაში. იგი მიმოიხილავს ფინანსური ანგარიშგების და გარკვეული ტიპის საოპერაციო რისკების კონტროლის ადეკვატურობას და ეფექტურობას. აუდიტის კომიტეტი აგრეთვე აკვირდება ბანკის შესაბამისობას კორპორაციული მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან მოსყიდვისა და კორუფციის წინააღმდეგ, ინტერესთა კონფლიქტის და გამჟღავნების თაობაზე.

კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მამუკა წერეთელი (თავმჯდომარე);
- ირაკლი ოთარ რუხაძე (საბჭოს წევრი);
- დავით შონია (საბჭოს წევრი).

აუდიტის კომიტეტის წევრების უმეტესობა უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. იმის გათვალისწინებით, რომ სამეთვალყურეო საბჭო სრულად არაა დაკომპლექტებული, ამჟამად მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი წევრია წარმოდგენილი, თუმცა 2019 წელს ბანკი გეგმავს, რომ აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრები, რათა სრულად შეასრულოს კომერციული ბანკების საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნები.

აუდიტის კომიტეტის შეხვედრა უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტლურად და, საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ნებისმიერ დროს.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები არის შემდეგი:

- ბანკის საბუღალტრო და საანგარიშგებო წესების განსაზღვრა, ამ წესების დაცვა და ბანკის შიდა აუდიტის მეშვეობით ბანკის აღრიცხვებისა და ჟურნალების შემოწმება.
- მოქმედ კანონმდებლობასთან ბანკის შესაბამისობის ზედამხედველობა
- შიდა აუდიტის ფუნქციონირების ზედამხედველობა, რომელიც ბანკში რისკის მართვისა და კონტროლის სისტემებისა და პროცესების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შესახებ გარანტიას იძლევა
- შიდა აუდიტის მომსახურების რეგულაციების მართვის დამტკიცება და ბანკის დირექტორთა საბჭოსგან შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- შიდა აუდიტის მომსახურების კვარტლური/ნახევარწლიანი რეპორტების გადახედვა, დამტკიცება და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ინსპექტორებისა და მრჩეველებისთვის წარდგენა
- შიდა აუდიტის მიერ შედგენილი წლიური საოპერაციო გეგმის დამტკიცება და გეგმის კვარტლური გადახედვა
- შიდა აუდიტის თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასება მათი პროფესიული უნარებისა და შესრულებული საქმის გათვალისწინებით და შესაბამისი დასკვნების გამოტანა
- ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების გამარტივება

2018 წელს აუდიტის კომიტეტი ოფიციალურად შეიკრიბა 3-ჯერ და განიხილა ბანკის შიდა აუდიტის რეპორტები, აგრეთვე შიდა აუდიტის განყოფილების გარკვეული დანიშვნები.

4.5.2 ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი

2018 წლის დეკემბერში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დააარსა ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის, დანიშვნების და ეფექტურობის შესაფასებლად და ბანკის კორპორაციული მმართველობის სახედამხედველოდ.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია, იგი ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამ დროისთვის, ნომინაციების და კორპორაციული მმართველობის კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- დავით შონია (თავმჯდომარე);
- ირაკლი ოთარ რუხაძე (საბჭოს წევრი);
- მამუკა წერეთელი (საბჭოს წევრი).

ნომინაციების და კორპორაციული მმართველობის კომიტეტის შეხვედრები უნდა ჩატარდეს წელიწადში სულ მცირე ორჯერ და, საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ნებისმიერ დროს.

ნომინაციებისა და კორპორაციული მმართველობის კომიტეტის მთავარი როლი და პასუხისმგებლობები შემდეგია:

- **ნომინაციები.** სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოსა და მათი კომიტეტების სტრუქტურის, ზომისა და შემადგენლობის რეგულარული გადახედვა კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსულტაციით, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა საბჭოს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესის გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და სხვა მაღალი რანგის აღმასრულებელი დირექტორების ჩამნაცვლებლების დაგეგმვა მათი საქმიანობის თვალსაზრისით, ბანკისთვის არსებული გამოწვევების, შესაძლებლობების და სამომავლოდ საჭირო უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა დააწესოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრის შეფასების ობიექტური მიმოხილვა; უნდა განაპირობოს საქმიანობის შეფასების ჩატარება და წარმოქმნილი რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა.
- **კორპორაციული მმართველობა.** კომიტეტი განიხილავს და ადასტურებს ბანკის კორპორაციული მმართველობის სახელმძღვანელოებში შეტანილ ცვლილებებს, ზედამხედველობას უწევს ამ სახელმძღვანელოებთან ბანკის შესაბამისობას და სამეთვალყურეო საბჭოს საჭიროებისამებრ აძლევს რჩევებს.
- ზედამხედველობას უწევს განვითარებად ტრენდებს, ინიციატივებს და შემოთავაზებებს იურიდიულ განვითარებებთან, მართვის საკითხებთან და კორპორაციული მართვის პრაქტიკებთან დაკავშირებით ბანკზე ამ ინიციატივების გავლენის განსასაზღვრად და შესაბამისი პერიოდული განახლებების უზრუნველსაყოფად.

- პერიოდულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ეთიკას და სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს შესაფერის რჩევებს.
- გადახედავს და განიხილავს შიდა ინსპექციასთან მიმართებაში არსებულ საჩივრებს ან/და კანონმდებლობასთან შესაბამისობის ან მსგავსი ვალდებულებებისა და ავტორიტეტების მქონე სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ჩატარებულ საგამომძიებლო საქმიანობებს ბანკის ქცევისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევების ამოცნობის ან/და თავიდან არიდების მიზნით, აგრეთვე, ამ დარღვევებზე გავრცელებულ დისციპლინურ ზომებს და სხვა საჩივრებს.
- სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აცნობებს მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე აქტივობების შესახებ და აფასებს კომიტეტისთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას.

2018 წელს ნომინაციებისა და კორპორაციული მმართველობის კომიტეტი ოფიციალურად არ შეკრებილა.

4.6 ქცევისა და ეთიკის კოდექსი

ბანკი ისწრაფვის დაიცვას ქცევის უმაღლესი სტანდარტები თავისი საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ქცევის და ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ვრცელდება ბანკში მომუშავე ყველა პირზე, რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკრეტული პოლიტიკით და რეგულაციებით.

4.6.1 ქცევისა და ბიზნეს ეთიკის კოდექსი

2018 წლის დეკემბერში ბანკმა დაამტკიცა ლიბერთი ბანკის ქცევისა და ბიზნეს ეთიკის კოდექსი (კოდექსი). კოდექსი ასახავს ლიბერთი ბანკის ბიზნეს ეთიკისა და ღირებულებების ძირითად პრინციპებს. ლიბერთი ბანკის პოლიტიკაა აწარმოოს სამართლიანი საქმიანობა და დაიცვას ყველა მოქმედი კანონმდებლობა და წესი, რაც ასევე მოეთხოვება თითოეულ თანამშრომელს.

თანამშრომლებთან ურთიერთობა	• კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა და საეჭვო ან/და ფაქტობრივი დარღვევების განცხადება;
უსაფრთხოების პოლიტიკა	• ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს ოფისის უსაფრთხოება; • სამუშაო გარემო მაღაღობისა და ნარკოტიკული საშუალებების გარეშე; • აკრძალულია არასანქცირებული ფოტოგადაღება და ჩანაწერები; • ყურადღებიანობა და დარღვევების განცხადება რეგულაციებთან შესაბამისობის ან საინფორმაციო უსაფრთხოების ოფიცერთან;
მომხმარებლებთან ურთიერთობა	• გამჭვირვალობა და სამართლიანობა; • მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და შენარჩუნება სწრაფი მომსახურებით, გონივრული რჩევების მიცემითა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;
სამართლიანი გაყიდვები და მარკეტინგი	• სამართლიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კონკურენტებთან და ხალხთან;
კონფიდენციალობა	• კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ბანკის გარე პირებიდან (გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს ლეგიტიმური ბიზნეს მიზანი);

4.6.2 მხილების პოლიტიკა

2018 წლის დეკემბერში ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა მხილების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მამხილებელი პირებისთვის პროცედურებს, რომ განაცხადონ ნებისმიერი ეჭვი კანონების, წესებისა და რეგულაციების შესაძლო დარღვევის ან ლიბერთი ბანკის პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების გვერდის ავლის შესახებ. მხილების პოლიტიკის მიზანი არაა და არ უნდა აკრძალოს ან შეზღუდოს მამხილებელი პირი იმისგან, რომ მას ჰქონდეს პირდაპირი კომუნიკაცია, ითანამშრომლოს, პასუხი გასცეს საგამომიებო ან სხვა სააგენტოების, ორგანოების, უცხოური საზედამხედველო, ან სხვა საზედამხედველო სააგენტოს კითხვებს აღნიშნული დარღვევებსა თუ გვერდის ავლებთან დაკავშირებით.

4.6.3 კორპორაციული სახელმძღვანელო

ბანკი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლებს ეპყრობიან სამართლიანად და პატივისცემით. ბანკი ისწრაფვის მისცეს შესაძლებლობა თავის თანამშრომლებს მიაღწიონ წარმატებებს და სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, დაჯილდოვდნენ დამსახურების მიხედვით და არ იგრძნონ რაიმე სახის დისკრიმინაცია ან შევიწროება. ბანკი აფასებს მკაფიო და ღია კომუნიკაციებს თავის თანამშრომლებთან. თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადონ არაეთიკური ან უკანონო ქმედებების შესახებ და ბანკი გამოიკვლევს ყველა ასეთ საკითხს კეთილსინდისიერად, კონფიდენციალურობის და თანამშრომლის დაცვით.

ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები მითითებულია ბანკის კორპორაციულ სახელმძღვანელოში:

ბანკის პრინციპები	ყველა თანამშრომელი ერთგულად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს და ძალისხმევას არ იშურებს მაქსიმალური შედეგების მისაღწევად;
საქმიანობის ეფექტურობა	ბანკის ყველა თანამშრომელი უნდა ისწრაფვოდეს პროფესიონალიზმის გაუმჯობესებისკენ, უზრუნველყოს თავისი მიზნების შესრულება დროულად, დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრულია მათ მიერ დაკავებული პოზიციებისთვის, გონივრულად დაგეგმოს და დახარჯოს ბანკის რესურსები, განსაზღვროს დელეგირების ოპტიმალური დონე და კონტროლი;
მოქნილობა და ინიციატივა	ბანკი ხელს უწყობს თანამშრომლებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები, მიაღწიონ დასახულ მიზნებს, უზრუნველყონ კრეატიული მიდგომა და ინიციატივები, გააუმჯობესონ სამუშაო პროცესები და გაზარდონ კლიენტების კმაყოფილება ბანკის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად;
გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა	ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტებია ჯანსაღი სამუშაო გარემო ბანკში, ურთიერთპატივისცემა თანამშრომლებს შორის და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ;
გამჭვირვალობა და ნდობა	ბანკი იყენებს ყველა საინფორმაციო წყაროს: ბიზნეს შეხვედრებს, ჯგუფურ განხილვებს, ინტერნეტს, ინტრანეტს და პრეს კონფერენციებს ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
თანამშრომლის ქცევის სავალდებულო წესები	თანამშრომელმა ყოველთვის უნდა დაიცვას ბანკის ინტერესები და იმიჯი კლიენტების და პარტნიორების წინაშე. თანამშრომელი უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ობიექტური თავისი კლიენტების, ასევე კოლეგების და დაქვემდებარებული პირების მიმართ, პატივი უნდა სცეს და დაიცვას კოლეგების ინტერესები და აირიდოს კონფლიქტური სიტუაციები;
აზარტული თამაშები	თანამშრომელს ეკრძალება აზარტული თამაშებში და ბეთინგში მონაწილეობა ან მათი ორგანიზება, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

4.6.4 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ

ბანკის მენაბრეების და კრედიტორების ინტერესების დაცვის და ბანკის მიერ აფილირებულ პირებთან გარიგებების ადეკვატური ზედამხედველობის და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ითვლება, რომ კონკრეტული თანამშრომლები თავისუფალნი უნდა იყვნენ ინტერესთა ფაქტობრივი ან პოტენციური კონფლიქტებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე, ბანკში მუშაობის პროცესში. ამ მიზნისთვის, სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა წესი ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ, შესაბამისად გაზარდა ბანკის ვალდებულება იმოქმედოს ეთიკის დაცვით და მიიღოს გადამწყვეტი ზომები, სათანადოდ განსაზღვროს და მართოს (თუ დასაშვებია) ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის, ბანკი ადგენს დაკავშირებულ/აფილირებულ მხარეებს, ადგენს ასეთი დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალს, ახდენს ასეთი ჩამონათვალის კლასიფიკაციას, განსაზღვრავს გარიგებების პროცესს, კონტროლის/ანგარიშგების საფუძველზე და

განსაზღვრავს გარიგებების ტიპებს და ჩამონათვალს, რომლის დამტკიცების ექსკლუზიური კომპეტენცია ეკუთვნის სამეთვალყურეო საბჭოს.

4.6.5 საინფორმაციო უსაფრთხოება

ბანკმა მკაცრად უნდა დაიცვას თავისი კლიენტების, მომწოდებლების და კოლეგების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა მოქმედი კანონისა და რეგულაციების შესახებ. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის პრინციპები და ძირითადი წესები ბანკის ტექნიკური ინფრასტრუქტურის ფარგლებში რეგულირდება საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკით. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთო მიზანია ბანკის მიერ გამოყენებული ინფორმაციის დაცვა, ბიზნეს მიზნების მიღწევის პროცესში. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვა უნდა განხორციელდეს ბანკის რისკის მართვის და ბიზნესის უწყვეტობის შესაბამისად, და ამ სახით საინფორმაციო უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებით გამოწვეული პოტენციური ზიანის შემცირებით. მიზნები შეესაბამება ბანკის ბიზნეს მიზნებს, RAS-ს, სტრატეგიას და ბიზნეს გეგმებს, ძირითადი საინფორმაციო პროცესების და აქტივების კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. აქტივების მთლიანობის, ხელმისაწვდომობის და კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეული აქტივის მფლობელს.

აღნიშნული პოლიტიკისა და სახელმძღვანელოების გარდა, ლიბერთი ბანკი კომერციული ბანკების კორპორაციული მმართველობის კოდექსის შესაბამისად გეგმავს მოსყიდვის საწინააღმდეგო და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის, გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის და ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცებას.

5 ანაზღაურება

5.1 ანაზღაურების ჩარჩო

ბანკი არის ერთ-ერთი წამყვანი დამსაქმებელი საქართველოში 4,491-ზე მეტი თანამშრომლით. ბანკი თვლის, რომ მისი გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია მისი თანამშრომლების შესაძლებლობაზე, აქედან გამომდინარე ანაზღაურების სქემის მთავარი მიზანია ბაზარზე საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვა, დასაქმება და მათი მოტივაცია. მეორე მხრივ ბანკის ღირებულებას წარმოადგენს კონკურენტუნარიანი საკომპენსაციო პაკეტი პროფესიული ზრდის ფართო შესაძლებლობებით და მოტივაციური სამუშაო გარემოთი.

ბანკი შრომის ბაზარზე იკავებს სოციალურად პასუხისმგებელი და კეთილსინდისიერი მოთამაშის პოზიციას. ბანკის ანაზღაურების სქემის შესაბამისად, თანამშრომლებს აქვთ კონკურენტუნარიანი ხელფასი ბაზარზე არსებულ მსგავს პოზიციებთან შედარებით. მსგავსი მიდგომა გამოიყენება საკომპენსაციო პაკეტის შექმნისას მოქმედი თანამშრომლებისთვის. თანამშრომლის ანაზღაურება მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს და ბონუსის სისტემას. ბონუსის სისტემა ეფუძნება საქმიანობის ეფექტურობას და განისაზღვრება ბიზნეს მიმართულებების და კონკრეტული პოზიციების მიხედვით. ბანკი მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული ხელფასების კვლევას და ანალიზს, რომლის საფუძველზეც იღებს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

ბანკი ორიენტირებულია შექმნას უკეთესი სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის და ინარჩუნებს მდგრად მაჩვენებლებს. თანამშრომლები, რომლებიც იცავენ ბანკის ღირებულებებს და წვლილი შეაქვთ ბანკის წარმატებაში, იღებენ შესაბამის წახალისებას. გამოიყენება საქმიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგია და წახალისების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ სარგებელს. ფულადი ბონუსების გადახდის გარდა ბანკი უზრუნველყოფს თანამშრომლებს კონკურენტუნარიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით, სრულ-ანაზღაურებადი ექსთენიანი სადეკრეტო შვებულებით, ანაზღაურებადი წლიური შვებულებით, ასევე ავადმყოფობის პერიოდის ანაზღაურებით. დამატებით, ბანკი ხელს უწყობს თანამშრომლების ცოდნის სრულყოფას და სრულად აფინანსებს სწავლასთან დაკავშირებულ ხარჯებს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ თავისი თანამშრომლებისთვის.

5.1.1 საპრემიო ფონდის ზოგადი პოლიტიკა

2010 წელს ბანკმა განახორციელა ფულადი პრემიების გადადების და განაწილების პოლიტიკა თავისი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული პოლიტიკა აფასებს დაბეგვრამდე მოგების წინასწარ განსაზღვრული თანხის განაწილების შედეგს ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად, წინა წლიდან.

ბექ-ოფისის თანამშრომლებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისათვის, ბონუსები გამოითვლება ბანკის წლიურ დაბეგვრამდე მოგების საფუძველზე და აბსოლუტურად დისკრეციულია. თითოეული თანამშრომლისთვის თანხის განაწილება ეფუძნება მათი მთავარი ბიზნეს მიზნების (Key Business Objectives - "KBOs") შესრულების დონეს. KBOs-24 განისაზღვრება და შეთანხმებულია შეფასების პერიოდის დასაწყისში. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობების შესახებ მათი კომპეტენციების ფარგლებში და მკაფიო ცოდნა აქვთ თავიანთი წვლილის შესახებ ორგანიზაციის მიზნებსა და დავალებებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ანაზღაურების პოლიტიკას სხვადასხვა თანამშრომლებისთვის:

ფრონტ ოფისის თანამშრომლები

- ფიქსირებული ყოველთვიური ხელფასი და ყოველთვიურად ცვალებადი ბონუსები;
- გამჭვირვალე და სრულად გასაგები საქმიანობის გეგმა, რომელსაც გააჩნია თითოეული ფრონტ ოფისის თანამშრომლისთვის განსაზღვრული კონკრეტული მიზნები, რომლებიც თანხმდება ყოველი თვის დაწყებამდე;
- კრედიტ ოფიცრები იღებენ ბონუსებს გაცემული სესხების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით;
- მოლარის ბონუსები გამოითვლება მოზიდული დეპოზიტების რაოდენობის, მოცულობის და ვადიანობის საფუძველზე;
- ფრონტ ოფისის თანამშრომლების და გაყიდვების წარმომადგენლების ეფექტურობის მაჩვენებლებს ადგენს დირექტორთა საბჭო;

ბექ ოფისის თანამშრომლები

- ფიქსირებული ყოველთვიური ხელფასი; ყოველთვიურად ცვალებადი ბონუსები ნაწილდება დაკავებული პოზიციის და საქმიანობის ეფექტურობის შესაბამისად;
- ბანკს აქვს საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მკაფიო სისტემა ბექ ოფისის თანამშრომლებისთვის. წლიური საინფორმაციო სესიების საფუძველზე მიიღება თანამშრომლების პროფესიული და პერსონალური უნარების სრული სურათი. ამ პროცესს და შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს დირექტორთა საბჭოსთვის, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურობის მაღალ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და ინვესტორების ინტერესების თანხვედრას;
- სათაო ოფისის თანამშრომლების უმეტესობა სარგებლობს გენერალური საპრემიო ფონდით. პრემიის მოცულობა ეფუძნება საქმიანობის შედეგებს დეპარტამენტის დონეზე და KBOs-ს ინდივიდუალურ შესრულებას;

დირექტორთა საბჭო

- სამეთვალყურეო საბჭო, როგორც პლენარული ორგანო, პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებასა და ინდივიდუალური კომპენსაციის განსაზღვრაზე;
- დირექტორთა საბჭოს წევრების ანაზღაურების სისტემა რეგულარულად მოწმდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრისთვის გაცემული ანაზღაურება მჭიდროდ არის დაკავშირებული KBOs მიღწევასთან და ბანკის საერთო ეფექტურობასთან მოცემული კალენდარული წლის დასასრულისთვის;
- დირექტორთა საბჭოს წევრების ყველა სახის სამოტივაციო პროგრამა და ფულადი ანაზღაურება ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვას. (გენერალური დირექტორის და ფინანსური დირექტორის KBOs 2018 წლისთვის მითითებულია ქვემოთ ცხრილში);

სამეთვალყურეო საბჭო

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს AGM და მჭიდროდ არის დაკავშირებული KBOs მიღწევასთან და ბანკის საერთო ეფექტურობასთან მოცემული კალენდარული წლის დასრულებისთვის;
- ქვემოთ ცხრილში მითითებულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის KBOs 2018 წლის განმავლობაში;

გენერალური დირექტორის KBOs

	მნიშვნელობა
ფინანსური მაჩვენებლები, კომბინირებული 65%	65%
შემოსავალი უნდა აღემატებოდეს 220 მილიონ ლარს	
ხარჯი/შემოსავლის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 62%-ს	
წმინდა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს უმცირესს	
შემდეგიდან: 38 მილიონი ლარი და რისკის ხარჯი 4.5%	
უკუგება საწესდებო კაპიტალზე (ROE) აღემატებოდეს 20%-ს	
სტრატეგიები განახორციელოს საზედამხედველო კოეფიციენტების დაცვით	20%
ფასს 9 სტანდარტის სრულად მიღება და დანერგვა	15%

ფინანსური დირექტორის KBOs

	მნიშვნელობა
2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების კვალიფიკაცია და კორექტირების გარეშე დროული გამოშვება	15%
დროული და ზუსტი სებ/სავალდებულო ანგარიშგება	10%
საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, არაუმეტეს 200 ათასი ლარის კორექტირება ან ჯარიმები	15%
დაიცვას მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული კოეფიციენტები და RAS-ის მოთხოვნები	15%
საპროცენტო ხარჯი - კომბინირებული სახსრების ღირებულების შენარჩუნება 10.5%-ს ქვემოთ წლის განმავლობაში	10%
საოპერაციო ხარჯი და კაპიტალური ხარჯი, კომბინირებული	15%
ხარჯი/მოგების შეფარდება, არ უნდა აღემატებოდეს 62%-ს	
კაპიტალური ხარჯი და არამატერიალური აქტივების ხარჯი, არ უნდა აღემატებოდეს 30 მილიონ ლარს	
ფასს 9 სტანდარტის სრულად მიღება და დანერგვა	10%
IT-დაკავშირებული KBOs, კომბინირებული	10%
სესხების მოდულის დანერგვა	
ძირითადი სისტემის განახლება (core)	

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის KBOs

	მნიშვნელობა
უკუგება საწესდებო კაპიტალზე (ROE) აღემატებოდეს 20%-ს	60%
სტრატეგიები განახორციელოს საზედამხედველო კოეფიციენტების დაცვით	40%

5.2 პერსონალი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე

პერსონალი, რომელსაც უკავია მნიშვნელოვანი მენეჯერული პოზიციები, პასუხისმგებელია ბიზნეს საქმიანობებზე მათი ზედამხედველობის ქვეშ. ბანკი განსაზღვრავს თანამშრომლებს, რომელთა პროფესიული საქმიანობა არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- თანამშრომელი არის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- თანამშრომელს გააჩნია არსებითი გავლენა ბიზნესის ყოველდღიურ მართვაზე - შემდეგი განყოფილებების ხელმძღვანელები:
 - ადამიანური რესურსები
 - შიდა აუდიტი
 - იურიდიული
 - ხაზინა და ანგარიშსწორება
 - ფინანსები
 - შესყიდვები
 - საინფორმაციო ტექნოლოგიები
 - საკრედიტო რისკი
 - საოპერაციო რისკი

დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების მიერ გაცემული ანაზღაურებისა და ბანკის რისკის პროფილზე მატერიალური ზემოქმედების მქონე თანამშრომლების ანაზღაურების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ცხრილი 15-16.

5.3 ანაზღაურების კომიტეტი

2019 წლიდან ბანკი გეგმავს ანაზღაურების კომიტეტის დაფუძნებას. ანაზღაურების პოლიტიკა და სისტემები შემუშავდება და იმართება საზედამხედველო და დირექტორთა საბჭოების მიერ ადამიანური რესურსების განყოფილების მხარდაჭერით. ანაზღაურების კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების მიხედვით და განხორციელდება სამართლიანობის და პასუხისმგებლობის საუკეთესო პრაქტიკით. კომიტეტი პერიოდულად განიხილავს და შეცვლის ანაზღაურების ხარჯებს და დარწმუნდება, რომ ანაზღაურება შეესაბამება თანამშრომლების მიერ შესრულებულ საქმიანობას, აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს. კომიტეტი ასევე აიღებს პასუხისმგებლობას დირექტორთა საბჭოსთვის და მატერიალური რისკების სხვა მიმდებარებისთვის KPIs ყოველწლიურ განსაზღვრაზე, რაც მოიცავს კორპორაციული და ინდივიდუალური საქმიანობის შეფასებას.

6 რისკის მართვა


რისკი დამახასიათებელია საბანკო საქმიანობისთვის, თუმცა რისკის მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასების და მონიტორინგის უწყვეტი პროცესის მეშვეობით, რისკის ლიმიტების და კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენებით. რისკის მართვის პროცესი უმნიშვნელოვანესია ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკის თითოეული პირი ანგარიშვალდებულია რისკის პოზიციებზე მის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. ბანკი დგას საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საბაზრო რისკის, საოპერაციო რისკის და სხვა არაფინანსური რისკების წინაშე. ბანკის მიერ მიღებული რისკის მართვის სტრუქტურა ადგენს დასაშვები რისკების ლიმიტების ფარგლებს თითოეულ რისკთან და ბიზნეს ხაზთან მიმართებაში და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას.

6.1 რისკის მართვის ჩარჩო

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს შექმნასა და ზედამხედველობაზე.

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ბანკის რისკების დადგენასა და ანალიზს, შესაბამისი რისკის ლიმიტების და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის და რისკების მონიტორინგის და ლიმიტების დაცვის მიზნით. რეგულარულად ხდება რისკის მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა ბაზრის პირობების, პროდუქტების და შეთავაზებული მომსახურებების ცვლილებების ასახვის მიზნით. ბანკს, მართვის სტანდარტების, პროცედურების და ტრენინგების მეშვეობით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის საშუალებები, სადაც ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

რისკის მართვაზე ანგარიშვალდებული პირების პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ RAS-თან. შესაბამისობა უზრუნველყოფილია RAS პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგით. დირექტორთა საბჭოს აქტიური ჩართულობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და გამჭვირვალობას ყველა დონეზე, რისკის მიზნობრივ მაჩვენებლებთან, რისკის პროფილის უწყვეტ მონიტორინგთან რისკის დასაშვებ დონესთან მიმართებით, რისკთან დაკავშირებული გაფრთხილებების დროულ ესკალაციასთან და შემარბილებელი ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით.



ბანკის რისკის მართვის ჩარჩო მოიცავს შემდეგ ოთხ კომპონენტს:

1. რისკის მართვის პრინციპები ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის რაოდენობრივ საფუძველს, ესენია:

- რისკების მართვის ეფექტური კულტურის ხელშეწყობა;
- რისკზე ანგარიშვალდებულება ბიზნეს ხაზების მიხედვით;
- რისკების დამოუკიდებელი ცენტრალური ზედამხედველობა;
- გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან აცილება და/ან შემცირება;
- რისკების მკაფიოდ გამოვლენადობის, შეფასებადობის და მართვადობის უზრუნველყოფა

2. სტრატეგიული პრინციპები ითვალისწინებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლითაც იხელმძღვანელებს ბანკი საზედამხედველო ფინანსური მიზნების მიღწევისას და რომლითაც იზომება ახალ ინიციატივებსა და ბანკის მიერ რისკის დასაშვებ დონეს შორის შეთანხმების ხარისხი. სტრატეგიული პრინციპები მოიცავს შემდეგს:

- ყურადღების გამახვილება მოგების მრავალფეროვნებაზე, ხარისხსა და სტაბილურობაზე
- ორიენტირება ძირითად საქმიანობაზე ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობების ეფექტური გამოყენებით
- დისციპლინირებული და შერჩევითი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება;

3. საზედამხედველო ფინანსური მიზნები ორიენტირებულია აქციონერთა ღირებულების და ბანკის საქმიანობის ფრენჩაიზინგის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებზე. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კაპიტალის შიდა გენერირებაზე მოგების მდგრადი ზრდის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს ბანკის წვდომას კაპიტალზე სათანადო კომერციული პირობებით, და ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნებაზე ბანკის რისკის პროფილთან მიმართებაში.

4. რისკის დასაშვები დონის შეფასებები ითვალისწინებს ობიექტურ მაჩვენებლებს, რომელიც ზომავს რისკს და ახდენს ბანკის მისაღები რისკის დონის ფორმულირებას. ასეთი მაჩვენებლები უზრუნველყოფს კავშირს რისკის მიღების ფაქტობრივ ოპერაციებსა და რისკის მართვის პრინციპებს, სტრატეგიულ პრინციპებს და საზედამხედველო ფინანსურ მოთხოვნებს შორის. აღნიშნული

მაჩვენებლები მოიცავს კაპიტალის და შემოსავლების კოეფიციენტებს, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის ლიმიტებს და საკრედიტო და საოპერაციო რისკის მიზნებსა და ლიმიტებს.


სამეთვალყურეო საბჭო ერთპიროვნულად პასუხისმგებელია რისკების დადგენას და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკე დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ბანკის ძირითადი რისკებს მართავს ქვემოთ მითითებული კომიტეტები და ერთეულები, დირექტორთა საბჭო საბჭოს აქტიური ჩართულობით:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი
- ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”)
- საბაზრო რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის (Operational Risk Management - “ORM”) დეპარტამენტი
- ინფორმაციის უსაფრთხოების და ტექნოლოგიურ რისკებს მართავს ინფორმაციის უსაფრთხოების კომიტეტი

ბიზნეს ხაზები წარმოადგენენ იმ რისკებზე მთავარ პასუხისმგებელ ერთეულებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ყოველდღიურ საქმიანობებზე და ოპერაციებზე. ბიზნეს პროცესები მოიცავს შესაბამისი რისკის ერთეულის წარმოადგენლების მიერ შესრულებული საქმიანობების კონტროლს. რისკის მართვის ფუნქციების მქონე ერთეულები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ძირითადი საქმიანობებისგან, მონაწილეობენ რისკების მართვასა და შიდა კონტროლში. ისინი წარმოადგენენ კონტროლის და დაცვის მეორე ხაზს, დაცვის პირველი ხაზი უზრუნველყოფილია ბიზნეს ფუნქციების მქონე ერთეულებით. ქვემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები/განყოფილებები პასუხისმგებელი არიან საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე:

- ორგანიზაციული რისკების მართვა (ERM);
- ხაზინა და ანგარიშსწორება;
- საკრედიტო რისკების მართვა;
- კრედიტების ადმინისტრაცია;
- საოპერაციო რისკების მართვა (ORM);
- საინფორმაციო უსაფრთხოება;
- უსაფრთხოება;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რისკის მართვის დაცვის სამ ხაზს:



(1) საოპერაციო რისკების კომიტეტი შეიქმნა 2019 წელს

6.1.1 საკრედიტო რისკის კომიტეტი

საკრედიტო რისკის კომიტეტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის დონეზე ყველა ტიპის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკების მართვაზე. კომიტეტი ასრულებს მთავარ როლს ბანკის პორტფელში შესაძლო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციაში და აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება შეთავაზებულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. საკრედიტო რისკის კომიტეტმა შეიმუშავა საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება ბანკის მოქმედ რისკის პროფილს და მომავალი ზრდის გეგმებს. საკრედიტო რისკის დეპარტამენტები და ერთეულები უზრუნველყოფენ საკრედიტო რისკის კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებას. არსებითი საკრედიტო რისკის გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაინერგა ყოვლისმომცველი

კონტროლის და მონიტორინგის სისტემები, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული საკრედიტო რისკის მართვაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

- საკრედიტო რისკის კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობებია:
- რისკის მართვის სტრუქტურის და პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება;
- საკრედიტო რისკების დამტკიცება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;
- საბალანსო და ბალანსგარეშე საკრედიტო და კონცენტრაციის რისკების მართვა და ზედამხედველობა;
- საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა კლიენტის კატეგორიის და ოპერაციის ტიპის მიხედვით;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის წინასწარ დადგენა;
- კრედიტების სათანადო ადმინისტრაციის, შეფასების და მონიტორინგის პროცესის წარმოება ყველა ბიზნეს ხაზზე.

6.1.2 აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია კაპიტალის, ლიკვიდობის, საპროცენტო და დაფინანსების რისკების მართვა. კომიტეტის თავმჯდომარე არის გენერალური დირექტორი. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს რელევანტურ ანალიტიკურ მონაცემებს. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი მიზნებია:

კაპიტალის რისკი	• სებ-ის მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და კაპიტალის პროგრნოზის ანალიზი; • ეკონომიკური კაპიტალის მართვა და ძირითადი ცვლილებების ანალიზი; • ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი და კაპიტალის კვარტალური სტრეს-ტესტი;
ლიკვიდობის რისკი	• დაფინანსების გეგმის შემუშავება ბანკის საინვესტიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით ჭარბი ლიკვიდური სახსრების თავიდან ასაცილებლად; • ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი ყოველთვიური ლიკვიდობის სტრეს-ტესტებთან ერთად და შესაბამისი ქმედებები შედეგების; • ლიკვიდობის რისკის მითიგაციის ინსტრუმენტების და აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის პოზიციის მართვა;
საბაზრო რისკი	• საპროცენტო განაკვეთისა და საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის პოზიციის მართვა • FX პოზიციის მართვა;
ფასდადება	• მინიმალური საპროცენტო განაკვეთის დაწესება სესხებისა და გარანტიებისთვის; • ფასდადებასთან მიმართებაში გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კონტროლი;


დამატებით, კომიტეტი აწესებს ლიმიტს ბანკთაშორისი კონტრაგენტის რისკისთვის. კომიტეტი თავისი ძირითადი პასუხისმგებლობების შესრულებით, უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივების და

ვალდებულებების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. აღნიშნული პოლიტიკა არის მთავარი სახელმძღვანელო ბანკის საბალანსო ანგარიშგებასთან და მის მაჩვენებლებთან დაკავშირებით სრული მონიტორინგის და ღრმა ანალიზის შესრულებისთვის.

6.1.3 ორგანიზაციული რისკების მართვა

2018 წელს, ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება გახდა ფინანსური დეპარტამენტის ნაწილი. განყოფილების მიზანია საფრთხეებისა და შესაძლებლობების საუკეთესო დაბალანსებისთვის რისკის მისაღები დონის შენარჩუნება - რისკის დასაშვები დონისა და საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორების ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად. ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილება დაინტერესებულია ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა და ორგანიზაციის აქტივების შესაფერისი მართვა, არასასურველი მოვლენების შედეგად დანაკარგების თავიდან არიდების ჩათვლით. ეს მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეზე არსებულ საკითხებს. მმართველობაში ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილების როლი ილუსტრირებულია 6.1.3.1 ცხრილში:

ცხრილი 6.1.3.1 მმართველობასა და ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილების კავშირი



ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება ხელს უწყობს რისკებთან დაკავშირებული საქმიანობების მართვას, როგორებიცაა რისკების თავმოყრა და ანალიზი, რისკების ანგარიშგება, და მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული კონკრეტული ტიპის რისკში. განყოფილების ძირითადი ფუნქციები მოიცავს:

- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესზე და აღდგენის გეგმის დოკუმენტაციაზე პასუხისმგებლობა;
- დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ხელი შეუწყოს RAS-ის მიმოხილვის პროცესის კოორდინირებაში და RAS შესაბამისობის მონიტორინგი, კონტროლი და ანგარიშგება;
- ლიკვიდობის და სხვა სტრეს-ტესტების ჩატარება ორგანიზაციის დონეზე;
- ხაზინის დეპარტამენტთან ყოველდღიური კომუნიკაცია და ALCO-სთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება;
- საზედამხედველო რისკის მართვა და ანგარიშგება;

6.2 დოკუმენტი რისკის დასაშვები დონის შესახებ

6.2.1 რისკის დასაშვები დონე

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შექმნას რისკის მართვის სტრუქტურა და განსაზღვროს ბანკის რისკის დასაშვები დონე. ბანკის რისკის დასაშვები დონე განსაზღვრულია დოკუმენტში რისკის დასაშვები დონის შესახებ (“RAS”). რისკის დასაშვები დონე განისაზღვრება, იმ რისკის ტიპების და დონის სახით, რომლის მიღებისთვის ბანკი მზად არის თავისი აქციონერების და მეანბრეების სახელით მის სტარტეგიულ, ტაქტიკურ და ტრანზაქციულ ბიზნეს ოპერაციებში. რისკის დასაშვები დონე გამოხატულია, როგორც კონკრეტული, რაოდენობრივი ფარგლების პაკეტი სხვადასხვა სარისკო საქმიანობებზე, რომლის კროსირებაც არ უნდა მოახდინოს ბანკმა. RAS ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა ლიმიტებს კონტრაგენტებზე კონცენტრაციის რისკების თავიდან აცილებისთვის.

რისკის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს ბანკის საერთო შესაძლებლობას მიიღოს პოტენციური ზარალი. რისკის პროფილი არის ბანკის რისკის პორტფელის მოკლე ასახვა დროის კონკრეტულ ეტაპზე (წარსული, აწმყო ან მომავალი). რისკის დასაშვები დონე არ არის ბანკის მიერ რისკის მიღების შესაძლებლობა (და უნდა იყოს მასზე ნაკლები) და ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს ბანკის რისკის პროფილისგან. რისკის პროფილი ზოგადად დაბალი უნდა იყოს რისკის დასაშვებ დონეზე. რისკის პროფილი შეიძლება მაღალი იყოს რისკის დასაშვებ დონეზე გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ბანკის რისკის დასაშვები დონის გამოხატული ცვლილების და გარე იმპულსების გამო) დროის შეზღუდულ და მოკლე პერიოდებში.

2017 წელს ახალმა მმართველობამ გადაწყვიტა რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი ცალკე დოკუმენტად დაემტკიცებინა.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში აღწერილია ბანკის მიდგომები შემდეგ რისკებთან მიმართებაში:

- საკრედიტო რისკი
- სახაზინო და კაპიტალის რისკი
- საბაზრო რისკი
- საოპერაციო რისკი
- სხვა მნიშვნელოვანი რისკები

ბანკის რისკის დასაშვები დონის ზომები განსაზღვრულია ბანკის სტარტეგიული მიზნების მიღწევის და გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მიზნით:

- კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს
- ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის სათანადო მართვის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს: LCR და ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას საზედახმედველო მოთხოვნილ მინიმუმზე ზემოთ. შეზღუდვებს ერთი კლიენტის რისკის პოზიციებზე; კონცენტრაციის ლიმიტებს; სტრეს-ტესტების ჩაბარებას (საბაზო, რბილი და მძიმე შემთხვევები) და სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურის მიღწევას და შენარჩუნებას;
- წინასწარი შეფასება მითითებულ რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ახალი პროექტების / ინვესტიციების,

ახალი პროდუქტების თვალსაზრისით, და ბაზრის ახალ სეგმენტში ან ბიზნეს ხაზებში შესვლისთვის;

- მდგრადი ეკონომიკური სარგებელის შესაბამისობის შენარჩუნება აღებულ მოვალეობებთან;

დირექტორთა საბჭო ყოველწლიურად, ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში უფრო ხშირად, განიხილავს და ამტკიცებს ბანკის რისკის დასაშვებ დონეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამება ბანკის სტრატეგიას, ბიზნეს და საზედამხედველო გარემოს და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებს.

ბანკის რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებული დოკუმენტები რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის დასაშვებ დონეს, უნდა არსებობდეს ზომების კონკრეტული პაკეტი დირექტორთა საბჭოს დავალებებთან ერთად, რომელშიც შედის აღნიშნული ზომების განხორციელება ბანკის რისკის პროფილის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რისკის დასაშვებ დონესთან დროის განსაზღვრულ პერიოდში.

დირექტორთა საბჭო და განყოფილების ყველა ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეასრულოს და დაიცვას რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი.

6.2.2 მონიტორინგი, ანგარიშგება და გადახედვა

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის საერთო რისკის პროფილის მართვაზე. საკრედიტო რისკის კომიტეტი, ALCO, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტები და ორგანიზაციული რისკებისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება პასუხისმგებელი არიან რისკების მონიტორინგზე და რისკის დასაშვები დონის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციული რისკებისა და ბაზრის ანალიზის განყოფილებას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა RAS პარამეტრების და ლიმიტების უწყვეტ მონიტორინგზე და RAS შესრულების შესახებ ანგარიშგებაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველკვარტალურად.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან ბანკის საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილების დროს, რა შემთხვევაშიც გადახედვის პროცესს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიუთითოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომ RAS საჭიროებს გადახედვას, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას როდის დაიწყოს აღნიშნული პროცესი.

გადახედვის კოორდინაციას ახორციელებს ორგანიზაციული რისკის მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება. რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში შეთავაზებულ ცვლილებები დასტურდება დირექტორთა საბჭოს მიერ და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

6.3 რისკის ტიპები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ. რეგულაციები მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, საოპერაციო რისკსა და სახაზინო და კაპიტალის რისკს. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის თანახმად ბანკი ითვლის ეკონომიკურ კაპიტალს, რომელიც საჭიროა ლიკვიდობის რისკის გარდა ყველა მატერიალური რისკის დასაფარად.

6.3.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს.

ბანკს აქვს საკრედიტო რისკის სხვადასხვა კატეგორია:

- დეფოლტის რისკი - არის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სასესხო ვალდებულებების გადახდას.
- ქვეყნის რისკი - ქვეყნის კრედიტუნარიანობის მოულოდნელი გაუარესების ან დეფოლტის რისკი, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან სხვა არახელსაყრელი მოვლენებით ქვეყანაში.
- კონცენტრაციის რისკი - ერთი აქტივის ან აქტივების ჯგუფის დიდი პოზიციის დაკარგვის რისკი. ეს რისკი წარმოიქმნება, როცა პორტფელი სექტორის და მსესხებელთა ჯგუფის თვალსაზრისით ნაკლებადაა დივერსიფიცირებული.

6.3.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის შედეგებზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის რისკს და მათი ცვალებადობის დონეს. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. საბაზრო რისკი, რომელიც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობებთან, მოიცავს ზარალის რისკს აქციების ფლობასთან დაკავშირებით, და საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი მიიღება საბანკო საშუალო საქმიანობებიდან.

6.3.3 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების, სისტემების ან ადამიანების, გარეშე განზრახული, შემთხვევითი ან ბუნებრივი მოვლენების არაადეკვატურობის ან დარღვევის შედეგად. გარეშე მოვლენები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, თაღლითობას, წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და ტერორისტის ან ჰაკერის შეჭრას. საკრედიტო ან საბაზრო შემთხვევები, როგორებიცაა დეფოლტი ან ღირებულების რყევები, რომლებიც შედის საოპერაციო რისკის ფარგლებში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი შედის საოპერაციო რისკში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი არის პოტენციალი იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა მიიღოს საზედამხედველო

სანქციები, ფინანსური ზარალი და/ან ზიანი მიადგეს მის რეპუტაციას, ბანკის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, წესების და რეგულაციების შესრულებლობის გამო. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის დაკარგვის რისკს.

6.3.4 საბაზინო და კაპიტალის რისკი

საბაზინო და კაპიტალის რისკი მოიცავს ლიკვიდობის და კაპიტალის რისკს.

ლიკვიდობის რისკი არის ფინანსური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ვალდებულებების დროული გადახდის პოტენციული უუნარობის, ან ამ ვალდებულებების შესრულებისას ზედმეტი ხარჯის გაწევის შედეგად. ბანკი ლიკვიდობის რისკს ორ ტიპად ყოფს:

საბაზრო ლიკვიდობა - საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ბანკს არ შეეძლება აქტივის ყიდვა ან გაყიდვა ფასების მატერიალურად შეცვლისა და ტრანზაქციის დიდი ხარჯების გაწევის გარეშე.

დაფინანსების ლიკვიდობა - დაფინანსების ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება, როცა ბანკს არ შეუძლია ვალდებულების გადახდა მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ან ბანკს არ შეუძლია დეპოზიტების გატანის მსურველი მომხმარებლების დაკმაყოფილება.

კაპიტალის რისკი წარმოიქმნება რისკის პოზიციების მხარდასაჭერად კაპიტალის არაადეკვატურობით, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობებით, დივიდენდების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით, ინვესტირების რისკის დასაშვები დონის ან კრედიტ რეიტინგის გაუარესების გამო დაფინანსების ხარჯების ზრდით და ნორმალურ სამუშაო გარემოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით.

6.3.5 მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური სიტუაცია გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობაზე, პორტფელის ხარისხსა და ზრდის ტემპზე. მთავარი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოს საბანკო სექტორზე არის:

- მშპ-ს ზრდის ტემპი
- უმუშევრობის დონე
- გაცვლითი კურსი
- ინფლაცია
- რეალური საპროცენტო განაკვეთი
- ბიზნესის და მომხმარებლის მოლოდინები
- ფისკალური და მიმდინარე ანგარიშების დისბალანსი
- პოლიტიკური ციკლი

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამ ფაქტორებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ექსპორტზე, ტურიზმზე, ფულის გადარიცხვებსა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე.

6.5 სტრეს ტესტები

დინამიური რისკის ზედამხედველობის და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკმა შეიმუშავა სტრეს ტესტირების სტრუქტურა, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

6.5.1 სტრეს ტესტების სტრუქტურა

ბანკი სტრეს ტესტებს იყენებს სხვადასხვა უარყოფით სცენარებში კაპიტალის და ლიკვიდობის მოთხოვნების დასაგეგმად. სტრეს ტესტები მოიცავს ყველა არსებით რისკს და შესაძლებლობას აძლევს ბანკს შეაფასოს არახელსაყრელი ეკონომიკური ტენდენციების ეფექტი სხვადასხვა ტიპის რისკებზე. სტრეს ტესტები ქმნის რისკის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს. ბანკი იყენებს სცენარულ დაფუძნებულ მიდგომას ეკონომიკაში უარყოფითი მოვლენების მის კაპიტალის ადეკვატურობის და ლიკვიდობის ბუფერებზე ზემოქმედების შესაფასებლად. სტრეს ტესტები ტარდება ორგანიზაციის დონეზე.

ბანკი იყენებს სტრეს ტესტებს კაპიტალის დაგეგმვის დროს და ავრცელებს სტრესის რისკებზე და შემოსავლისა და ხარჯის სტრუქტურაზე. შემოსავალსა და ხარჯზე სტრესის შექმნა გავლენას ახდენს ბანკის კაპიტალზე, ხოლო რისკის პოზიციებზე სტრესის შექმნა ზემოქმედებას ახდენს RWE-ზე. სტრეს ტესტები ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ კაპიტალის ადეკვატურობის შეცანების შიდა პროცესის ფარგლებში.

6.5.2 სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის და სცენარების განსაზღვრა

სტრეს ტესტების მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ეტაპს. პირველი ეტაპია შიდა სტრეს-ტესტის სცენარების განსაზღვრა და მომზადება. თითოეული სცენარი მოიცავს მაკროეკონომიკურ ცვლადებს. ბანკს აქვს საბაზო სცენარი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ტენდენციების პროგნოზს ჩვეულებრივი მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობის დროს და რეცესიული სცენარი, რომელიც წარმოადგენს დარტყმებს ეკონომიკაზე, რომლებიც მოულოდნელი, მაგრამ შესაძლებელია. აღნიშნული სცენარები ასახავს მიმდინარე, ასევე პროგნოზირებულ ეკონომიკურ პირობებს და შესაბამისად კორექტირდება დირექტორთა საბჭოს მიერ. მეორე ეტაპი არის სცენარების ზემოქმედების განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის რისკებსა და კაპიტალზე. სტრეს-ტესტის სცენარების ეფექტის რისკებზე, შემოსავლის და ხარჯის სტრუქტურაზე საჩვენებლად ბანკი გამოთვლის კაპიტალის მოთხოვნის კოეფიციენტებს თითოეულ სცენარში. საბოლოოდ შედეგებს აფასებს დირექტორთა საბჭო თანმიმდევრობის და სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით. მონაცემები შემდეგ წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ორგანიზაციის დონეზე სტრეს-ტესტირების გარდა, ბანკი იყენებს სხვადასხვა სპეციალურ სცენარებს, რომლებიც დირექტორთა საბჭოს აწვდის ინფორმაციას ბანკზე ზემოქმედებების მქონე კონკრეტული სახის მოვლენების შესახებ.

6.6 აღდგენის გეგმა

ბანკი აღდგენს აღდგენის გეგმას (Recovery Plan), რომელიც ითვალისწინებს შესაძლო აღდგენის გზებს იმ შემთხვევაში, თუ ბანკი აღმოჩნდება პრობლემურ სიტუაციაში. აღდგენის გეგმა წარმოადგენს რისკის მართვის დამატებით ინსტრუმენტს და მისი მიზანია აღდგენის პერიოდის შემოკლება და კრიზისის შემთხვევაში ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. ბანკის საერთო რისკის პროფილის და ბანკისთვის დამახასიათებელი რისკების საფუძველზე, გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ გამომწვევ ფაქტორებს, რომლის შესაბამისადაც დირექტორთა საბჭომ უნდა ამოქმედოს აღდგენის გეგმა.

აღდგენის გეგმაში აღწერილია და განსაზღვრულია მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გამოწვიოს აღდგენის გეგმის ამოქმედება. იმ კრიტიკული მოცულობების გათვალისწინების მიზნით, რომლებიც იწვევს აღდგენის გეგმის აქტივაციას, ჩატარდა საბაზო პროგნოზირებული (ბიუჯეტში გათვალისწინებული) სცენარის ანალიზი. ვინაიდან წინასწარ არ არის ცნობილი მოვლენის ზუსტი ბუნება, რომელიც გამოიწვევს ზეწოლას ბანკზე, გეგმა სტრესული მოვლენების სიმწვავის საპასუხოდ უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს შესაძლო გამოსავლების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ. გეგმაში აღწერილია შესაბამისი მიტიგაციის ფაქტორები/ქმედებები და არსებულ ზეწოლებზე მათი გამოყენების ეფექტები.

კაპიტალის ფაქტორებს ყოველთვიურად აკონტროლებს ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება. ნებისმიერი პოტენციური გამომწვევი მოვლენა ეგზავნება დირექტორთა საბჭოს და განიხილება შეხვედრაზე. ამოქმედების შემთხვევაში აღდგენის გეგმის სტრატეგია განხორციელდება დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობით.

7 კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა

7.1 საზედამხედველო ჩარჩო

2014 წლის 30 ივნისიდან, ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრულია სეზ-ის პრეზიდენტის 2013 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებულ #100/04 ბრძანებაში - „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ („პილარ 1-ის რეგულაცია“).

2017 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცვლილებები შეიტანა “კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის რეგულაციებში”, რამაც პილარ 1-ის მოთხოვნები მიუახლოვა ბაზელ 3-ის სტანდარტებს. ზემოხსენებულმა დააწესა ძირითადი პირველადი კაპიტალის დამატებითი ბუფერები, კერძოდ: კონსერვაციის ბუფერი, კონტრციკლური ბუფერი და სისტემური რისკის ბუფერი.

2017 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოახდინა პილარ 2-ის ჩარჩოს ფორმალიზება, რომელმაც კაპიტალის დამატებითი მოთხოვნები დააწესა შემდეგი ბუფერების საშუალებით: არაჰეჯირებული ვალუტის მიერ გამოწვეული საკრედიტო რისკის ფუფერის, საკრედიტო რისკის პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, წმიდნდა სტრეს-ტესტის ბუფერი და GRAPE-ის (ზოგადი რისკის შეფასების პროგრამა) ბუფერი.

ცვლილებები რეგულაციაში – 2018

2018 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის განსაზღვრა GRAPE-ის ბუფერი, რომელმაც გაზარდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოთხოვნები.

2018 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააუქმა ოქროს მიტიგაციის საშუალებები, რის შედეგადაც რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა.

2018 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განმარტა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები და დააწესა სისტემური რისკის დამატებითი ბუფერი.

7.2 საზედამხედველო კაპიტალი

რეგულაცია ბანკებისგან მოითხოვს საკმარისი კაპიტალის გადადებას მოულოდნელი ზარალის დასაფარად და კრიზისში გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ძირითადი პრინციპის მიხედვით, საჭირო კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის აქტივებთან დაკავშირებულ რისკთან.

მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მოიცავს პირველად და მეორად კაპიტალს. პირველადი კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისა და დამატებითი პირველადი კაპიტალისგან.

პირველადი კაპიტალი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის უმთავრეს წყაროს, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს განაგრძოს თავისი საქმიანობა და შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა. ძირითადი პირველადი კაპიტალი წარმოადგენს პირველადი კაპიტალის უმაღლეს დონეს.

მეორადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის დამატებითი წყარო, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს დაუბრუნოს ინვესტიცია დეპოზიტორებს და სუბორდინირებულ კრედიტორებს, გადახდისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი განსაზღვრავს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის დეტალებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით:

ცხრილი 7.2.1 საზედამხედველო კაპიტალი ბაზელ 3-ის მიხედვით


ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე	272,945	220,095	24%
ჩვეულებრივი აქციები	44,490	43,951	1%
საემისიო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციებზე	35,132	33,875	4%
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	28,500	29,010	-2%
სხვა რეზერვები	1,694	1,694	0%
გაუნაწილებელი მოგება	163,128	111,566	46%
ძირითადი პირველადი კაპიტალი: საზედამხედველო კორექტირებები	-62,335	-57,651	8%
აქტივების გადაფასების რეზერვი	-28,500	-29,010	-2%
აკუმულირებული არარეალიზებული გადაფასების მოგება აქტივებზე მოგებასა და ზარალში	-2,368	-2,035	16%
არამატერიალური აქტივები	-31,206	-26,349	18%
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში/დაკავშირებულ საწარმოებში	-260	-257	1%
ძირითადი პირველადი კაპიტალი	210,610	162,444	30%
დამატებითი პირველადი კაპიტალი	4,565	6,139	-26%
პირველადი კაპიტალი	215,175	168,583	28%
მეორადი კაპიტალი	55,994	63,911	-12%
სუბორდინირებული ვალი	41,715	51,415	-19%
საერთო რეზერვები	14,279	12,496	14%
საზედამხედველო კაპიტალი	271,169	232,494	17%

2018 წელს მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი გაიზარდა 38.68 მილიონი ლარით, 2017 წლის მონაცემებთან შედარებით. ძირითადი ცვლილებები გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების ზრდამ, 2018 წლის წმინდა მოგებიდან გამომდინარე - 51.56 მილიონი ლარი და მეორადი კაპიტალის შემცირებამ სუბორდინირებული სესხების ამორტიზაციის ხარჯზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საზედამხედველო კაპიტალის და რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების კვარტალური მონაცემები.

ცხრილი 7.2.2 საზედამხედველო კაპიტალი ბაზელ 3-ის მიხედვით

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი



საზედამხედველო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილი 2 და 3.

7.3 კაპიტალის მოთხოვნები

7.3.1 კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები

საკრედიტო ინსტიტუტის კაპიტალის ადეკვატურობის ძირითადი მაჩვენებლები, მარეგულირებლის თვალსაზრისით, არის საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებთან ("RWE"). პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად, სეზ-ი მოითხოვს რომ ბანკებმა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 8.0%, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 6.0% და ძირითადი პირველადი კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 4.5%, რომელიც გამოთვლილი და ნაჩვენები უნდა იყოს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში. სავალდებულო მოთხოვნების გარდა ყველა ბანკს მოეთხოვება შეინარჩუნონ კონსერვაციის ბუფერი, კონტრაციკლური ბუფერი და სისტემური რისკის ბუფერი იმისთვის, რომ უზრუნველყოს წარმატებულ პერიოდში კაპიტალის საკმარისი ბაზის დაგროვება, კრიზისის შემთხვევაში ზარალთან გამკლავების მიზნით.

კონსერვაციის ბუფერის მიზანია ბანკის კაპიტალის კონსერვატულად შენარჩუნება. როცა ბანკი ბუფერს არღვევს, ამოქმედდება ავტომატური დაცვის მექანიზმი, რაც უზღუდავს ბანკს გაცემული დივიდენდების და ბონუსების მოცულობას.

კონტრაციკლური კაპიტალის ბუფერი არის ბაზელ 3-ის პრინციპებზე დაფუძნებული, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ბანკის დაკრედიტების აქტივობებზე ეკონომიკური ციკლის გავლენის გაუვნებელოებისთვის.

ამ ჩარჩოს ფორმალიზების და დაფუძნების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემუშავა "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ბუფერების მოთხოვნების განსაზღვრის წესი". ამ წესის თანახმად, პილარ 2-ის კაპიტალის მოთხოვნებში შედის არაჰეჯირებული ვალუტით ფამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი, კონცენტრაციის ფუფერი, წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი და GRAPE ბუფერი.

აღსანიშნავია, პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები კაპიტალის მოთხოვნების პროპორციულად უნდა იყოს გათვალისწინებული (ძირითადი პირველადი კაპიტალი 4.5%, პირველადი კაპიტალი 6% და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი 8%). შესაბამისად, პილარ 2-ის მიხედვით მოთხოვნილი კაპიტალის 56% უნდა შეადგენდეს ძირითადი პირველადი კაპიტალის, 75% კი - პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ლიბერთი ბანკის კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

ცხრილი 7.3.1.1 მინიმალური მოთხოვნები

მინიმალური მოთხოვნები	კოეფიციენტი	რაოდენობა (ლარი)
პილარ 1-ის მოთხოვნები		
ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	68,927,679
პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	91,903,572
საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	122,538,096
კომბინირებული ბუფერი		
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	38,293,155
კონტრციკლური ბუფერი	0.00%	-
სისტემური რისკის ბუფერი	0.60%	9,190,357
პილარ 2-ის მოთხოვნები		
პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	1.36%	20,837,014
პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	1.82%	27,828,859
პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	6.60%	101,051,082
ჯამური მოთხოვნები		
ძირითადი პირველადი კაპიტალი	8.96%	137,248,205
პირველადი კაპიტალი	10.92%	167,215,943
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	17.70%	271,072,690

7.3.2 რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები შეადგენდა 1,531.7 მილიონ ლარს და რისკის შემდეგ ტიპებადაა ჩაშლილი: საკრედიტო რისკმა შეადგინა რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 74.58%, საბაზრო რისკმა - 0.03%, საოპერაციო რისკმა კი - 25.39%. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის შორის რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები საკრედიტო რისკისთვის გაიზარდა 142.6 მილიონი ლარით, საოპერაციო რისკისთვის 37.5 მილიონი ლარით, რაც განპირობებული იყო ძირითადი ინდიკატორების გამოთვლაში გამოყენებული 3 წლის საშუალო მოგების მაჩვენებლის ზრდით, რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები საბაზრო რისკისთვის კი შემცირდა 3.8 მილიონი ლარით. ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებს კატეგორიებისა და კაპიტალის მოთხოვნების მიხედვით:

ცხრილი 7.3.2.1 კაპიტალის მოთხოვნების და რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების (RWE) მინიმალური მოთხოვნები


მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31-დეკემბერი-18		31-დეკემბერი-17		ცვლილება(1)
	RWE	კაპიტალის მოთხოვნა	RWE	კაპიტალის მოთხოვნა	
საკრედიტო რისკი	1,142.3	202.2	999.7	105.6	14%
საბალანსო ელემენტები	1,120.0	198.2	980.1	103.5	14%
ცენტრალური მთავრობა	86.0	15.2	75.5	8.0	14%
და ცენტრალური ბანკები					
კომერციული ბანკები	26.3	4.7	48.3	5.1	-46%
კორპორატიული კლიენტები	267.8	47.4	54.0	5.7	396%
საცალო	429.7	76.1	552.4	58.3	-22%
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი პოზიციები	12.3	2.2	3.1	0.3	297%
ვადაგადაცილებული ელემენტები	3.8	0.7	2.6	0.3	46%
მაღალი რისკის კატეგორია	158.6	28.1	108.5	11.5	46%
სხვა ელემენტები	135.5	24.0	135.7	14.3	0%
გარესაბალანსო ელემენტები	11.2	2.0	10.4	1.1	8%
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	11.1	2.0	9.2	1.0	21%
საბაზრო რისკი	0.5	0.1	4.3	0.5	-88%
საოპერაციო რისკი	388.9	68.8	351.4	37.1	11%
სულ	1,531.7	271.1	1,355.4	143.1	13%

(1) RWE-ში პროცენტული ცვლილება არის იგივე, რაც კაპიტალის მოთხოვნების პროცენტული ცვლილება.


საკრედიტო რისკში ძირითადი ცვლილებები გამოწვეული იყო კორპორატიული სესხების პორტფელის 184 მილიონი ლარის ზრდით.

ქვემოთ მოცემული ცხრილები წარმოადგენს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების განაწილებას რისკის ტიპისა და სესხის პროდუქტების მიხედვით:


რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სეგმენტის მიხედვით



რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები რისკის ტიპის მიხედვით



რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები და წმინდა პოზიციები კრედიტის პროდუქტის მიხედვით



რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის მე-4 ცხრილი.

7.4 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა განპირობებულია ბანკის სტრატეგიული და ორგანიზაციული მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს მარეგულირებელ, ეკონომიკურ და კომერციულ გარემოს. კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია ფუნდამენტური რისკების დასაძლევად კაპიტალის სტაბილური ბაზის შენარჩუნება.

ბანკი ზარალს კატეგორიების მიხედვით განსაზღვრავს. ზოგი ფინანსური დანაკარგი, რომელიც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, ბანკის შემოსავლებით იფარება. თუმცა, გარკვეული შიდა ან გარე ფაქტორებისგან გამოწვეული ზარალი, რომელიც აღემატება შემოსავალს, გადაიფარება კაპიტალიდან.

ბანკის კაპიტალის მართვის მიზნებს წარმოადგენს მუდმივ გადახდისუნარიანობაზე ზრუნვა, კაპიტალის საზედამხედველო და შიდა მოთხოვნების დაკმაყოფილება და დამატებითი კაპიტალის ბუფერის შენარჩუნება ცნობილი (და, ზოგ შემთხვევებში უცნობი) რისკებისგან ბანკის დასაცავად.

7.4.1 კაპიტალის მართვის ორგანიზაცია

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს გადაწყვეტილებებს ცვლილებების შესახებ ბანკის კაპიტალის სტრუქტურაში. სტრატეგია მოიცავს ფუნდამენტურ მიზნებს და საბაზისო პროცედურებს:

მიზნები	პროცედურები
ჩვეულებრივი და სტრესული სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი რისკის გავლენასთან გასამკლავებლად კაპიტალის ადეკვატურობის მართვა	- საზედამხედველო კაპიტალის დაცვა - RAS ლიმიტის ბუფერის შენარჩუნება
ბიზნესის ზრდის და შესაბამისი რისკების დასაფინანსებლად კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნება.	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება
კაპიტალის პოტენციური დეფიციტისთვის სტრატეგიების დადგენა.	სტრეს-ტესტების ჩატარება
კაპიტალის დაგეგმვის, კაპიტალის გაცემის და დივიდენდების განაწილების ღონისძიებების ხელმძღვანელობა.	კაპიტალის მართვის მთავარი სტრატეგიების შესაბამისი პროცედურების შემუშავება.

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის (ICAAP) საშუალებით. გარდა ამისა, კაპიტალის მართვის დამატებითი ინსტრუმენტის სახით, ბანკი ადგენს ალდგენის გეგმას, რომელიც მოიცავს საზედამხედველო კაპიტალის ზღვრულ მაჩვენებლებს და ალდგენის სტრატეგიებს.

7.4.2 კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი და ანგარიშგება

ბანკი რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცესის შედეგად აიდენტიფიცირებს რისკებს და განსაზღვრავს შესაბამის ქმედებებს რისკის მართვისთვის. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები ითვლება ყოველთვიურად და მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ბანკი აკონტროლებს თავისი კაპიტალის ადეკვატურობის პარამეტრებს ყოველთვიურად კაპიტალის ადეკვატურობის დონის შესანარჩუნებლად მიღებული რისკების შესაბამისად. ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებით ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება უზრუნველყოფს კაპიტალის კონტროლის ყველა პარამეტრის გამოთვლას და დროულად წარდგენას დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია კაპიტალის ადეკვატურობის შემცირება სეზონის მიერ დადგენილი ზღვრების ან რისკის დასაშვები დონის დოკუმენტის მიერ დადგენილი ზღვრების ქვემოთ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უნდა განახორციელოს დირექტორთა საბჭომ აღნიშნული ტენდენციის კომპენსირებისთვის რისკების შეზღუდვის, შემცირების ან კაპიტალის ბაზის გაძლიერების გზით.

7.4.3 კაპიტალის დაგეგმვა

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ნაწილი ითვალისწინებს კაპიტალის მომავალი მოთხოვნების დაგეგმვას ბანკის ბიზნეს გარემოს, ზრდის და სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობით. რისკის პროფილში პოტენციური ძირითადი ცვლილებები და შესაბამისი კაპიტალის მომავალი მოთხოვნები შეფასებულია კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის გამოყენებით. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ.

კაპიტალის დაგეგმვა შეტანილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რომელიც ითვალისწინებს რისკის სტრატეგიის და დასაშვები დონის შესაბამისობაში მოყვანას ბანკის კომერციულ მიზნებთან. კაპიტალის გეგმა შეიმუშავა დირექტორთა საბჭომ და დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კაპიტალის გეგმის და პოზიციის გადახედვასა და მონიტორინგზე. კაპიტალის დაგეგმვა კაპიტალის, რისკის და მოგების პროგნოზის მთავარი ფუნქციაა.

7.5 კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესი

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესი გამოიყენება ბანკის მიერ რისკების დადგენის და შეფასების, აღნიშნული რისკების საპასუხოდ საკმარისი კაპიტალის შენარჩუნების და რისკის მართვის სათანადო მეთოდების გამოყენებით ადეკვატური კაპიტალიზაციის უზრუნველყოფისათვის მიმდინარე და მომავალ პერსპექტივაში.

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ძირითადი კომპონენტებია უზრუნველყოს ბანკის მიმდინარე, სამომავლო და პოტენციური მოთხოვნა კაპიტალზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მიუთითებს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის პირველად მიზნებს და ძირითად პრაქტიკებს:

მთავარი მისია	პროცესი
ჩვეულებრივ პირობებში წარმოქმნილ რისკთან გასამკლავებლად ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნება	- სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაცვა - კაპიტალის RAS-ში განსაზღვრული ბუფერის შენარჩუნება
სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი ბიზნესის განპირობებისთვის ჯგუფის მიმდინარე და პროგნოზირებული ბიზნეს საჭიროებებისა და ასოცირებული რისკების დასაფარად ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნება	ბიზნესისა და სტრატეგიული კაპიტალის დაგეგმვის პროცესის თანახმად რისკის პროფილისა და კაპიტალის მოთხოვნების გამოყენება
არაპროგნოზირებადი და არაკონტროლირებადი შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ პოტენციურ რისკთან გასამკლავებლად ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნება	სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული სქემის თანახმად სტრეს-ტესტების რეგულარული ჩატარება

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების სრულ შიდა პროცესს ატარებს დირექტორთა საბჭო იმ სიხშირით, რამდენადაც მოითხოვს საჭიროება, მაგრამ ყველაზე ცოტა წელიწადში ერთხელ. შედეგების ანგარიშგება ხდება კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის ანგარიშში და მოიცავს სულ მცირე მომდევნო საკითხებს:

- სებ-ის და RAS-ის მიერ დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტების დაცვა;
- კაპიტალის ბაზის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების დაგეგმვა;
- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა მოთხოვნების შეფასება და ეკონომიკური კაპიტალის გამოთვლა;
- ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის შეფასება;
- საკრედიტო რისკის, საბაზრო რისკის და საოპერაციო რისკის დეტალური შეფასება;
- ორგანიზაციული მასშტაბით, კაპიტალის და ლიკვიდობის სტრეს ტესტების შედეგები.

7.5.1 კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა მეთოდოლოგია

ბანკი აფასებს შიდა კაპიტალის ადეკვატურობას შემდეგი კოეფიციენტით, არსებული მთლიანი კაპიტალი გაყოფილი კაპიტალის მთლიან მოთხოვნაზე. შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც აღემატება 100%-ს, ნიშნავს, რომ კაპიტალის მარაგი საკმარისია კაპიტალის მოთხოვნის დასაფარად, რომელიც განსაზღვრულია ბანკის რისკის პოზიციების საფუძველზე. კაპიტალის მარაგი და კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება შემდეგი სახით:

კაპიტალის მარაგი:

კაპიტალის მარაგი შეადგენს ბანკის მთლიან სააქციო კაპიტალს, რომელსაც აკლდება გადაფასების რეზერვი აქტივებზე და ემატება მეორადი კაპიტალი. ბაზელ 3-ის სახელმძღვანელოს პრინციპების შესაბამისად, ბანკი არ ითვალისწინებს გადაფასების რეზერვს ძირითად საშუალებებზე კაპიტალის მარაგში.

მეორადი კაპიტალი მოიცავს ნებისმიერ შესაბამის ინსტრუმენტს პილარ 1-ის რეგულაციის სახელმძღვანელოს პრინციპების თანახმად და ასევე მოიცავს საერთო რეზერვების თანხას. ვინაიდან ბანკი იყენებს შიდა რეიტინგებზე (Internal Ratings Based - „IRB“) დაფუძნებულ მიდგომას RWE-ს გამოსათვლელად, მეორადი კაპიტალის შესაბამისი საერთო რეზერვები შემოიფარგლება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0.6%-ით.

კაპიტალის მოთხოვნა:

კაპიტალის მოთხოვნა წარმოადგენს ეკონომიკური კაპიტალით (Economic Capital Requirement “ECR”) გათვალისწინებული ყველა რისკისა და არამატერიალური აქტივების ჯამს. ეკონომიკური კაპიტალი არის კაპიტალის მოცულობა, რომელიც მოითხოვება ბანკის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური კაპიტალი განსხვავდება საზედამხედველო კაპიტალისგან იმ თვალსაზრისით, რომ საზედამხედველო კაპიტალი არის სავალდებულო კაპიტალი (მოთხოვნილი სებ-ის მიერ), ხოლო ეკონომიკური კაპიტალი არის მოთხოვნილი კაპიტალის საუკეთესო შეფასება, რომელსაც ბანკი იყენებს შიდა მიზნებისთვის რისკების სამართავად.

ეკონომიკური კაპიტალის შეფასება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებისთვის არის შემდეგი:

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საკრედიტო რისკებისთვის:

ბანკი იყენებს (Value-at-Risk - “VAR”) 99.9%-იანი სანდოობის დონეს ერთწლიანი დროის პერიოდში საკრედიტო პორტფელის, ქვეყნების, ცენტრალური ბანკებისა და კომერციული ბანკების რისკის პოზიციის განსასაზღვრად. ეკონომიკური კაპიტალი, რომელმაც უნდა დაფაროს მხოლოდ მოულოდნელი ზარალი, გამოითვლება VAR შეფასებიდან მოსალოდნელი ზარალის გამოქვითვით.

რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი მონაცემები: სანდოობის დონე, რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (Exposure at Default “EAD”), დეფოლტის ალბათობა (Probability of Default - “PD”), კორელაცია, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (Loss Given Default “LGD”) და დაფარვის ვადის კორექტირება.

საბალანსო ელემენტებისთვის, რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში შეადგენს მთლიან საბალანსო რისკის პოზიციას გამოკლებული უმოქმედო აქტივები. აუთვისებელი კრედიტის

ვალდებულებები შეტანილია რისკის პოზიციის დეფოლტის შემთხვევაში 50%-იანი კონვერსიის ფაქტორის გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღნიშნავს კლიენტების საკრედიტო პორტფელის, ქვეყნების, ცენტრალური ბანკებისა და კომერციული ბანკების ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნის გამოთვლის პრინციპებს.

საცალო სესხები	• საკრედიტო პორტფელის დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის დროს პროდუქტის მიხედვით, ბანკის შიდა მონაცემების გამოყენებით; • CICR რისკი, რაც არის უცხოური ვალუტაში არსებული რისკის პოზიცია 75%-იანი შეწონვით;
კორპორატიული & მცირე და საშუალო სესხები	• საკრედიტო პორტფელის დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის დროს კლიენტების ჭრილში, ბანკის შიდა მონაცემების გამოყენებით; • CICR რისკი, რაც არის უცხოური ვალუტაში არსებული რისკის პოზიცია 75%-იანი შეწონვით; • ხდება ვადიანობის მიხედვით კორექტირება; • ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა სექტორული და სახელობითი კონცენტრაციის მიხედვით;
სახელმწიფო, ცენტრალური ბანკები და კომერციული ბანკები	• დეფოლტის ალბათობა ფასდება S&P Ratings -ის რეიტინგების მიხედვით, შესაბამისი დეფოლტის ალბათობა კი - S&P Ratings -ის კვლევის მიხედვით; ზარალი დეფოლტის შემთხვევაში შეადგენს 45%; • ხდება ვადიანობის მიხედვით კორექტირება;

საკრედიტო ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა სხვა პოზიციებისთვის, მათ შორის ძირითადი საშუალებების, მატერიალური აქტივების, საცალო და კორპორაციული რისკების, სხვა საბალანსო რისკების და ბალანსგარეშე ელემენტების ჩათვლით, გამოითვლება სტანდარტული მიდგომის გამოყენებით პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად და 8% კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის გამოყენებით.

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საბაზრო რისკისთვის

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საბაზრო რისკისთვის მოიცავს სავალუტო რისკთან და საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ბანკი სავალუტო რისკის გამოსათვლელად იყენებს წლის განმავლობაში მაქსიმალურ საერთო ღია სავალუტო პოზიციას რომელიც მრავლდება კაპიტალის მოთხოვნაზე - 8%-ზე. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებით გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის 200 საბაზისო პუნქტის ცვლილებით გამოწვეული სენსიტივობის საფუძველზე.

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის გამოითვლება საბაზო ინდიკატორის მიდგომის გამოყენებით პილარ 1-ის რეგულაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ბანკი განსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნების დამატებით ბუფერებს ახალი პროცედურების დოკუმენტირებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებებიდან გამომდინარე.

7.5.2 ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნები

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნის მიხედვით მთლიანი (არა-საზედამხედველო) რისკის პოზიციის განსასაზღვრად, ბანკი უბრალო დამატების გზით აერთიანებს ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნას რისკის ტიპების მიხედვით. არ არის გათვალისწინებული დივერსიფიკაციის სარგებელი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის კონსერვატიულ მიდგომას ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნასთან შეფასებასთან დაკავშირებით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბანკის ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნები რისკის ტიპების მიხედვით.

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა რისკის ტიპების მიხედვით

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
საკრედიტო რისკი	161.1	129.5	24%
საბაზრო რისკი	5.1	6.0	-15%
საოპერაციო რისკი	50.6	28.1	80%
ეკონომიკური კაპიტალის მთლიანი მოთხოვნა	216.7	163.6	32%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური კაპიტალის მთლიანი მოთხოვნა ბანკისთვის შეადგენდა 216.7 მილიონ ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემული მაჩვენებელი შეადგენდა 163.6 მილიონ ლარს. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საკრედიტო რისკისთვის გაიზარდა 31.6 მილიონი ლარით, რაც ძირითადად განაპირობა კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ზრდამ. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საბაზრო რისკისთვის შემცირდა 15%-ით წინა წელთან შედარებით, რაც ასახავს უფრო მაღალ ეკონომიკურ კაპიტალს საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის გაიზარდა 22.4 მილიონი ლარით, რაც ძირითადად განპირობებული იყო ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მიხედვით სამი წლის საშუალო მოგების ზრდით და დამატებითი ბუფერებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა შეადგენდა 54.3 მილიონი ლარით მეტს სეზ-ის რეგულაციით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნასთან შედარებით (RWE-ს 17.7%). ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვაობები რისკის ტიპების მიხედვით ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნასა და სეზ-ის რეგულაციით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნას შორის.

სხვაობა ECR და კაპიტალის მოთხოვნას შორის, სეზ-ის რეგულაციის შესაბამისად

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017		
	ECR	(17.70%-ზე)	სხვაობა	ECR	(10.56%-ზე)	სხვაობა
საკრედიტო რისკი	161.1	202.2	-41.1	129.5	105.6	24.0
საბაზრო რისკი	5.1	0.1	5.0	6.0	0.5	5.5
საოპერაციო რისკი	50.6	68.8	-18.3	28.1	37.1	-9.0
სულ	216.7	271.1	-54.3	163.6	143.1	20.5

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საკრედიტო რისკისთვის შეადგენდა 161.1 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის რეგულაციის

მიხედვით იყო 41.1 მილიონი ლარით მეტი და შეადგენდა 202.2 მილიონ ლარს. კაპიტალის მაღალი მოთხოვნა სეზონის რეგულაციით საკრედიტო და საოპერაციო რისკისთვის ძირითადად განპირობებულია მაღალი მოთხოვნებით. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საბაზრო რისკისთვის შეადგენდა 5.1 მილიონ ლარს, ხოლო პილარ 1-ის რეგულაციით გათვალისწინებული კაპიტალის მოთხოვნა შეადგენდა 0.1 მილიონ ლარს. სხვაობა უკავშირდება 2.3 მილიონი ლარის კაპიტალის მოთხოვნას საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის, რომელიც არ არის შეტანილი პილარ 1-ის კაპიტალის მოთხოვნებში და სავალუტო რისკისთვის ეკონომიკური კაპიტალის უფრო მაღალ მოთხოვნას. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის შეადგენდა 50.6 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის რეგულაციის მიხედვით შეადგენდა 68.8 მილიონ ლარს.

7.5.3 შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება

ბანკმა შეაფასა შიდა კაპიტალის ადეკვატურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობა

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
კაპიტალის მარაგი			
სააქციო კაპიტალი	277.5	226.2	23%
გადაფასების რეზერვი აქტივებზე	(28.5)	(29.0)	-2%
მეორადი კაპიტალი ¹	53.8	61.1	-12%
კაპიტალის მარაგი	302.8	258.4	17%
კაპიტალის მოთხოვნა			
ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა	216.7	163.6	32%
არამატერიალური აქტივები	31.2	26.3	18%
კაპიტალის მოთხოვნა	247.9	190.0	30%
შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	122.1%	136.0%	

(1) მეორადი კაპიტალი მოიცავს მისაღებ სუბორდინირებულ ვალდებულებას 41.7 მილიონი ლარის და 51.4 მილიონი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მთლიანი მისაღები რეზერვების ნამატს მთლიანი მოსალოდნელი ზარალის თანხაზე, რომელიც შემოიფარგლება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0.6%-ით, 12.8 მილიონი ლარის და 9.7 მილიონი ლარის ოდენობით შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც აღემატება 100%-ს, მიუთითებს, რომ ბანკის კაპიტალი საკმარისი იქნება ნებისმიერი მოულოდნელი ზარალის დასაფარად, 99.9%-იანი სანდოობის დონით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 122.1%-ს და შიდა კაპიტალის ბუფერი შეადგენდა 54.9 მილიონ ლარს.

7.6 ლევერიჯის კოეფიციენტი

2018 წლის სექტემბერში სებ-მა წარადგინა ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც ეფუძნება BIS ბაზელ 3-ის ჩარჩოს. ლევერიჯის კოეფიციენტი მნიშვნელოვანი და შემავსებელია რისკებზე დაფუძნებული კაპიტალის ჩარჩოსთვის. ლევერიჯის კოეფიციენტი გამოითვლება პირველადი კაპიტალის შეფარდებით რისკის პოზიციებთან.

კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ დაიცვან სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 5%-ს.

ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი ბანკისთვის შეადგენდა 11.5%-ს და 9.3%-ს შესაბამისად 2018 წლის დეკემბერსა და 2017 წლის დეკემბერში.

სები-ს სტანდარტების მიხედვით ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლის დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ლევერიჯის კოეფიციენტი

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
საბალანსო ელემენტების რისკის პოზიციები	1,834.4	1,799.8	2%
საბალანსო ელემენტები	1,865.9	1,826.4	2%
(დაქვითული ელემენტები)	-31.5	-26.6	18%
გარესაბალანსო პოზიციები	22.4	12.1	86%
გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	83.4	33.2	152%
(გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი)	-61.0	-21.1	189%
წარმოებული ინსტრუმენტების რისკის პოზიციები	11.1	9.2	20%
სულ ლევერიჯის კოეფიციენტის პოზიციები	1,867.9	1,821.1	3%
პირველადი კაპიტალი	215.2	168.6	28%
ლევერიჯის კოეფიციენტი	11.52%	9.26%	

გარესაბალანსო პოზიციების ძირითადი ცვლილებები გამოიწვია გარანტიების პოზიციების 7.5 მილიონი ლარით გაზრდამ და აუთვისებელი სესხების 43 მილიონი ლარით ზრდამ.

8 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს. საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი - დეფოლტის რისკი წარმოადგენს კონტრაგენტი მხარეების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგის რისკს. ბანკი ქვეყნის რისკს გამოყოფს, როგორც საკრედიტო რისკის ცალკე სახეობას. ბანკთან მიმართებაში, ქვეყანასთან დაკავშირებული რისკი წარმოადგენს საქართველოს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან საკრედიტო ხარისხის მოულოდნელი გაუარესების შედეგად წარმოშობილ რისკს, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან ქვეყანაში მიმდინარე სხვა არახელსაყრელი მოვლენებით. საკრედიტო რისკის უფრო დეტალურად განსაზღვრა შესაძლებელია კონცენტრაციის რისკით, რომელიც წარმოიშობა ერთი ან მეტი კონტრაგენტისთვის სარისკო საბანკო ოპერაციის შედეგად.

8.1 საკრედიტო რისკის პოზიცია

ბანკს შემუშავებული აქვს პოლიტიკა, სადაც საკრედიტო რისკის პოზიციები განსაზღვრული და კლასიფიცირებულია თანმიმდევრულად და შესაბამისად. საკრედიტო რისკის პოზიციის იდენტიფიკაციასთან და რისკის მიტიგაციის ელემენტების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაკვირვება ხორციელდება რეგულარულად. აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს და ექვემდებარება რეგულარულად გადახედვას და მონიტორინგს.

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,862.9 მილიონ ლარს, წინა წელთან შედარებით 2%-იანი ზრდით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი საკრედიტო რისკის პოზიციები პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად.

საკრედიტო რისკის პოზიცია პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	367,187	352,046	4%
კომერციული ბანკები	107,481	230,896	-53%
კორპორატიული კლიენტები	286,592	59,347	383%
სადალო	575,789	759,108	-24%
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	35,217	8,774	301%
ვადაგადაცილებული სესხები	3,764	2,970	27%
მაღალი რისკის კატეგორია	109,879	90,502	21%
სხვა აქტივები	348,512	296,172	18%
საბალანსო ელემენტები	1,834,420	1,799,815	2%
გარესაბალანსო ელემენტები	17,477	10,908	60%
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	11,076	9,199	20%
საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა	1,862,973	1,819,921	2%

ფინანსური ანგარიშების აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ ბალანსის მუხლებს შორის კავშირი იხილეთ დანართის მე-5 ცხრილში. სავალდებულო ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული თითოეული სტანდარტიზირებული საბალანსო უწყისის აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულ რისკის მოცულობებს შორის სხვაობა იხილეთ დანართის მე-6 ცხრილში.

8.2 საკრედიტო რისკების მართვა

ბანკში საკრედიტო რისკების მართვას ხელმძღვანელობს რისკების დირექტორი (გენერალური დირექტორის მოადგილე), დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობით.

საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად მოწმდება კონტრაგენტის სხვადასხვა ტიპები და განისაზღვრება კონტრაგენტის დარჩენილი რისკი პორტფელის თითოეულ შემთხვევაში ან თითოეულ სეგმენტთან მიმართებაში. რისკის მოხდენის გავლენისა და ალბათობის თვალსაზრისით, მუდმივად ხორციელდება რისკ ფაქტორებისა და შედეგების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის, ექსპერტის დასკვნის და შიდა საკრედიტო რეიტინგის შეფასების საფუძველზე.

8.2.1 გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

ბანკში დანერგილია სისტემები და პროცედურები, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

- რისკის დონე კორპორატიული კლიენტების შემთხვევაში
- რისკის დონე ფიზიკური პირების შემთხვევაში
- ფიზიკურ პირებზე გაცემული ავტომატიზირებული სესხის რისკის დონე

კონტრაგენტის შეფასება და კრედიტის დამტკიცების პროცედურები (ეტაპები) ითვალისწინებს შემდეგს:

კორპორატიული კლიენტები	საგალო კლიენტები	საგალო კლიენტებზე გაცემული ავტომატიზირებული კრედიტები
• კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადის მიღების პროცესი და კომპლექსური ანალიზი - ხორციელდება კორპორატიული ბანკირების / უფროსი საკრედიტო ექსპერტების მიერ; • კლიენტის ბიზნეს ოპერაციების სპეციფიკაციები/მართვის შეფასება - ხორციელდება კორპორატიული ბანკირების / უფროსი საკრედიტო ექსპერტების მიერ; • კლიენტის სამართლებრივი კომპლექსური ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში) - ხორციელდება ბანკის იურიდიული განყოფილების მიერ; • უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი - ხორციელდება ბანკის უზრუნველყოფის შეფასების ერთეულის მიერ (ფრონტ ოფისისგან დამოუკიდებლად); • კლიენტის რისკის შეფასება და ანალიზი (ანგარიშის საფუძველზე, კლიენტის ფულადი საშუალებების თავისუფალი ნაკადის ადეკვატურობა მოთხოვნილი სესხის მომსახურებისთვის) - ხორციელდება ბანკის საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ.	• განაცხადის მიღების პროცესი და კლიენტისგან პირდაპირი, პირველწყაროდან მიღებული დოკუმენტაციის შეგროვება (შემოსავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვალდებულებები, შემოსული თანხები და ოჯახის ხარჯები, სხვა საჭირო ინფორმაცია) - ხორციელდება ბანკის საკრედიტო ექსპერტების მიერ მომსახურების ცენტრებსა და ფილიალებში; • უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი - ხორციელდება ბანკის უზრუნველყოფის შეფასების ერთეულის მიერ (ფრონტ ოფისისგან დამოუკიდებლად); • კლიენტის საკრედიტო რეიტინგის გადახედვა და დადგენა - ხორციელდება საკრედიტო რისკებთან დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ.	• განაცხადის მიღების პროცესი და კლიენტის პირადი ინფორმაციის მოგროვება - ხორციელდება პირველი ხაზის თანამშრომლების (ოპერატორები / გაყიდვების აგენტები) მიერ; • შეფასება ხორციელდება ავტომატური დამუშავების (დამტკიცება და უარყოფა) სისტემის მეშვეობით, რომელიც ონლაინ ანალიზებს კლიენტის მიერ წარმოდგენილ შემოსავალს და ვალდებულებებს, ამოწმებს კლიენტზე კრედიტის გაცემის შესაძლებლობას (მათ შორის საკრედიტო რეიტინგს) და ამ მონაცემების საფუძველზე ამტკიცებს ან აუარებს განაცხადს - მეთოდოლოგია და საკრედიტო რეიტინგები გადაიხედება და მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ.

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ლიმიტები და უფლებამოსილებები გაყოფილია სხვადასხვა დონის საკრედიტო კომიტეტებს შორის. საკრედიტო კომიტეტების სტრუქტურა და მოდელი მიღებული და დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ. ბანკი იყენებს ცენტრალიზებული მიდგომის მოდელს, რა შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კონცენტრირებულია სათაო ოფისზე.

ბანკში ფუნქციონირებს შემდეგი დონის საკრედიტო კომიტეტები:

ადგილობრივი საკრედიტო კომიტეტი - მართავს საკრედიტო ერთეულის მენეჯერის / ფილიალის მენეჯერი;

რეგიონალური საკრედიტო კომიტეტი - მართავს რეგიონალური დირექტორი;

მცირე საკრედიტო კომიტეტი - მართავს რისკების დირექტორი;

საკრედიტო რისკის კომიტეტი - მართავს გენერალური დირექტორი;

ადგილობრივი, რეგიონალური და მცირე საკრედიტო კომიტეტის ცალკეული მსესხებლის/მსესხებელთა ჯგუფის დადასტურების ლიმიტები განისაზღვრება საკრედიტო რისკის კომიტეტის მიერ. საკრედიტო რისკის კომიტეტის ლიმიტი წესდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ადგილობრივ და რეგიონალურ საკრედიტო კომიტეტებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის მოთხოვნა ჯდება ვალის მომსახურების/

ლევერიჯის პარამეტრების მინიმალურ მოთხოვნებში, რომელიც პროდუქტის მიხედვით იცვლება. თუ განაცხადი ვერ აკმაყოფილებს ამ პარამეტრებს, იგი უარყოფილია, ან დასამტკიცებლად იგზავნება მცირე საკრედიტო კომიტეტთან;

მცირე საკრედიტო კომიტეტისა და საკრედიტო რისკის კომიტეტისთვის წარდგენილი სესხის ყველა მოთხოვნას ანალიზებს საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი და მხოლოდ წინასწარი დასტურის შემთხვევაში წარუდგება კომიტეტს.

8.2.2 მონიტორინგი, პორტფელის მართვა და ანგარიშგება

დირექტორთა საბჭო აფასებს და ზედამხედველობას უწევს საკრედიტო პორტფელის მართვას. საკრედიტო რისკების ჯგუფი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის გადანაწილებისა და დაჯგუფების, ასევე რისკის ხარჯის ანალიზს, ტენდენციის გაანგარიშებას და ანგარიშგებას. პორტფელის ხარისხის ადმინისტრაციისა და ანგარიშგების დეპარტამენტი აერთიანებს მონაცემებს და რეპორტის სახით წარუდგენს შემდეგ მიმღებებს:

- ფილიალის/სტრუქტურული ერთეულის დონეზე - საოპერაციო რეპორტები, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიური სარისკო პორტფელის (Portfolio at Risk - "PAR") და საკრედიტო ზარალის დასაფარად განკუთვნილი რეზერვის (Loan Loss Provision - "LLP") გადახედვის და მართვის მიზნით;
- საშუალო დონის მენეჯმენტი / პროდუქტის მფლობელები - სხვადასხვა რეპორტები პროდუქტის და მისი ხარისხის (PAR, LLP, ცვლილებები შემადგენლობასა და კონცენტრაციებში) შესახებ;
- უმაღლესი მენეჯმენტი - რეპორტები ბიზნეს ხაზის / რეგიონალურ დონეზე პორტფელის უფრო კონსოლიდირებული ჯგუფებისთვის.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საფუძველზეც არსებობს პორტფელის მართვის და მონიტორინგის სამი დამოუკიდებელი დონე:

- ბიზნეს ხაზები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტული პროდუქტის კომერციული საქმიანობების შესახებ ყოველდღიურ/ყოველთვიურ ანგარიშებზე, რომლებიც ასევე ასახავს პორტფელის საერთო სტატისტიკას და ხარისხს (PAR და LLP);
- საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი, კომერციული საქმიანობის მფლობელისგან დამოუკიდებლად, პასუხისმგებელია პორტფელის ხარისხის ყოველთვიურ მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. ანგარიშები ასახავს PD-ს, LGD-ს, DPD-ს, PAR-ს და LLP-ს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებთან მიმართებაში. საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი ვალდებულია დირექტორთა საბჭოს შეატყობინოს ისეთი გარემოების შესახებ, თუ პორტფელის პარამეტრებში აღინიშნება პროგნოზირებული დონეებიდან გადაცდომის შემთხვევები;
- ბანკში მოქმედებს ანგარიშგების და პორტფელის გადახედვის სისტემა ფინანსური დეპარტამენტის დონეზე, რომელიც ბიუჯეტირების და დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია საკრედიტო პორტფელის გადანაწილებასა და ანალიზზე.

8.2.3 საკრედიტო რისკის შეფასება

საკრედიტო რისკების შეფასება და გაზომვა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ქვემოთ მოცემული ფაქტორები იცვლება მსესხებლის სხვადასხვა ტიპის მიხედვით:

- კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროები;
- საკრედიტო რისკების დონეები.

როგორც უკვე აღინიშნა, ბანკმა მიიღო საკრედიტო პორტფელის სეგმენტაციის სტანდარტები კონკრეტული რისკის საფუძველზე ბანკის ყველა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად.

ბანკმა გამოყო და განსაზღვრა შემდეგი საერთო სეგმენტები:

- სუვერენული სახელმწიფოები/ცენტრალური მთავრობები;
- ბანკები/დაწესებულებები;
- კორპორატიული კლიენტები;
- საცალო კლიენტები, მათ შორის მასობრივი ბაზრის საცალო კრედიტები;
- კერძო საბანკო მომსახურების კლიენტები.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საშუალებითაც საკრედიტო რისკის შეფასება ხდება კრედიტის გაცემის დროს. შესაბამისად, ნებისმიერი კრედიტის დარეზერვება ხდება ინდივიდუალურად გაცემის მომენტში. ბანკი კლიენტის დონეს განიხილავს რეზერვის კატეგორიის ექვივალენტურად.

რისკი განიხილება, როგორც დეფოლტის ალბათობა დაფარვის მოლოდინის გარეშე კონკრეტულ პროდუქტებთან და კლიენტის ჯგუფებთან დაკავშირებით. როგორც წესი, სტატისტიკური მონაცემების გადახედვა და მოსალოდნელი დანაკარგების კორექტირება (შესაბამისად კორექტირებები შედის საკრედიტო რეიტინგებშიც) ხდება ყოველკვარტალურად. საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია დააკვირდეს ზარალის შემთხვევებს, მათ სტატისტიკას და შეამოწმოს საკრედიტო რეიტინგები და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტები.

8.2.4 გაუფასურება

რეგულირების მიზნით, ბანკი ახორციელებს თავისი საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას 2017 წლის 10 აგვისტოს დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად. შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, ბანკი შესაძლო დანაკარგების რეზერვების გაანგარიშებას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების უახლესი საერთაშორისო სტანდარტების სტანდარტების შესაბამისად.

გაუფასურების მეთოდოლოგია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის საფუძველზე

2017 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა განახლებული რეგულაცია "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვების გამოყენების შესახებ" იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომერციულ ბანკებს ჰქონდეთ საკუთარი აქტივების კლასიფიკაციისა და ზარალის დასაფარად რეზერვების გამოყოფის ადეკვატური შიდა პროცედურები და ანგარიშგების სტანდარტები. მეთოდოლოგიაში მთელი რიგი ცვლილებების გათვალისწინებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო "სესხის მომსახურების" (Payment-To- Income - PTI) და

"სესხის უზრუნველყოფის" (Loan-To-Value - LTV) კოეფიციენტები. აღნიშნული კოეფიციენტების დარღვევა განაპირობებს რისკის უფრო მაღალ შეწონილ კოეფიციენტს რეალური ზეგავლენის საფუძველზე და რისკის მიხედვით შეწონილ გაზრდილ რისკს. რისკის მიხედვით შეწონილი მაღალი რისკი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი კლასიფიცირებულია სტანდარტულ კატეგორიაში და შემოსავლის ძირითად წყაროს არ წარმოადგენს ბიზნეს საქმიანობები. ბიზნეს სესხებთან (კორპორატიულ, მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესზე გაცემული სესხები) დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა გონივრული რენტაბელობის, შესრულების ეფექტიანობის და რისკების შეფასების კოეფიციენტები, კერძოდ: ვალი/ EBITDA, EBITDA/საპროცენტო ხარჯები, EBIT/საპროცენტო ხარჯები და კაპიტალი/აქტივები. ახალი რეგულაციით დადგენილი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ბანკმა წარმატებით შეიმუშავა და დანერგა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, რომელიც სრულად შეესაბამება საზედამხედველო მოთხოვნებს და ადეკვატურად წარმოადგენს ბანკის ფინანსურ პოზიციას.

ამავდროულად, ბანკი ახდენს გაუფასურების არსებული მეთოდოლოგიის ოპტიმიზაციას, რომლის მიზანია საკუთარი აქტივების ხარისხის შესახებ ზუსტი, სრული და განახლებული ინფორმაციის აღრიცხვა. საკრედიტო რისკების მართვის არსებული მექანიზმი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების კლასიფიკაციას, რომელიც მოიცავს ხუთ კატეგორიას LLP-ს შესაბამის განაკვეთთან ერთად:

- სტანდარტული – 2%;
- საყურადღებო – 10%;
- არასტანდარტული – 30%;
- საეჭვო – 50%;
- უიმედო – 100%.

შესაფასებლად, სადაც DPD/PAR წარმოადგენს კლასიფიკაციის მთავარ ფაქტორს. გარდა ამისა, ბანკმა შეიმუშავა და გააუმჯობესა საკრედიტო რისკების მონიტორინგი მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის მუდმივი გადაფასების, საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პოტენციური საკრედიტო გაუფასურების ადრეულ გამოვლენას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გაუფასურების მეთოდოლოგია

სესხების გაუფასურებასთან დაკავშირებით ძირითადი საკითხებია არის თუ არა სესხის ძირითადი თანხა ან პროცენტი ვადაგადაცილებული ან კონტრაგენტების ფულადი საშუალებების ნაკადებში არსებობს თუ არა რაიმე სახის გამოვლენილი სირთულე ან აღინიშნება თუ არა კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა. ბანკი გაუფასურების შეფასებას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მე-9 მიდგომის მიხედვით. მე-9 მიდგომა ბანკს ავალდებულებს ჩაიწეროს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (expected credit losses - "ECL") დარიცხვა სავალო ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ხარჯზე ან სამართლიან ღირებულებაზე სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში, აგრეთვე სესხის ვალდებულებებზე და ფინანსურ გარანტიებზე. ბანკი გაუფასურების შეფასებას ახორციელებს ორი მიმართულებით: ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციები და კოლექტიურად შეფასებული დარიცხვები.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციები


ბანკი თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის შესაბამის დარიცხვას განსაზღვრავს ინდივიდუალურად. ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციის მინიმალური ლიმიტი არის 300 ათასი ლარი. ამასთანავე, განსაზღვრული რისკის ნებისმიერი ინდივიდუალური პოზიცია ეფუძნება ბანკის მენეჯმენტის

განხილვას, ვარაუდს და შეფასებას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მე-9 მიდგომისთვის და საკრედიტო რისკის მართვისთვის ბანკი იყენებს S&P გლობალური ბაზრის ინფორმაციას ყველა ინდივიდუალური პოზიციისა და მსესხებელი ჯგუფისთვის. ეს მოიცავს შემდეგ მოდელებს: დეფოლტის ალბათობის შეფასების სტატისტიკას (PD), დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების სტატისტიკას (LGD) და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე დაფუძნებული დეფოლტის ალბათობის კონვერტორს (Credit Cycle projection overlay).

დეფოლტის ალბათობის შეფასების სტატისტიკა წარმოადგენს არაფინანსური კორპორატიული გამსესხებლებისთვის ცალკე მდგომი საკრედიტო პროფილისა და საბოლოო რეიტინგის განსაზღვრის სტრატეგიას. ეს შეფასება ასახავს კომპანიების ბიზნეს რისკის პროფილს, ფინანსური რისკის პროფილს და სხვა ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ცალკე მდგომი საკრედიტო პროფილის შედეგზე.

ორგანიზაციის ბიზნეს რისკის (BR) პროფილი შედგება კომპანიისთვის რისკისა და პოტენციური შემოსავლისგან იმ ბაზრებზე, სადაც იგი მონაწილეობს; ამ ბაზრებში კონკურენტუნარიანობის კლიმატისგან; ამ ბაზრებზე ქვეყანასთან დაკავშირებული რისკისგან; და ამ ბაზრებთან მიმართებაში კომპანიის შედარებითი უპირატესობებისა და სისუსტეებისგან. შეფასების სტატისტიკა მოიცავს ინდუსტრიისა და ქვეყნის რისკის (ერთად მოიხსენიება, როგორც „კორპორატიული ინდუსტრიისა და ქვეყნის რისკი“) შეწონილ ქულებს, „კონკურენტუნარიან პოზიციასთან“ ერთად ორგანიზაციის ბიზნეს რისკის დასადგენად.

ფინანსური რისკის (FR) პროფილი წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგს ბიზნეს რისკის პროფილის და ფინანსური რისკის ტოლერანტობის კონტექსტში, რომლებიც ასახავს მენეჯმენტის მიერ დაფინანსების მოპოვების გზებს და ფულადი სახსრების დინების დამოკიდებულებებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე. ფინანსური რისკის ქულა მოიცავს რისკის მხოლოდ ერთ განზომილებას („ფულადი სახსრების დინება/ლევერეჯი“), რომელიც კვლავ იყოფა რისკის ფაქტორებად და, როგორც წესი, შეიწონება სტატისტიკურად.



დეფოლტის შემთხვევაში ზარალის კომპონენტების დასათვლელად ბანკი იყენებს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების სტატისტიკას ზოგად ეკონომიკური მდგომარეობაზე დაფუძნებით. განიხილება სამი სცენარი - პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური. დეფოლტის შემთხვევაში საბოლოო ზარალი გამოთვლება ამ 3 სცენარის საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილით.

მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე დაფუძნებული დეფოლტის ალბათობის კონვერტორი (Credit Cycle projection overlay) მაკროეკონომიკური ცვლადების გამოყენებით

დეფოლტის ალბათობის საშუალო განაკვეთებს გარდაქმნის დეფოლტის მოსალოდნელ ალბათობად. დეფოლტის მოსალოდნელი ალბათობის გამოსათვლელად ბანკი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული მაკროეკონომიკური პროგნოზის სცენარებს. პროგნოზი მოიცავს სამ წელს და სცენარები ახლდება წელიწადში ორჯერ. ეს სცენარები აღწერს ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სიტუაციებს და მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადს. თუმცა, კრედიტის დაკარგვის შეფასების მოდელში არ არის აუცილებელი ყველა ცვლადის გათვალისწინება.

საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად (ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის პოზიციებზე) საბაზისო სცენარს უნდა მიენიჭოს 50%-იანი ალბათობა, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს - 25%-25%-იანი ალბათობა.

საკრედიტო რისკის ადეკვატურად შესაფასებლად ლიბერთი ბანკი პროცესული სექტორებისთვის ECL-ის კალკულაციაში იყენებს კონტრციკლურ ბუფერს. ამ მიზნებისთვის, ბანკი იყენებს დინამიური დარეზერვების ესპანურ პრინციპებს, რომლის მიხედვით სესხების რისკის გაზომვა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ფაქტიური სესხების დანაკარგების მიხედვით, არამედ გამოჩენილი იქნას წინდახედულობა, რადგანაც „ცუდი სესხები“ სწორედ „კარგ დროს“ გაიცემა. შედეგად, სესხების შესაძლო დანაკარგების დონე ნაკლებად ცვალებადი ხდება დროის განმავლობაში.

ლიბერთი ბანკის ბიზნეს დაკრედიტების სტრატეგიის შესაბამისად პროცესული სექტორებს ბანკი მიაკუთვნებს შემდეგ ეკონომიკის სექტორებს:

1. დეველოპმენტი
2. უძრავი ქონების მართვა
3. სამშენებლო (არადეველოპმენტი) კომპანიები
4. სამშენებლო მასალების წარმოება და ვაჭრობა
5. გამძლე საქონლის წარმოება და ვაჭრობა

ამ 5 სექტორისთვის ბანკმა დამატებით შექმნა 2%-იანი მოულოდნელი ზარალის კონტრციკლური ბუფერი, რომელიც რისკის მიტიგაციის ძლიერი ფაქტორია.

კოლექტიურად შეფასებული დარიცხვები

დარიცხვების შეფასება ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო დღეს. გაანგარიშებები ხორციელდება ერთგვაროვანი პროდუქტებით, რაც ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკური მონაცემების და პარამეტრების შეგროვება და გაანგარიშება ხდება თითოეული პროდუქტისთვის ინდივიდუალურად. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნით, ბანკი იყენებს გაკოტრების ზღვრულ განაკვეთს (Marginal Mortality Rate - “MMR”) იმისთვის, რომ განსაზღვროს დეფოლტის ალბათობა სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებით, მათი ხანდაზმულობის ვადის (კრედიტის გაცემიდან ანგარიშგების დღემდე თვეების რაოდენობა: არაუმეტეს ისტორიული 36 თვე) მიხედვით. უმოქმედო კრედიტების (რომელიც განსაზღვრულია, როგორც $DPD > 90$) ამოღების კოეფიციენტი (Recovery Rate - “RR”) ითვალისწინებს დეფოლტის თარიღიდან, ერთობლივად, ანგარიშგების თარიღამდე გადახდილ ნაღდ თანხას. გადახდილი თანხები დისკონტირებულია პროდუქტის საშუალო მოქმედი შეწონილი საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალი უდრის $1 - DRR$. ანალიზის პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი კრედიტები მიჩნეულია უმოქმედო კრედიტებად და გათვალისწინებულია დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის განსაზღვრაში. ანგარიშგების დღეს საკრედიტო პორტფელი კლასიფიცირებულია სამ კატეგორიად: სტანდარტული პორტფელი, რომელიც ექვემდებარება დეფოლტის ალბათობას მომდევნო 12 თვეში;

არასტანდარტული პორტფელი, რომელიც ექვემდებარება დეფოლტის ალბათობას მთლიანი ვადის განმავლობაში და უმოქმედო პორტფელი.

- სტანდარტული პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის 12 თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას 12 თვის ვადაში;
- არასტანდარტული პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალიდის მთლიანი ვადის განმავლობაში ;
- უმოქმედო პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას მხოლოდ დეფოლტის შემთხვევაში ზარალთან დაკავშირებით.

8.2.5 საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს თანახმად, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ საკრედიტო რეიტინგის მომსახურება საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტებისგან (External Credit Assessment Institutions - "ECAIs"), რათა განსაზღვრონ რისკის წონა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია შესაბამისი ECAI-ების ჩამონათვალი, რომლებიც პასუხობენ ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, უწყვეტი განხილვისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, რაც, შესაბამისად, საშუალებას იძლევა, კრედიტუნარიანობის კუთხით მიღებული შეფასებები აკმაყოფილებდნენ სანდოობის და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ბანკს შეუძლია დაასახელოს ერთი ან მეტი შესაბამისი ECAI, რომელიც გამოიყენება აქტივებისა და გარესაბალანსო პუნქტებისთვის რისკის წონითი კოეფიციენტის დასადგენად. თუ გამოვლინებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ECAI-ს საკრედიტო შეფასება, მაშინ მისი რისკის წონა განისაზღვრება "კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულებების" შესაბამისად და გამოიყენება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნით.

გარე საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით ბანკს შერჩეული აქვს Fitch Ratings-ისა, Standard & Poor's Rating-ისა და Moody's Rating-ის სერვისები. ეს რეიტინგები გამოიყენება საკრედიტო ხარისხის ეკვივალენტური საფეხურების განსაზღვრისა და იმ სათანადო რისკ-წონის მინიჭებისას, რომელიც შეესაბამება სეზ-ის საკრედიტო ხარისხის შეფასების შკალას. ბანკი უწყვეტ რეჟიმში იყენებს შესაბამისი ECAI-ს მიერ მომზადებულ საკრედიტო შეფასებებს გარკვეული კლასის საქონლისთვის და აქედან გამომდინარე – ამ კლასს მიკუთვნებული ყველა რისკისთვის.

ბანკი იყენებს საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების ინფორმაციას კომერციული და ცენტრალური ბანკების პოზიციების შესაწონად.

ადგილობრივ ვალუტაში გამოსახული რისკის პოზიციები საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიმართ 0% რისკის წონით ფასდება.

8.3 საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ მხოლოდ საკრედიტო რისკების სტანდარტიზირებული მიდგომა (Standardised Approach to Credit Risk - "SACR"), რომელიც ეფუძნება რისკების მიხედვით ერთიან შეწონვას ან გარე რეიტინგებს. საკრედიტო რისკების სრულად

მიტიგაციისთვის, ბანკი განიხილავს მხოლოდ დეპოზიტებს, იმის მიუხედავად, რომ საცხოვრებელი ქონების სახით წარმოდგენილი უზრუნველყოფა ამცირებს რისკის მიხედვით შეწონვას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის (“CRM”) გამოყენებამდე, საკრედიტო რისკის მიტიგაცია და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის შემდეგ.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										კრედიტის RWE CRM-მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%				
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	281,181	-	-	-	-	86,005	-	-	86,005	-	-	86,005
კომერციული ბანკები	-	101,202	-	375	-	5,905	-	-	26,332	-	-	26,332
კორპორატიული კლიენტები	-	-	-	2,425	-	284,167	-	-	285,379	17,602	17,602	267,778
საცალო კლიენტები (1)	-	-	-	-	575,789	-	-	-	431,842	2,138	2,138	429,704
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით	-	-	35,217	-	-	-	-	-	12,326	-	-	12,326
უზრუნველყოფილი ვადაგადაცილებული სესხები	-	-	-	138	-	3,390	235	-	3,812	-	-	3,812
მაღალი რისკის კატეგორია(2)	212,237	1,025	-	-	-	135,250	-	-	135,455	-	-	135,455
საბალანსო ელემენტები	493,418	102,227	35,217	2,938	575,789	530,637	92,404	1,789	1,139,799	19,740	19,740	1,120,059
გარესაბალანსო ელემენტები	-	-	-	-	12,971	4,506	-	-	14,234	3,041	3,041	11,194
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	11,076	-	-	11,076	-	-	11,076
	493,418	102,227	35,217	2,938	588,761	546,219	92,404	1,789	1,165,110	22,781	22,781	1,142,329

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%	კრედიტის RWE CRM-მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული											
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	276,549	-	-	-	-	75,497	-	-	75,497	-	75,497
კომერციული ბანკები	-	225,070	-	5,000	-	826	-	-	48,340	-	48,340
კორპორატიული კლიენტები	-	-	-	2,308	-	57,038	-	-	58,193	4,220	53,973
საცალო კლიენტები (1)	-	-	-	-	759,108	-	-	-	569,331	16,945	552,386
საცხოვრებელი ქონების	-	-	8,774	-	-	-	-	-	3,071	-	3,071
იპოთეკით უზრუნველყოფილი ვადაგადაცდილებული სესხები	-	-	-	277	-	2,121	572	-	3,118	511	2,607
მაღალი რისკის კატეგორია(2)	158,952	1,844	-	-	-	135,376	-	-	135,745	-	135,745
საბალანსო ელემენტები	435,501	226,914	8,774	7,585	759,108	273,427	86,718	1,789	1,029,553	49,409	980,144
გარესაბალანსო ელემენტები	-	-	-	-	17	10,891	-	-	10,904	529	10,374
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	9,199	-	-	9,199	-	9,199
სულ	435,501	226,914	8,774	7,585	759,125	293,516	86,718	1,789	1,049,655	49,938	999,717

(1) სემ-ის ინსტრუქციების მიხედვით, მთლიანი პოზიციები, რომლებიც აღემატება 20 ათას ლარს, უნდა ჩაიწეროს კორპორატიულ კლასში და დაუშვებელია ჩაიწეროს საცალო კლიენტების პირების კლასში.

(2) საინვესტიციო ქონება, რომელიც რისკის მიხედვით შეჭონილია 250%-ში, წარმოადგენს მაღალი რისკის კატეგორიას

საკრედიტო რისკის მიხედვით შეჭონილი რისკის პოზიციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-7 ცხრილში. საკრედიტო რისკის მიტიგაციის დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართის მე-8 ცხრილში, ხოლო საკრედიტო რისკის მიტიგაციის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-9 ცხრილში. კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართის მე-10 ცხრილში.

8.4 საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კონცენტრაციის რისკი ძირითადად წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურაში არასრულყოფილი დივერსიფიკაციის საფუძველზე. მნიშვნელოვანია შიდა მონიტორინგისა და მართვის პროცედურების დაწესება კონცენტრაციის რისკის იდენტიფიკაციისა და მიტიგაციისთვის.

ბანკი დგას ორი სახის კონცენტრაციის რისკის წინაშე.

- პირველი ტიპი, სახელობითი კონცენტრაცია, უკავშირდება პორტფელისთვის დამახასიათებელი რისკის არასრულყოფილ დივერსიფიკაციას, კონკრეტულ პირებზე ან პირთა ჯგუფზე დიდი პოზიციების ქონის გამო.
- მეორე ტიპი, სექტორული კონცენტრაცია, უკავშირდება რისკის სისტემური კომპონენტების არასრულყოფილ დივერსიფიკაციას, კერძოდ, სექტორულ ფაქტორებს, რომლებსაც უმეტესწილად იწვევს კონკრეტულ ეკონომიკური სექტორებში ჭარბი პოზიციების ქონა.

ბანკი იყენებს მრავალგვარ შიდა პროცედურას და პოლიტიკას კონცენტრაციის რისკის მართვისთვის და იცავს კონცენტრაციის რისკის საზედამხებდევლო მოთხოვნებს. რისკის დასაშვები დონის სტრუქტურის მიხედვით, ბანკი აწესებს ლიმიტებს საკრედიტო, დაფინანსებისა და საინვესტიციო ოპერაციებისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კონცენტრაციის არასასურველი რისკი.

სებ-ის მოთხოვნების მიხედვით ბანკი კონცენტრაციის რისკს ითვლის Herfindahl-Hirschman Index (“HHI”) მეთოდოლოგიით და ანგარიშგება ხდება ყოველთვიურად.

8.5 რესტრუქტურიზებული კრედიტები

ბანკმა მიიღო და დანერგა რესტრუქტურიზაციის მკაცრი პოლიტიკა. ECL-ის დათვლის მიზნებისთვის ბანკი განსაზღვრავს „რეფინანსირებულ კრედიტებს“ - კრედიტი, რომელზეც ბანკისა და მსესხებლის შეთანხმებით შეიცვალა გადახდის პირობები და ეს ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური პრობლემებით და „რესტრუქტურიზებულ კრედიტებს“ - კრედიტი, რომელზეც ბანკისა და მსესხებლის შეთანხმებით შეიცვალა გადახდის პირობები და ეს ცვლილება გამოწვეულია მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური პრობლემების გამო. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფის გარეშე საკრედიტო რისკის რესტრუქტურიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ნათლად განსაზღვრავს შემოსავლის შემოწმებულ წყაროს, რომელიც საკმარისია რესტრუქტურიზებული გრაფიკის ფარგლებში კრედიტის დასაფარად. ECL-ის კალკულაციის მიზნებისთვის რესტრუქტურიზებული სესხები ექვემდებარება მე-2 და მე-3 დონის საკრედიტო რისკის შეფასებას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია რესტრუქტურიზებული კრედიტების რაოდენობა და მთლიანი მოცულობა.

რესტრუქტურულიზებული კრედიტები

მილიონი ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	კორპორატიული ბიზნეს ხაზი		საცალო ბიზნეს ხაზი		სულ	
ანგარიშების თარიღი	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც:	1	0.1	6,337	16.7	6,338	16.8
- ვადაგადაცილების გარეშე	1	0.1	4,434	12.4	4,435	12.4
- <30 დღე ვადაგადაცილება	-	-	348	0.8	348	0.8
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	84	0.4	84	0.4
- 60-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	64	0.2	64	0.2
- 90-150 დღე ვადაგადაცილება	-	-	97	0.3	97	0.3
- >150 დღე ვადაგადაცილება	-	-	1,310	2.7	1,310	2.7
სულ NPL (90+ ვადაგადაცილებული დღეები)	-	-	1,407	3.0	1,407	3.0
პრობლემური კრედიტების (NPL) კოეფიციენტი:	0%	0%	22%	18%	22%	18%
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც:	1	0.1	4,574	14.1	4,575	14.1
- ვადაგადაცილების გარეშე	-	-	3,408	9.7	3,408	9.7
- <30 დღე ვადაგადაცილება	-	-	376	1.0	376	1.0
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	86	0.3	86	0.3
- 60-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	64	0.4	64	0.4
- 90-150 დღე ვადაგადაცილება	1	0.1	126	0.5	127	0.6
- >150 დღე ვადაგადაცილება	-	-	514	2.2	514	2.2
სულ NPL (90+ ვადაგადაცილებული დღეები)	1	0.1	640	2.7	641	2.8
პრობლემური კრედიტების (NPL) კოეფიციენტი:	100%	100%	14%	19%	14%	20%

8.6 საკრედიტო რისკის ჰეჯირება და მიტიგაცია

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის მიტიგაციის სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მოვალის გადახდის უუნარობის რისკისგან ნაწილობრივ ან სრულად დაცვას. ორი ძირითადი კატეგორია არის პირადი გარანტიები და უზრუნველყოფა. პირადი გარანტიები წარმოადგენს მესამე მხარის მიერ გაკეთებულ ვალდებულებებს პირველი რიგის მოვალის შეცვლასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კრედიტის დამტკიცების პროცესის განმავლობაში, ფასდება გარანტიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. ბანკის უზრუნველყოფა პირველ რიგში მოიცავს შემდეგს:

- საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება
- ოქრო და სხვა ძვირფასი მეტალები
- სატრანსპორტო საშუალებები
- ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები (დეპოზიტები, CDs)

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება რისკის ფაქტორები, რომელიც ასახავს მის ხარისხსა და ლიკვიდობას. უზრუნველყოფის საგნის შეფასების პროცესი მიმდინარეობს საკრედიტო განაცხადის წარდგენისა და ასევე მისი ფინანსური მონიტორინგის პროცესისგან დამოუკიდებლად. საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია გარანტიის და უზრუნველყოფის შეფასების საოპერაციო ინსტრუქციის დამტკიცებაზე კრედიტის გაცემის ეტაპის განმავლობაში ან საკრედიტო განაცხადის განახლების შემდეგ.

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ინსტრუმენტებს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესამცირებლად. საკრედიტო რისკების მიტიგაცია შესაბამისობაშია ბანკის მიერ მიღებულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ საკრედიტო რისკების მიტიგაციის პოლიტიკასთან.

9 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ან კურსის, მათ შორის არახელსაყრელი საპროცენტო განაკვეთების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი. საბაზრო რისკი წარმოიშობა ძირითადად სავაჭრო საქმიანობებიდან. ამ რისკებს მართავს სახაზინო და ანგარიშსწორების დეპარტამენტი და შედეგების ანგარიშგება ხდება დირექტორთა საბჭოსთან.

9.1 სავალუტო რისკი

9.1.1 სავალუტო პოლიტიკა და ლიმიტები

სავალუტო პოლიტიკის მიზანია სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით პარამეტრების განსაზღვრა. სავალუტო კურსის რისკის მართვის პროცესი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებას სავალუტო რისკის დადგენისა და რაოდენობრივი გაზომვის მიზნით;
- ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს;
- სავალუტო რისკების მინიმუმამდე დაყვანას დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის გზით;
- გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების გამოვლენას, რასაც მოსდევს მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების ანალიზი;
- სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიის შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფას;
- სავალუტო ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების სახეობების და ლიმიტების განსაზღვრას;

შიდა ლიმიტების დადგენის საფუძველია: აქტივობა ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე, ბანკების და მათი კლიენტების აქტიურობა ინდივიდუალურ ვალუტებში, ოპერაციების ფაქტობრივი მოცულობა და შესაბამისი პერიოდებისთვის გაცვლითი კურსის ცვალებადობა. სავალუტო პოზიციის ლიმიტები განისაზღვრება როგორც მთლიანი ღია სავალუტო პოზიციისთვის (open FX position - “OCP”), ასევე ინდივიდუალური სავალუტო პოზიციებისთვის. მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია შემოიფარგლება სებ-ის რეგულაციების მიხედვით განსაზღვრულია მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 20%-ით. ღია სავალუტო პოზიციას ცენტრალიზებულ დონეზე მართავს ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტი.

სავალუტო პოლიტიკა ადგენს მოცულობის ლიმიტებს თითოეულ სავაჭრო ოპერაციაზე, მათ შორის სავალუტო ფორვარდებთან და სავალუტო სვოპებთან დაკავშირებით. სავალუტო პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს სავაჭრო პოზიციის მთლიანი შიდა დღიური ვაჭრობის ლიმიტებს და სავაჭრო პოზიციების ლიმიტებს. ლიმიტები ასევე განსაზღვრულია დილერებისა და ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტისთვის.

სავალუტო პოლიტიკა განსაზღვრავს ყოველდღიური VAR-ის ლიმიტს ღია სავალუტო პოზიციაზე. ყოველდღიური სარისკო ღირებულება იზომება ღია პოზიციებზე მხოლოდ აშშ დოლარში და რუსულ რუბლში, რადგან ჩვეულებრივი სავალუტო საქმიანობების დროს ბანკს არ გააჩნია მნიშვნელოვანი

ღია პოზიციები სხვა უცხოურ ვალუტაში. მთლიანი სარისკო ღრებულება სავალუტო პოზიციებზე გამოითვლება ორივე ღია პოზიციის სარისკო პოზიციების შეკრებით, კოეფიციენტებს შორის კორელაციის უგულებელყოფით. ღია სავალუტო პოზიციების სარისკო ღრებულება გამოითვლება და წარედგინება დირექტორთა საბჭოს დღიურად, ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტის მიერ. საჭიროებისამებრ, ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტი შეიმუშავებს შესწორების გეგმას და წარადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის სხდომაზე.

9.1.2 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია და კაპიტალის მოთხოვნა

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, გამოიყენება საბაზრო რისკის ვიწრო განმარტება, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია უდრის საერთო ღია სავალუტო პოზიციას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციაში, “კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენის, გაანგარიშების და დაცვის წესის” შესახებ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბაზრო რისკთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია შეადგენდა 0.53 მილიონ ლარს, 0.09 მილიონი ლარის მთლიანი კაპიტალის მოთხოვნით (მათ შორის პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები), რომელიც მიუთითებს სავალუტო ბაზრის სპეკულაციების მიმართ ბანკის რისკის დაბალ დასაშვებ დონეს.

9.1.3 სტრეს ტესტები

ვინაიდან, სარისკო ღრებულება ითვალისწინებს პოტენციური ზარალების პროგნოზირებას ნორმალურ საბაზრო პირობებში, მას ემატება სტრეს ტესტების გამოთვლა. აღნიშნული სტრეს ტესტები აფასებენ რისკს, რომელიც ემუქრება ბანკს სხვადასხვა სცენარით დაშვებული მოლოდინების საფუძველზე. სტრეს ტესტები ტარდება ყოველთვიურად არსებულ საბანკო პორტფელთან და ბალანსგარეშე სავალუტო პოზიციებთან დაკავშირებით.

9.2 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების მოძრაობა გავლენას ახდენს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (“NII”) და შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟაზე („NIM“). საპროცენტო აქტივებიდან მიღებული შემოსავალი და საპროცენტო ვალდებულებების ხარჯები მჭიდრო კავშირშია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან, რადგან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას ახდენს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და ბალანსგარეშე ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ძირითადი საპროცენტო რისკი წარმოქმნება დაფარვის ვადებს შორის სხვაობებით ფიქსირებულ საპროცენტო აქტივებსა, ვალდებულებებსა და ბალანსგარეშე პოზიციებს შორის.

9.2.1 საპროცენტო რისკის შეფასება და მართვა

ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია თვალისწინებს არსებული მდგომარეობის ანალიზს (gap ანალიზი). აღნიშნული ანალიზი მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფებას დაფარვის ვადის მიხედვით, ან იმ პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება, როგორც არის სამ თვეზე ნაკლები ვადა, სამი თვიდან ერთ წლამდე და ა.შ. კატეგორიის დეფიციტი გამოიხატება ლარებში

მოცემული აქტივების ღირებულებას გამოკლებული ვალდებულებები. მნიშვნელოვანი ნეგატიური დეფიციტი მიუთითებს, რომ შესაბამისი პერიოდისთვის ბანკს გააჩნია აქტივებთან შედარებით მეტი მოცულობის ვალდებულებები, რომლებიც გადაფსდა და შესაბამისად, ბანკს დაემუქრება საპროცენტო განაკვეთების გაზრდის საფრთხე. პოზიტიური დეფიციტი მიუთითებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე. ბანკის აქტივებთან და ვალდებულებებთან საპროცენტო განაკვეთების შეუსაბამობა იცვლება იმ საპროცენტო შემოსავლის მქონე მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან შესაბამისობაში მოყვანით, რომლებიც ხელახლა გადანაწილებულია დაფარვის ვადის მიხედვით - „1 თვემდე“ დაფარვის პერიოდიდან დაწყებული შესაბამისი საკონტრაქტო ვადებამდე.

ბანკი იყენებს აღრიცხვის სისტემას, რომელიც გულისხმობს პროდუქტების კატეგორიების მთავარი ტენდენციების დადგენას და აღნიშნული ტენდენციებიდან გადახვევის მონიტორინგს, საპროცენტო განაკვეთის რისკის ცვლილებების შეფასების მიზნით. არსებული მდგომარეობის ანალიზის (gap ანალიზი) გარდა, საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაძლო ცვლილებების უკეთესად შეფასების მიზნით ყოველთვიურად ხორციელდება შემდეგი მონაცემების ანალიზი:

- კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვები - კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევა განიხილება გამაფრთხილებელ სიგნალად და მიუთითებს საკრედიტო პროდუქტის საბაზრო პირობების ცვლილებაზე;
- საკრედიტო ბარათების შემცირება - საკრედიტო ბარათების პორტფელში მოცულობის ან ზრდის კოეფიციენტის შემცირება, თუ ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინებით დეტალური ანალიზის საფუძველს;
- ვადიანი დეპოზიტების ვადაზე ადრე დარღვევა – საშუალო პარამეტრებიდან გადაცდომის შემთხვევაში, რომელიც განიხილება საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების ინდიკატორად, განისაზღვრება რეალური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ტენდენციებზე და შეფასდება საპროცენტო განაკვეთის რისკზე პოტენციური ზეგავლენა;
- დეპოზიტების დაფარვის ვადის შემცირება - გაანალიზდება სადეპოზიტო სერტიფიკატების (“CD”) პორტფელი ზრდის პარამეტრების და ვადის ფაქტორების გამოყენებით;
- მიმდინარე ანგარიშის ნაშთები შესაბამისი 200 დღიანი მცოცავი საშუალოს საფუძველზე - მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების ანალიზი ხორციელდება ფაქტობრივი ნაშთების შესაბამისი 200 დღიანი მცოცავი საშუალოს მაჩვენებლებთან შედარებით. მნიშვნელოვანი გადახვევები გათვალისწინებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ, ხოლო მათი გამომწვევი მიზეზები - საფუძვლიანად შესწავლილი. შედეგები გამოიყენება საპროცენტო განაკვეთებში პოტენციური ცვლილებების შესაფასებლად;
- ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში;
- ცვლილებები შემოსავლიანობის მრუდში;

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ფარგლებში, ბანკი ახორციელებს მაკროეკონომიკური და ფინანსური მონაცემების ანალიზს და განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საპროცენტო განაკვეთის დონეებზე ან შემოსავლიანობის მრუდზე. პროგნოზების საფუძველზე, ბანკი აფასებს პროდუქტის პირობების შეცვლის საჭიროებას და განსაზღვრავს პრიორიტეტებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პროცესში, ბანკი იყენებს შემოსავლების მეთოდს, რომელიც ორიენტირებულია ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში გამოცხადებულ მოგებასთან დაკავშირებულ რისკებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასება ხდება gap ანალიზის მეშვეობით, სადაც შეჯამებულია შეუსაბამოების გადაფასება ყოველ განსაზღვრულ დროის პერიოდთან მიმართებაში და წმინდა საპროცენტო შემოსავალზე პოტენციური ზეგავლენა ერთი წლის განმავლობაში, მოცემული განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში.

შეფასებული საპროცენტო განაკვეთის რისკი არ უნდა იწვევდეს წმინდა საპროცენტო მარჟის ცვლილებას არა უმეტეს 50 საბაზისო პუნქტით (“bps”).

იმ შემთხვევაში, თუ ანალიზის შედეგად გამოვლინდება ნეგატიური ტენდენციები, ჩატარდება დეტალური ანალიზი აქტივების და ვალდებულებების მოცულობასთან, დაფარვის ვადების სტრუქტურებთან და საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ.

9.2.2 საპროცენტო რისკის შემოსავლის სენსიტიურობა და ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა

საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენა წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ფასდება ერთ წლიანი პერიოდის განმავლობაში. საწყისი წერტილია საპროცენტო პოზიცია (რომელიც ყოველთვიურად ეცნობება საქართველოს ეროვნულ ბანკს), რომელიც იცვლება უფრო რელევანტური გადაფასების პირობების საფუძველზე. საპროცენტო პოზიცია კორექტირდება შემდეგი დაშვებების გამოყენებით:

აქტივების შემთხვევაში:

- უცხოური ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშთები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი არსებული საბაზრო პირობებიდან გამომდინარე ნულია, გადატანილი იქნება არასაპროცენტოდან მცოცავ საპროცენტო განაკვეთზე ერთთვიანი ინტერვალის განმავლობაში;
- იმ ვადაგადაცილებული კრედიტების წილი, რომელთა დაფარვაც ისტორიულად ჩვეულებრივ ხდებოდა პრობლემურ კრედიტებად ჩათვლამდე, ერთ წელზე მეტი პერიოდიდან გადატანილი იქნება შესაბამის პერიოდზე;

ვალდებულებების შემთხვევაში:

- საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მქონე ვადიანი დეპოზიტები განთავსდება შესაბამის საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ვადაზე, დაფარვის ვადის ნაცვლად;
- იურიდიული პირების საპროცენტო მიმდინარე ანგარიშები განაწილდება მათი სახელშეკრულებო ვადის საფუძველზე;
- დარღვეული ვადიანი დეპოზიტების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები განისაზღვრება ერთთვიანი დაფარვის ინტერვალის განმავლობაში.

კორექტირებული საპროცენტო პოზიციის გამოყენებით, ბანკი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენის გაანგარიშებას ყოველი შესაბამისი პერიოდისთვის და ასევე აფასებს ერთი წლის

განმავლობაში მთლიანი წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობას საპროცენტო განაკვეთების კონკრეტულ ცვლილებებთან მიმართებაში. დაშვებულია, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდეს 200 საბაზისო პუნქტით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობა საპროცენტო განაკვეთის 200 საბაზისო პუნქტიან ცვლილებასთან მიმართებაში იყო ნეგატიური 2.3 მილიონი ლარი, რაც აგრეთვე წარმოადგენს ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნას საპროცენტო განაკვეთის რისკზე.

9.2.3 საპროცენტო რისკის ჰეჯირება

ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და ჰეჯირებისთვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული ფორვარდული შეთანხმებები
- საპროცენტო განაკვეთის სვოპები

ვინაიდან, შიდასაბანკო წარმოებული ინსტრუმენტების ბაზარი ლარებში დენომინირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით კვლავ შემუშავების პროცესშია, საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის მიზნით ძირითად ქმედებას წარმოადგენს ბანკის პროდუქტების საპროცენტო განაკვეთებში შესაბამისი ცვლილება.

10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ფინანსურ ზარალს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს არაადეკვატურმა შიდა პროცესებმა, ადამიანთა ქმედებებმა, სისტემებმა, გარე ფაქტორებმა განზრახ, შემთხვევით ან ბუნებრივად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, თაღლითობას, წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და ტერორისტულ აქტს ან ჰაკერულ შეტევას. საოპერაციო რისკში გათვალისწინებულია შესაბამისობის, ინფორმაციის უსაფრთხოების და სამართლებრივი რისკები. საოპერაციო რისკი არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.

10.1 საოპერაციო რისკების მართვის სტრუქტურა

ბანკმა განსაზღვრა საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა შეისწავლოს სხვადასხვა ზეგავლენის ფაქტორები საოპერაციო რისკზე, რომელიც წარმოიშობა არაადეკვატური შიდა პროცესების, ხალხის და სისტემების ან გარე ფაქტორების შედეგად. საოპერაციო რისკის მართვის მექანიზმის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ბანკის მიერ საოპერაციო რისკის ეფექტურად მოგროვება, შეფასება, მართვა და ანგარიშგება.

ბანკის საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ექვემდებარება რისკების დირექტორს, გენერალური დირექტორის ზედამხედველობით. სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებლები არიან შემდეგ საკითხებზე:

სამეთვალყურეო საბჭო

- რისკის მართვის ჩარჩოს და ძირითადი პოლიტიკების განსაზღვრა, დამტკიცება და პერიოდულად გადახედვა
- ბანკის რისკის დასაშვები დონის დამტკიცება არსებული რეგულაციების, ბანკის შიდა და სტრატეგიული განვითარების საფუძველზე


დირექტორთა საბჭო

- ხელი შეუწყოს საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკის, პროცესებისა და სისტემების თანმიმდევრულ შესრულებას, რაც მოიცავს ყველა პროდუქტს, მომსახურებას და ოპერაციას
- უზრუნველყოს საოპერაციო რისკების მართვის ერთეულების დამოუკიდებლობა

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი

- საოპერაციო რისკის მართვა, ბანკის საოპერაციო რისკის კონტროლი, სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება
- მეთოდების განსაზღვრა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის გამოვლენის, შეფასების და შემცირების მიზნით
- საოპერაციო რისკების მუდმივი კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა დაკავშირებული საქმიანობის რისკების კონტროლსაც;
- საოპერაციო რისკის კულტურის განვითარება და ხელშეწყობა ბანკის მასშტაბით

საოპერაციო რისკები მოიცავს შემდეგ სფეროებს:




საოპერაციო რისკის პროფილი იყოფა შემდეგ რისკებად:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების შეცდომები და ხარვეზები
- სალაროს შეცდომები
- გარე თაღლითობა
- შიდა თაღლითობა
- პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილი შეცდომები და ხარვეზები
- კლიენტების განაცხადები
- ჯარიმები/ იურიდიული ვალდებულებები
- ჰაკერული შეტევები
- გადარიცხვების შეცდომები
- ბარათის თაღლითობა
- სხვა

ვინაიდან ბანკის საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის მნიშვნელობა ბანკის საოპერაციო რისკების პროფილისთვის მნიშვნელოვანია. ჩატარებულმა ანალიზმა ბიზნესის გავლენაზე აჩვენა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გაუმართაობას ან მარცხს შეიძლება მნიშვნელოვანი

გავლენა ჰქონდეს ბანკზე. 2018 წელს, ბანკმა განაახლა ორი ძირითადი სისტემა - საოპერაციო და სესხების დარეგისტრირების სისტემები, რომლებიც აუმჯობესებს მომსახურების პროცესს, მონაცემების სინქრონიზებას, სარეზერვო პროცედურებს, და აგრეთვე კატასტროფის აღდგენის ინფრასტრუქტურას კრიტიკული შემთხვევებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიის სისტემებისთვის და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებისთვის.

ბანკს აქვს საინფორმაციო უსაფრთხოების დეპარტამენტი და მართვის ძირითად ჩარჩოდ აირჩია ISO 27001 ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემა („ISMS“), უსაფრთხოების სასურველი დონის მისაღწევად. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის სისტემის სტრუქტურა, რომელიც შედგება ოთხი პაზის ციკლისგან: დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე („PCDA“), ემსახურება მიზანს ამოიცნოს და მოაგვაროს ბანკის CIA -სთან დაკავშირებული საინფორმაციო აქტივების რისკის პოზიციები. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემა ბანკის საინფორმაციო უსაფრთხოების დაფუძნების, განხორციელების, ოპერირების, ზედამხედველობის, გადახედვის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.



10.2 საოპერაციო რისკის მართვა

საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი მიზანია არაადეკვატური და განუხორციელებელი შიდა პროცესების, ხალხისა და სისტემების ან გარე პროცესების რისკების იდენტიფიკაცია და მათი მიტიგაცია შესაბამის ეკონომიკურ სიტუაციაში.

ბანკი საზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ ზომიერ დონეს, რომლის მიხედვითაც ცდილობს შეამციროს სარისკო სიტუაციებიდან გამომდინარე დანაკარგები იმ დონემდე, რომ ბანკი მატერიალურად არ დაზიანდეს.

ბანკს არ გააჩნია თაღლითობასთან, საინფორმაციო უსაფრთხოებასთან და შესაბამისობის დარღვევასთან დაკავშირებული რისკის დასაშვები დონე, შესაბამისად ბანკი ყველანაირად ცდილობს აღმოფხვრას ასეთი ტიპის რისკები.

ბანკი რისკის მიტიგაციის კონტროლისთვის იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს საოპერაციო რისკების პროფილის (Operational Risk Profile- ORP) და რისკის დასაშვები დონის დოკუმენტს.

10.2.1 საოპერაციო რისკის შეფასება

რისკის შეფასების მატრიცა → რისკის რუკა მოიცავს საოპერაციო რისკის პროცესის შეფასებისთვის ბანკის მიდგომის ძირითად ეტაპებს

რისკის შეფასების მატრიცა – რისკის შეფასების მატრიცა, გამოიყენება ინდივიდუალურად რისკების ჭრილში, რომელიც დალაგებულია უმაღლესიდან ყველაზე დაბალი რისკის რეიტინგების მიხედვით. რისკების რეიტინგი განისაზღვრება ქვემოთ მოცემული მატრიცის მიხედვით:

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

თვეში ერთზე მეტჯერ	მაღალი ↑ სიხშირე ↓ დაბალი	5	10	15	20	25
ორ თვეში ერთხელ		4	8	12	16	20
ექვს თვეში ერთხელ		3	6	9	12	15
წელიწადში ერთხელ		2	4	6	8	10
არანაკლებ წელიწადში ერთხელ		1	2	3	4	5
		დაბალი	სიმძაფრე			მაღალი
		0 - 1	1 - 10	10 - 50	50 - 250	> 250

10.2.2 ახალი რისკების დამტკიცება

კლიენტებისთვის შეთავაზებული ყველა არსებითად ახალი ან არსებითად ცვლილების გამოძწვევი ბიზნეს პროცესი, პროდუქტი და მომსახურება პირველად გამოყენებამდე და განხორციელებამდე საჭიროებს ახალი რისკის დამტკიცების (new risk approval - “NRA”). NRA-ის დამტკიცება აუცილებელია ახალი საოპერაციო რისკი შესაფასებლად, რათა წარმატებით მომზადდეს ყველა საჭირო პროცედურა და შემოწმდეს პროდუქტი. ახალ პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომელი საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტთან ერთად განსაზღვრავს თუ რა ფორმით უნდა მოხდეს NRA-ის დამტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ორი ვარიანტი:

- NRA არ არის საჭირო;
- NRA-ის დამტკიცება მიზანშეწონილია დამატებითი დეპარტამენტების პირდაპირი ჩართულობით, როგორც ეს მითითებულია ახალი რისკის დამტკიცების ფორმაში.

2016 წელს ახალი რისკის მართვის პროცესი დაინტეგრირდა საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მართვის სისტემასთან, რომელიც ამცირებს საბანკო სისტემებში ცვლილებების შეტანის რისკს საოპერაციო რისკების მართვის და საინფორმაციო უსაფრთხოების დეპარტამენტების მიერ ახალი რისკების შეფასების განხორციელების გარეშე. ცვლილების ტიპიდან გამომდინარე, რისკის შეფასების პროცესში ჩართულია ყველა შესაბამისი დეპარტამენტი, მათ შორის საინფორმაციო უსაფრთხოების, იურიდიული, ბიზნესის და/ან საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებები. კონსოლიდირებული დასკვნები მზადდება ახალი რისკის დამტკიცების წერილობითი ფორმით დეტალურ რეკომენდაციებთან ერთად, რომელიც წარედგინება დავალებაზე უფლებამოსილ პირს შემდგომი დანერგვისთვის, დამტკიცებული შიდა პროცედურების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი არ იქნება NRA-ის დამტკიცება, დავალებაზე უფლებამოსილ პირს მაინც მიეწოდება გარკვეული რეკომენდაციები ფუნქციონალურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ახალი პროდუქტის/პროცესის არსიდან გამომდინარე, ახალი რისკის დამტკიცების პროცესს შესაძლოა ასევე ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორთა საბჭომ.

10.3 საოპერაციო რისკის გაზომვა

საოპერაციო რისკის შემთხვევა არის ნებისმიერი მოვლენა, როდესაც კონტროლის ნაკლებობის ან არარსებობის გამო, ბანკმა შეიძლება იზარალოს. რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა (Risk Event Database –“RED”) უზრუნველყოფს ნებისმიერი მოვლენის, ზარალის და შეცდომის დასტურს, შემდგომი ქმედებების განსაზღვრად. ის უზრუნველყოფს ბანკს ტექნიკური ინსტრუმენტით, რომლის მეშვეობითაც ხდება უკვე მომხდარი და პოტენციური სარისკო შემთხვევების სისტემატური დამუშავება და შენახვა. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება რისკების იდენტიფიკაციის და მათი მართვის შესაბამისი მიდგომების გასაუმჯობესებლად. მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ანალიზი ტარდება საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ ცენტრალიზებული ფორმით.

10.3.1 რაოდენობრივი მონაცემები საოპერაციო ზარალებისთვის

ბოლო სამი წლის განმავლობაში მთლიანი საოპერაციო ზარალი შეადგენდა 5.6 მილიონ ლარს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სტატისტიკური საოპერაციო ზარალის შესახებ ინფორმაცია (დაუმრგვალებელი მოცულობები მოცემულია დანართის მე-14 ცხრილში).

ისტორიული საოპერაციო ზარალი

მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	2018	2017	2016	სულ
ზარალის მთლიანი მოცულობა	2.2	1.8	1.7	5.6
ზარალის მთლიანი მოცულობა, რომლებიც აღემატება 10,000 ლარს	1.1	0.8	0.9	2.8
მოვლენების რაოდენობა, რომელთა ზარალის აღემატება 10,000 ლარს	24	22	24	70
5 უმსხვილესი ზარალის საერთო მოცულობა	0.7	0.4	0.5	1.6

10.3.2 კაპიტალის მოთხოვნა

ბანკი საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გასაანგარიშებლად იყენებს ძირითად ინდიკატორის მიდგომას. 2018 წლის დეკემბრისთვის საოპერაციო რისკისთვის რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები წარმოადგენდა 338 მილიონ ლარს, 50.0 მილიონი ლარის ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნით. ცხრილი 10.3.2.1 დეტალურად აღნიშნავს საოპერაციო რისკისთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გამოთვლას.

ცხრილი 10.3.2.1 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საოპერაციო რისკთან დაკავშირებით

	2018	2017	2016	წმინდა საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო ბოლო სამი წლისთვის	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (RWA)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	177,152,729	149,579,648	118,125,036		
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	45,786,594	70,305,843	62,440,218		
დაქვითვები: შემოსავალი (ზარალი)	183,487	(478,280)	1,499,797		
საკუთრების გაყიდვიდან					
მთლიანი შემოსავალი	222,755,836	220,363,771	179,065,457	207,395,021	388,865,665

ბანკს აქვს რამოდენიმე ტიპის რისკის მიტიგაციის კონტროლი, ყველა შესაძლო საოპერაციო რისკის მისაღებ დონემდე მიტიგაციისთვის. თითოეულ ელექტრო-არხზე არსებობს ლიმიტები და ტრენდისგან განსხვავებული ნებისმიერი მერყეობა ავტომატურად გამოიწვევს არხის გათიშვას შემდგომ გამოძებამდე. დამატებით, BBB დაზღვევის პოლიტიკა არის მიტიგაციის ერთ-ერთი მთავარი კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს ზარალის 100,000 ლარის დაქვითვას ნებისმიერ თაღლითობაზე. ბანკი, ისტორიული ზარალის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელმაც ბოლოს სამი წლის განმავლობაში შეადგინა 5.6 მილიონი ლარი, მიიჩნევს, საოპერაციო რისკებისთვის

განკუთვნილი კაპიტალი საკმარისზე მეტია მომდევნო 12 თვის განმავლობაში საოპერაციო რისკების მიერ გამოწვეული ნებისმიერი მოულოდნელი ზარალის დასაფარად.

10.4 კორპორატიული დაზღვევა

საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხს აგებს დაზღვევის დროულ განახლებაზე საბჭომ დააწესა მოთხოვნები, რომ ქვემოთ მოცემული სფეროების მიმართ ბანკი სრულად იყოს დაზღვეული. ბანკი პოლიტიკის მიხედვით იყენებს საერთაშორისოდ აღიარებული სადაზღვევო კომპანიების დაზღვევას ქონებისთვის (ყველა რისკი), დირექტორების და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობისთვის, კომპიუტერული დანაშაულებისთვის და ავტოპარკისთვის.

იმ შემთხვევაში თუ რისკის შემთხვევა მოიცავს დაზღვევას, საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია დამზღვევისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე.

არსებული კორპორატიული დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგს:

- ქონების დაზღვევა (ყველა რისკი);
- დირექტორების და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- “BBB” და კომპიუტერული დანაშაული;
- ავტოპარკის დაზღვევა;
- ბანკომატების დაზღვევა
- სწრაფი გადახდის ტერმინალების დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დაზღვევა ბანკის ყველა თანამშრომლისთვის.

11 ლიკვიდობის რისკი


ლიკვიდობის რისკი წარმოიშობა, როდესაც ბანკი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებებს დათქმულ ვადაში ან შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებებს ზედმეტი ხარჯებით. ლიკვიდობის რისკი ყველა საბანკო ოპერაციის განუყრელი ნაწილია და მასზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკისთვის სპეციფიკურმა ან საბაზრო ფაქტორმა.

11.1 ლიკვიდობის რისკის მართვა და კონტროლი

ლიკვიდობის რისკის მართვის პირველადი მიზანია საფუძვლიანად უზრუნველყოს, რომ ბანკს შეუძლია დაფაროს ლიკვიდობის ყოველდღიური მოთხოვნები და, ამავდროულად, გაუძლოს ლიკვიდობის სტრესის პერიოდს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკისთვის სპეციფიკურმა ან საბაზრო ფაქტორმა. ლიკვიდობის რისკის კონტროლის სტრუქტურის მთავარი მიზანი მოიცავს ბანკის აქტივობების დაბალანსებული ფინანსური ნარევის განპირობებას, სეზონის მიერ დაწესებული სტანდარტების მიმართ შესაბამისობას, შიდა ბუფერების შენარჩუნებას, რომლებიც შეესაბამება რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტს, კრიზისული სიტუაციების მართვას და დაფინანსების ხარჯების კონტროლს.

ხაზინის და ანგარიშსწორების დეპარტამენტი ლიკვიდობის რისკს მართავს ცენტრალიზებულ დონეზე და ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს დირექტორთა საბჭოს სულ მცირე კვირაში ერთხელ. ლიკვიდობის რისკის მართვის, მათ შორის ლიკვიდობის რისკის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს და მონიტორინგს აწარმოებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი. კომიტეტის მიერ ანალიზის გასაკეთებლად საჭირო მონაცემები წარდგენილია ხაზინის და ანგარიშსწორების დეპარტამენტისა და ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილების მიერ. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება ლიკვიდობის პოზიციაზე დამატებით ყოველთვიურ სტრეს-ტესტებს ატარებს და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტს აწვდის შედეგების ანგარიშგებას. ამასთანავე, ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება აქტიურადაა ჩართული ყოველდღიურ ტრანზაქციებში/გადაწყვეტილებებში, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბანკის ლიკვიდობის პოზიციაზე.

ლიკვიდობის რისკის მართვის და კონტროლის პროცესში ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები:



ხაზინისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ ბანკმა იმოქმედოს დაწესებული ლიმიტების ფარგლებში. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბაზრის ანალიზის განყოფილება აკონტროლებს და დირექტორთა საბჭოს ატყობინებს ლიმიტის ნებისმიერი სახის დარღვევას. დირექტორთა საბჭოს უწყვეტად მიეწოდება განახლებული ინფორმაცია სახაზინო ოპერაციებზე დეტალური ანგარიშგებით. ლიკვიდობის ანგარიში, რომელიც მოიცავს ბანკის ლიკვიდობის პოზიციასში უახლეს ცვლილებებს, ყოველთვიურად წარედგინება დირექტორთა საბჭოს.

11.2 ლიკვიდობის მოთხოვნები

შიდა ლიკვიდობის რისკის მართვისა და კონტროლის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ბანკისგან მოითხოვს საზედამხედველო ლიკვიდობის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დაცვას.

საზედამხედველო ლიკვიდობის კოეფიციენტი ასახავს ბანკის მიმდინარე ლიკვიდურ პოზიციას და გამოითვლება ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებთან შეფარდებით. საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით, აუცილებელია ყოველდღიური კოეფიციენტის გამოთვლა, ამასთან, ბანკი ვალდებულია დაიცვას 30%-იანი მინიმალური ლიმიტი ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებაში.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი განისაზღვრება ბაზელ 3-ის ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა, გამოიყენება გადინებების მაღალი მაჩვენებლები. კოეფიციენტი განიმარტება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების მოცულობა, რომელიც საჭიროებისამებრ გამოიყენება ლიკვიდობის შესაქმნელად, შეფარდებული წმინდა ფულად გადინებებთან. საქართველოს ეროვნული ბანკის

მოთხოვნაა, რომ ყველა ბანკმა ყოველდღიურად დაიცვას მინიმალური მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 100%-ის ოდენობით, ლარის LCR 75%, ხოლო უცხოური ვალუტის LCR 100%.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი და ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლები

	დეკ-17	მარ-18	ივნ-18	სექ-18	დეკ-19
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, მთლიანი (თვის ბოლო დღე)	287.3%	274.1%	226.5%	209.1%	184.6%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, ლარში (თვის ბოლო დღე)	285.9%	303.5%	212.9%	214.7%	183.5%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, უცხოურ ვალუტაში (თვის ბოლო დღე)	289.0%	232.6%	256.9%	197.6%	186.5%
ლიკვიდობის კოეფიციენტი (თვის ბოლო დღე)	62.2%	62.5%	41.5%	56.8%	50.5%
